ფ. 1 მან.

ამ/კავ. დაუსწრებელი საფინ.-ეკონომიური ინსტიტუტი

ი. მ. გალპერინი

საბალანსო ალრიცხვის საფუძვლები

ნაწილი პირველი

ტ ფ ი ლ ი ს ი
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
1 9 3 2

ა. კ. დაუსწრებელი საფ.—ეკონომიური
და სასაღრიცხვო მეცნიერებათა ინსტიტუტი

ი. მ. გალპერინი

საბალანსო აღრიცხვის საფუძვლები

36983

ნაწილი პირველი

ა. ბ. ბ. ბ

სტამბა
პოლიგრაფსკოლისა,
აკ. წერეთელის ქ. № 3.
შეკ. № 3152. ტირ. 4000.
მთავ. № 1853

საბალანსო აღრიცხვის საფუძვლები

აღრიცხვა კაპიტალისტურ საზოგადოებაში

ჩვენი საგანი

ჩვენს მეცნიერებას ეწოდება საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება. საბალანსო აღრიცხვის ცნება ჯერ კიდევ დავას იწვევს მეცნიერებაში და ამიტომ საჭიროა განმსაზღვრელი ხაზის გავლება, რომელიც საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებას გამოყოფს ცოდნის სხვა დარგებისაგან.

რა არის ჩვენი მეცნიერების საგანი? რომელი მეთოდით სარგებლობს ის და რა ამოცანებს ისახავს?

საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას თავისი საგნად ადამიანთა მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების გამოკვლევა აქვს; სამეურნეო მოქმედებით გამოწვეული პროცესების შესწავლა არის ჩვენი მეცნიერების ს ა გ ა ნ ი. მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედებით გამოწვეული პროცესების გამოკვლევის დროს საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება ურყევად სარგებლობს სამეურნეო ცხოვრების ყველა განსახილველი მოვლენების აღრიცხვით. სამეურნეო პროცესების აღრიცხვა ასეთია ხელმძღვანელი მ ე თ ო დ ი ჩვენი მეცნიერებისა. დასასრულ, ადამიანთა სამეურნეო მოღვაწეობით გამოწვეული პროცესების აღრიცხვით, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესების აღრიცხვით, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება ააშკარავებს მთელი ამ სამეურნეო მოღვაწეობის ეფფექტს. სამეურნეო პროცესების აღრიცხული ეფფექტის გამოაშკარავება, ასეთია ჩვენი მეცნიერების ა მ ო ც ა ნ ა.

მაგრამ, შესაძლებელია თუ არა იმისი მტკიცება, რომ ჩვენი დისციპლინისათვის მიჩენილი გამოკვლევის არე მხოლოდ და მხოლოდ საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს? ხომ არ იჭრება ჩვენი მეცნიერება ცოდნის სხვა დარგებში? აქვს თუ არა მას დამოუკიდებელი არსებობის უფლება? განვიხილოთ ეს საკითხი საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების როგორც საგნის, ისევე მისი მეთოდისა და ამოცანების მიმართ.

ა. ცნობილია, რომ თეორიული ეკონომია ფართე მნიშვნელობით, ენგელსის მიხედვით, არის მეცნიერება იმ კანონების შესახებ, რომელ-ნიც ადამიანთა საზოგადოებებში ნივთიერ საარსებო დოვლათის

წარმოებასა და გაცვლას აწესრიგებენ. თეორიული ეკონომიური მეცნიერება არის მეცნიერება ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოებებში წარმოებისა და გაცვლის პირობებისა და ფორმების შესახებ და პროდუქტების განაწილების იმ წესების შესახებ, რომელნიც წარმოებისა და გაცვლის ამ პირობებსა და ფორმებს შეესაბამებიან. პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მომწესრიგებელ კანონების შესწავლაში თეორიულ ეკონომიას სიმძიმის ცენტრი ამ პროდუქტების ცოცხალი მონაწილეებზე გადააქვს. ეს მთელი თავისი გულისყური მიმართული აქვს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელნიც ადამიანთა შორის წარმოების საფუძველზე იქმნებიან. თეორიული ეკონომია შეისწავლის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელნიც აღმოცენდებიან ადამიანებს შორის წარმოების ნიადაგზე სხვადასხვა ეკონომიური სტრუქტურის პირობებში. ეს საწარმოო ურთიერთობებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თეორიული ეკონომია ვიწრო მნიშვნელობით, შეისწავლის იმ კანონებს, რომელნიც განაგებენ კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებას და დაღუპვას.

ჩვენი მეცნიერება, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებაა, იკვლევს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესებს სხვადასხვა საზოგადოებებში. მაგრამ ამასთან ერთად მას აქვს თავისი განსაკუთრებული თვალსაზრისი, ის იკვლევს ყველა სამეურნეო პროცესებს აღრიცხვის თვალსაზრისით. ეს არის მისი განმასხვავებელი ნიშანი.

ბ. ცნობილია, რომ ტეხნიკურ მეცნიერებითა საგანსაც, მეურნეობის პროცესების, ადამიანთა სამეურნეო მოღვაწეობის პროცესების გამოკვლევა შეადგენს, მაგრამ ტეხნიკურ მეცნიერებებს სიმძიმის ცენტრი გადააქვთ სხვადასხვა ფიზიკო-ქიმიური პროცესების შესწავლაზე, რომელნიც თან სდევენ სამეურნეო მოქმედების ამა თუ იმ დარგს. მეურნეობის პროცესების გამოკვლევაში ტეხნიკურ მეცნიერებებს გულისყური მიმართული აქვთ მასალების ყველაზე უფრო მიზანშეწონილი დამუშავების წესებზე და სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენებაზე, რომ სამეურნეო მუშაობა სამეცნიერო ტეხნიკურ თვალსაზრისით სწორად იქმნეს შესრულებული. ასეთებია: სამრეწველო ტეხნოლოგია, აგრონომია, ინჟენერია და სხვა.

მართლაც თუ როგორ იქცევა ნახშირთან შეერთებული წყალბადი ორთქლის ძალად, ამის პასუხს გვაძლევენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი.

ორთქლის ძალას როგორ მოჰყავს ელექტრო-მოტორი, ხოლო ელექტრო მოტორი როგორ ქმნის სინათლეს, როგორ უნდა შეერთდეს ბუნების ეს ძალები და როგორ მოწესრიგდეს მათი მოძრაობა, გარკვეული გეგმისამებრ ამის პასუხს ტეხნიკური მეცნიერებები გვაძ-

ლევენ. დუღილი თავის-თავად ბუნებრივი პროცესია და როგორც ასეთი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის საგანს წარმოადგენს. მაგრამ დუღილის იგივე პროცესი, შეგნებულად და გარკვეული გეგმით მოწყობილი ლუდის სახდელი ქარხნის ქვაბებში—ტეხნიკური ხასიათის პროცესია და როგორც ასეთი, ტეხნიკურ მეცნიერებათა შესწავლის საგანს შეადგენს. (კარლ რენნერი კაპიტალისტური მეურნეობის თეორია რუს. გამოცემა გვ. 8).

ჩვენი მეცნიერება, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება, აგრეთვე იკვლევს სამეურნეო მოღვაწეობით გამოწვეულ სხვადასხვა პროცესებს. მაკრამ ამავე დროს მას თავისი განსაკუთრებული თვალსაზრისიც აქვს. ის იკვლევს ადამიანთა სამეურნეო მოღვაწეობის ტეხნიკურ-ეკონომიურ მხარეს მეურნეობის მუშაობის აღ რ ი ც ხ ვ ი ს საფუძველზე. ის იკვლევს სამეურნეო პროცესებს მათი შეთანხმებულობის, მათი რაციონალური და ეკონომიური სრულქმნის, მათი საბოლოო აღრიცხული ეფეფექტის თვალსაზრისით. ამაშია მისი განმასხვავებელი ნიშანი.

გ. მაგრამ არის თუ არა აღრიცხვის სიცხობრივი მეთოდი—დამახასიათებელი, განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ჩვენი მეცნიერებისა? ხომ არ არსებობს ცოდნის სხვა დარგებიც, რომელნიც ადამიანთა სამეურნეო მოღვაწეობას შეისწავლიან აგრეთვე რიცხობრივი მეთოდის საფუძველზე?

ცნობილია, რომ სტატისტიკაც რიცხობრივი მეთოდით სარგებლობს. სტატისტიკა აღრიცხვის საფუძველზე შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების, კერძოთ სამეურნეო ცხოვრების, მასიურ მოვლენებს. ხომ არ იმეორებს ამ შემთხვევაში ჩვენი მეცნიერება იმას, რასაც უკვეს ტატისტიკა აკეთებს? არა, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებას ამ მხრივაც თავისი გ ა ნ მასხვავებელი ნიშნები აქვს.

იმ დროს როცა სტატისტიკა, რიცხობრივი მეთოდით სარგებლობის დროს, დასაშვებათ სთვლის აღრიცხვის მრავალგვარ ერთეულს, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება სარგებლობს აღრიცხვის მხოლოდ ერთად ერთი საყოველთაო ერთეულით. სტატისტიკური აღრიცხვის ერთეულების მრავალგვარობას ის ერთგვარობად აქცევს. ჩვენს მეცნიერებას აღრიცხვის ერთეულები მიყავს, ასე ვსთქვათ, ერთ მნიშვნელამდე; ყველა შენიშნული ფაქტი მის მიერ აღირიცხება ერთი უნივერსალ რი საზომით. ამის გარდა, მეურნეობის პროცესების გამოკვლევისა, ჩვენი მეცნიერება, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება, სარგებლობს თავისი განსაკუთრებული პრინციპებით, აღრიცხვის განსაკუთრებული და თავისებური მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ი თ, რომელიც მას მკაცრად განასხვავებს სტატისტიკური მეთოდოლოგიისაგან. ამ შემთხვევაშიაც გვაქვს აგრეთვე მისი განმასხვავებელი ნიშანი.

ამგვარად საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება, მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ რიგ მოსაზღვრე დისციპლინებთან. ამისდა მიუხედავად ის თავისი საკუთარი და განსაკუთრებული სამეცნიერო გზით მიდის. ის შეისწავლის მეურნეობასა და სამეურნეო მოვლენებს გარკვეულს ზუსტად მოხაზულ ფარგლებში და განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი თვალსაზრისით. საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებას აქვს თავისებური მეთოლოგია, მხოლოდ, ერთს მას განუყოფლად ეკუთვნის ის სამეცნიერო ტერიტორია, რომელსაც ბალანსი ეწოდება.

საჭიროა ზღვარი გავავლოთ ჩვენს მეცნიერებასა და სხვა მეცნიერებებს შორის, რომელნიც აგრეთვე ადამიანთა მეურნეობას და სამეურნეო მოღვაწეობას იკვლევენ. მაგრამ რაში გამოიხატება ეს სამეურნეო მოქმედება და რაშია მისი თავისებურება?

მატერიალური (ნივთიერი) წარმოება

კარლ მარქსის საფლავზე, მისმა დიადმა მეგობარმა, ფრიდრიხ ენგელსმა, სხვათა შორის, ასეთი მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოსთქვა:

„როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანიული სამყაროს განვითარების კანონი, ისე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი; ის უბრალო უკანასკნელ დრომდე იდეოლოგიური ნალექით დაფარული ფაქტი, რომ ადამიანები ჯერ საჭმელ სასმელზე, ბინასა და ტანისამოსზე ზრუნავენ და მხოლოდ შემდეგ კიდებენ ხელს პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვა ასეთებს და რომ მაშასადამე, ცხოვრების უშუალო მატერიალურ საშუალებათა წარმოება, ხოლო ამასთან ერთად ხალხის ან ეპოქის ეკონომიური განვითარების საფეხური, წარმოადგენს ფუძეს, რომელზედაც აღმოცენდება ადამიანთა სახელმწიფო დაწესებულებები, უფლებრივი შეხედულებები, ხელოვნება დ რელიგიური წარმოდგენებიც კი“.

მაგრამ, შემდეგში დავკმაყოფილდეთ მატერიალური წარმოების ზემოდ, სათაურში ნაჩვენებ უფრო ვიწრო თემით.

ადამიანებმა რომ იცხოვრონ, უნდა აწარმოონ. იმისთვის კი, რომ აწარმოონ, საჭიროა მათ მიერ მიზანშეწონილი შრომითი მოქმედება; მათ უნდა დახარჯონ თავისი შრომა.

რა არის შრომა?

„შრომა—ამბობს მარქსი—პირველ ყოვლისა, არის პროცესი ადამიანისა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავისი მოქმედებით განსაზღვრავს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთი-

ერების ცვლას თავისსა და ბუნებას შორის“ („კაპიტალი ტ. I ქართული გამოცემა, სახელგამი 1930 წ. გვ. 138).

თავისი მატერიალური ენერგიის დახარჯვით ადამიანი ზემოქმედებს გარშემო ბუნებაზე იმ მიზნით, რომ მისი არსებობისათვის აუცილებელი „ბუნების ნივთიერება“ მიიღოს. ასეთი მიზანშეწონილი შრომითი მოქმედების გარეშე ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებს. მაგრამ ადამიანი აწარმოებს არა მარტო არსებობის საშუალებებს, კვების საგნებს, ტანისამოსს, ბინასა და სხვა, არამედ ქმნის ყოველივე ამისათვის აუცილებელ იარაღებსაც.

თუ ადამიანის პირველყოფილი შრომა საკმაოდ პრიმიტიული ხასიათის იყო, სამაგიეროდ, საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ უფრო და უფრო ტეხნიკურად სრულყოფილი გახადა ადამიანის შრომის ზემოქმედება გარეშე ბუნებაზე. ადამიანმა ბიბლიის საწინაღმდეგოდ, შეიძინა ახალი ძლიერი ორგანოები, შრომის იარაღები. თავისი ბუნებრივი ორგანოების დასახმარებლად მან შექმნა ხელოვნური ორგანოები—გაუმჯობესებული და მექანიზირებული იარაღები. თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებული, თავის განკარგულებაში გამოულეველ ბუნებრივი ენერგის უმდიდრეს მარაგის მქონე, ადამიანი თავისი შეგნებული ზემოქმედებით ამარცხებს, იმორჩილებს გარეშე ბუნებას და აქამდე მაზე გაბატონებული ბუნებრივი ძალების სრული მბრძანებელი ხდება.

მაგრამ ეს ცოტაა. საქმე ის არის, რომ წარმოების პროცესები შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბუნებასთან საბრძოლველად ადამიანთა გაერთიანების გარეშე. წარმოების პროცესი წარმოუდგენელია ცალკეული და განმარტოებული ადამიანის ინდივიდუალური შრომის ნიადაგზე მატერიალური წარმოების გეგმის თანაბარ პროცესის განსახორციელებლად, ადამიანის არსებობის მატერიალურ საშუალებათა მისაღებად გარეშე ბუნებაზე მოწესრიგებული და ძლიერი ზემოქმედებისათვის, ადამიანთა კოლექტიური შრომა არის საჭირო. მხოლოდ კოლექტიური შრომის საფუძველზე შეიძლება მოეწყოს ნამდვილად მიზანშეწონილი და წარმატებიანი მატერიალური წარმოება. საზოგადოების გარეშე წარმოუდგენელია მოწესრიგებული და გეგმიანი საწარმოო პროცესი. ინდივიდუუმების წარმოება ზელაპარაკი მხოლოდ იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც ეს ინდივიდუუმები საზოგადოებაში ცხოვრობენ და მათი წარმოება საზოგადოებრივად განსაზღრულ წარმოებას წარმოადგენს.

ჩვენი მეცნიერება, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება, იკვლევს აღრიცხვის მეთოდის საფუძველზე საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოების პროცესებს, წარმოების პროცესებს საზოგადოებაში, მაგრამ ეს ცოტაა.

აღრიცხვა და სამეურნეო ტიპები.

კაცობრიობის განვითარების რომელი სტადიაც არ უნდა განვიხილოთ, მატერიალური წარმოების პროცესი ყველგან გარდუალ აუცილებლობას წარმოადგენს.

მარქსი ამბობს: „როგორც ველურმა უნდა ებრძოლოს ბუნებას თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად და აღსადგენად, ისევე უნდა ებრძოლოს მას ცივილიზაციის დროს ადამიანმაც წარმოების რომელი საზოგადოებრივი ფორმის ან წარმოების რომელი წესების დროსაც არ უნდა ხდებოდეს ეს". („კაპიტალი" ტ. III ნაწ. II რუს. გამოც. გვ. 291).

აქამდე ჩვენ ვიხილავდით წარმოების პროცესს საზოგადოდ კონკრეტიულ ეკონომიურ ბაზისაგან განყენებით. ამას იმ მიზნით ვშვრებოდით, რომ გამოგვეყო ყოველი წარმოების უფრო მეტად მნიშვნელოვანი ნიშნები სხვადასხვა საზოგადოებების პირობებში და ჩვენი ყურადღება მიგვეპყრო წარმოების საერთო მომენტებზე საზოგადოდ რომ ამით შემდგომში განმეორებები აგვეცილებია თავიდან

მაგრამ შესაძლებელია თუ არა განვიხილოთ წარმოება საზოგადოდ ცალკე ისტორიული ეტაპების თავისებურებათაგან გაყენებულად? შესაძლებელია თუ არა განდგომა კონკრეტიული ეკონომიური ვითარებისგან?

წარმოების განხილვის დროს დაუშვებელია ცალკე ეკონომიურ სტრუკტურათა კონკრეტიულ პირობების მთელი თავისებურებებისაგან განყენება. წარმოების განხილვის დროს დაუშვებელია დავიფიწყოთ კონკრეტულ სოციალურ, საზოგადოებრივ გარემოს თავისებურებანი. როდესაც სამეურნეო მოღვაწეობის აღრიცხვაზე ვლაპარაკობთ ზუსტად უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ რომელ ისტორიულ პერიოდში და როგორ ეკონომიურ პირობებში სრულდება ეს სამეურნეო მოღვაწეობა. არ შეიძლება აღრიცხვის პრინციპები და მეთოდები კონკრეტულ სამეურნეო ტიპებისაგან გამოყოფილად და გამოთიშულად განვიხილოთ. აღრიცხვა განუყოფელად და დიალექტურად არის დაკავშირებული ეკონომიკასთან.

„ყოველივე მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება"—განაცხადა „ბუნდოვანმა" ეთესელმა მოაზროვნემ, ძველი მსოფლიოს შესანიშნავმა დიალექტიკოსმა ჰერაკლიტემ. აღრიცხაც აგრეთვე მოძრავ, განვითარების მქონე და ცვალებად ცნებას წარმოადგენს. აღრიცხვაც ცვალებად და დიალექტურად საწინააღმდეგო მოძრაობათა გზით მიდის. აღრიცხვის შინაარსისა და ამოცანების ეს ცვალებადობა საბოლოოდ განისაზღვრება ამა თუ იმ ეკონომიურ სისტემით. სამეურნეო აღრიცხვის შინაარსისა და მიზნების წარნა-

ძლევარებს პირველ ყოვლისა სამეურნეო სტრუქტურათა ტიპი წარმოადგენს, ამიტომ სამეურნეო აღრიცხვის თავისებურებათა განხილვის დროს აბსოლუტურად დაუშვებელია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობების მთელ კონკრეტულ თავისებურებათაგან განყენება.

უნდა გამოვიდეთ იქიდან; რომ როგორც არ არსებობს წარმოება „საზოგადოდ", ისევე არ არსებობს საზოგადოება „საზოგადოდ", ყოველი საზოგადოებრივი ტიპი, ყოველი საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმი, შეეფერება განვითარების გარკვეულ ისტორიულ საფეხურს და მთელ რიგ, მის დამახასიათებელ თავისებურებებს ატარებს. შეიძლება დავასახელოთ საზოგადოების სხვადასხვა ტიპები, როგორც მაგალითად: ანტიური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება და სოციალისტური საზოგადოება. საზოგადოების ყოველ ტიპს შეესაბამება თავისი განსაკუთრებული წარმოების წესი. ხოლო წარმოების ყოველ ასეთს საზოგადოებრივ წესს თან სდევს სამეურნეო აღრიცხვის საკუთარი განსაკუთრებული წესებიც. ცხადია, რომ სამეურნეო მოქმედების აღრიცხვის პრინციპებისა და მეთოდების ანალიზის დროს აუცილებელია „ასვლა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ". წარმოების საზოგადოებრივი ფორმების თავისებურებას თანა სდევს სამეურნო აღრიცხვის ფორმების თავისებურება. სამეურნეო აღრიცხვის თავისებურებათა მიხედვით შეიძლება გამოვარკვიოთ მეურნეობის სახელდობრ რომელი ტიპისათვის არის ეს აღრიცხვა აგებული და ისტორიული გზის სახელდობრ რომელ პირობებში არის ის განხორციელებული. სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის ცვალებასთან ერთად იცვლება სამეურნეო აღრიცხვის წესებიც.

ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს მეურნეობისა და ადამიანთა სამეურნეო მოღვაწეობის აღრიცხვა თანამედროვე საზოგადოების ორი ძირითადი სისტემის პირობებში. რა სისტემებია ეს?

ეს არის, მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, სისტემა დამპალ და მომაკვდავ კაპიტალიზმისა, სულთმობრძავი ის უახლოვდება თავის აუცილებელს და წარსული ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით წინასწარ გარკვეულს დასასრულს. ეს არის მეორე მეურნეობის სოციალისტური სისტემა, სისტემა სოციალიზმისა,რომელიც ძლევამოსილად შენდება. კაპიტალიზმთან გმირულ ბრძოლებში მან აღმართა თავისი ურყევი ბატონობის დროშა დედა-მიწის ერთ მეექვსედში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში

„ჩვენ ვცხოვრობთ ახლა — ამბობს ი. სტალინი—ომების და რევოლიუციების ეპოქაში. კაპიტალიზმი უკვე აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ერთად-ერთ და ყოვლის მომცველ სისტემას. მეურ-

ნუობის კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა, რომელიც იზრდება, რომელიც დიდი წარმატებით ვითარდება, რომელიც კაპიტალისტური სისტემას მოპირდაპირედ უდგას, და რომელიც თვით თავისი არსებობის ფაქტით ააშკარავებს კაპიტალიზმის სიდამპლეს და არყევს მის საფუძვლებს". („ლენინიზმის საკითხები" 1930 წ. რუს. გამოც. გვ 630).

მსოფლიო გაყოფილია ორ მტრულ და შეურიგებლად მებრძოლ ბანაკად. ორი სამეურნეო სისტემა ჩაბმულია პირისპირ ბრძოლაში: სისტემა სოციალისტური და სისტემა კაპიტალისტური. ყველა ამ სამეურნეო სისტემას აქვს თავისი განმასხვავებელი თავისებურებანი. ეს თავისებურებანი განსაზღვრენ სამეურნეო აღრიცხვის მეთოდებისა და ამოცანების თავისებურებასაც.

კაპიტალისტური აღრიცხვის თავისებურებანი.

კაპიტალისტური აღრიცხვის თავისებურებები კაპიტალისტური საზოგადოების თავისებურებებიდან გამომდინარეობს. რითი ხასიათდება კაპიტალისტური საზოგადოება?

„კაპიტალისტური საზოგადოება, აღმოცენებული საქონლის წარმოების განვითარების საფუძველზე, ხასიათდება კაპიტალისტებისა და მსხვილი მიწადმფლობელების კლასის მონოპოლიით წარმოების უმნიშვნელოვანეს და გარდამწყვეტ საშუალებებზე, წარმოების საშუალებებს მოკლებული და თავისი სამუშაო ძალის გაყიდვაზე იძულებული პროლეტართა კლასის დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით. საქონლის წარმოებით მოგების მიღების მიზნით და ყოველივე ამასთან დაკავშირებულად ერთობლივ წარმოების პროცესების უგეგმობითა და ანარქიულობით. ექსპლოატაციის ურთიერთობა და ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობა თავის პოლიტიკურ გამოხატულებას პოებს კაპიტალის სახელმწიფოებრივს ორგანიზაციაში, როგორც პროლეტარიატის დამორჩილების აპარატში" (კომუნ. ინტერნაციონალის პროგრამა რუს. გამოც. გვ. 10).

კაპიტალისტური საზოგადოების ამ დახასიათებიდან შეიძლება გამოვიყენოთ კაპიტალისტური აღრიცხვის შემდეგი არსებითი თავისებურებები:

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა. კაპიტალისტური საზოგადოება არის ისეთი საზოგადოება რომელშიაც წარმოების საშუალებები კაპიტალისტთა კლასის კერძო საკუთრებას შეადგენს. ამ კერძო საკუთრებასა და შრომის განაწილების პირობებში მთელი კაპიტალისტური სამეურნო ორგანიზმი დაშლილია, ცალკე ატომებად გარეშე მსოფლიოსაგან ხელოვნურად გამოგლეჯილ და თავის თავში

ჩახვეული ცალკე სამეურნეო უჯრედებად. ასეთი გარეგნულად თითქო ავტონომიური და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცალკე სამეურნეო ერთეულები კერძო საკუთრების საფუძველზე ეკუთვნის ცალკე წამომწყებლებს ან მათ ჯგუფებს. მესაკუთრის ნება-სურვილი გარდაუწყვეტია ასეთი ცალკე მეურნეობების სამეურნეო მოღვაწეობისათვის. ამ მეურნეობათა შორის ჩნდება ერთგვარი სამეურნეო ურთიერთობა. კაპიტალისტური ბაზრის სარბიელზე;და ეს ურთიერთ ობა ერთმანეთ-შორის ანგარიშს იწვევს. ცალკე სამეურნეო ერთეულების შემკავშირებელი რგოლია ბაზარი და გაცვლა.

„ბურჟუაზიული მსოფლიოს ცნობიერება—სამართლიანად შენიშნავს რუდოლფ ჰილფერდინგი—საბაზრო ბიულლეტენია. მხოლოდ გაცვლის აქტებში გებულობს ინდივიდუუმი, რომ კოლექტიურობის კანონი არსებობს და თუ ინდივიდუუმისათვის გაცვლის აქტი წარმატებით დაბოლოვდა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ღებულობს ის იმის დასტურს, რომ მას რაღაც საზოგადოებრივად აუცილებელი შეუქმნია. მხოლოდ მაშინ შეუძლია მას წარმოების განახლებაც“ („საფინანსო კაპიტალი“ რუს. გამოც. გვ. 10).

ცხადია, ასეთს პირობებში აღრიცხვა შემოფარგლულია ცალკე ერთეულ მეურნეობათა სივრცითი საზღვრებით. აღრიცხვა ერთი ან რამდენიმე მესაკუთრის ერთეული მეურნეობათა ღობეებს არ სცილდება. კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში აღრიცხვა-ერთეული მეურნეობის აღრიცხვაა. ეს არის კაპიტალისტური აღრიცხვის პირველი თავისებურება.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი ს ებ ურ ე ბ ა. ყოველი ასეთი ცალკე, ერთეული მეურნეობის ფარგლებში აღრიცხვა საქონლის წარმოებისა და გაცვლის ოპერაციების გამოხატავს ერთი ან რამოდენიმე მესაკუთრეს. ცალკე ერთეული მეურნეობის ფარგლებში—აღრიცხვა გამოხატავს ინდივიდუალური კაპიტალის მოძრაობის პროცესს, ყველა იმ გადასვლებსა და ცვლილებებს, რომელსაც ინდივიდუალური კაპიტალი სამეურნეო ბრუნვაში განიცდის. რაში მდგომარეობს ინდივიდუალური კაპიტალის მოძრაობის ეს პროცესი?

მარქსი სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის კაპიტალიზმისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოძრაობის შემდეგ სქემას გვაძლევს:

ფ—ს . . . . { წ.ს / გ.გ. } წ . . . . ს+ს—ფ+ფ

მოყვანილი სქემა კაპიტალის მთელს მეტამორფოზს გამოხატავს, ე.ი. იმ გარდაქმნასა და ცვლილებებს, რომელსაც კაპიტალი თავის მოძრაობაში განიცდის. თავისი მოძრაობის დასაწყისში კაპიტალი გამოდის, ან სხვაგვარად რომ ვსთქვათ, ავანსათ გაიღება—ფულის სახით,

რაც ფ. ასოთი აღინიშნება ეს ფული ბრუნავს მიმოიქცევა, როგორც კაპიტალი და თავის მოძრაობაში იქცევა საქონლად, რაც სქემაში ს ასოთი არის აღნიშნული. ამ შემთხვევაში საქონელს ქვეშ იგული-ხმება წარმოების საშუალებები (წს) და სამუშაო ძალა (მგ) ამის შემდეგ კაპიტალის მოძრაობა სწყდება. იწყება წარმოების სტადია. ჩვენ სქემაში ეს წ ასოთი აღინიშნება. წარმოების პროცესის შემდეგ კაპიტალი ისევ გამოდის საქონლის ფორმაში, მაგრამ ეს საქონელი გვევლინება უკვე როგორც გაზრდილი თავის ღირებულებაში, რაც სქემაში ს+ს სახით არის აღნიშნული. დასასრული, მოძრავი კაპიტალის უკანასკნელს რეისს წარმოადგენს მისი გამოსავალ წერტილთან დაბრუნება, სახელდობრ ისევ ფულად გადაქცევა. მაგრამ კაპიტალი ახლა უკვე წარმოადგენს ფულად-თანხას გაზრდილს პირვანდელ ან ავანსად გაღებულ ფულთან შედარებით. სქემაში ეს გამოსახვას პოულობს ფ+ფ სახით, ასეთია ინდივიდუალური კაპიტალის მთელი წრებრუნვა, მთელი მარშრუტი.

აღრიცხვა ცალკეული ერთეული მეურნეობის ფარგლებში თანმიმდევრობით აღნიშნავს ამ მოძრაობის ცალკე ეტაპებს. აღრიცხვა ცალკეული ერთეული მეურნეობის ფარგლებში ინდივიდუალური კაპიტალის ამ წრებრუნვიდან თანმიმდევრობით გამომდინარე — საქონლის წარმოებისა და გაცვლის ყველა ოპერაციების ფიქსაციას ახდენს. კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში აღრიცხვის საგანს ინდივიდუალური კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მოძრაობის მთელი პროცესის ასახვა წარმოადგენს. ამაშია კაპიტალისტური აღრიცხვის მეორე თავისებურება.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა. ცნობილია რომ კაპიტალისტური წარმოების ძირითად მამოძრავებელი მოტივის მოგების მიღება წარმოადგენს. კაპიტალისტური მწარმოებლისათვის მოგება—გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია და გამდიდრება—სანუკვარი ოცნება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში „წარმოება მშრომელი მასსების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპს კი არ ემორჩილება, არამედ რაც შეიძლება მეტი კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს. სასალხო შემოსავლის განაწილება მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით კი არ ხდება, არამედ ექსპლოატატორების მოგების მაქსიმუმის უზრუნველყოფად „კაპიტლისტური რაციონალიზაციისა და წარმოების სწრაფი ზრდის მიზანია კაპიტალისტების მაღალი მოგების უზრუნველყოფა“ (სტალინი). მთელი კაპიტალისტური წარმოება, ტეხნიკის განვითარება, მეურნეობის რაციონალიზაცია და სხვა ამდაგვარი, ექვემდებარება კაპიტალისტური მეურნეობის ერთ უცვლელ პრინციპს—მოგებასა და გამდიდრებას.

კაპიტალის მიერ ახალი ღირებულების შექმნის მაგიური ნიჭის საიდუმლო, ზედმეტი ღირებულების აღმოცენების გამოცანა მხოლოდ და მხოლოდ წარმოების პროცესში უნდა ვეძიოთ. წარმოების პროცესში საქონელი შეიწოვს ზედმეტ ღირებულებას. ეს ზედმეტი ღირებულება მუშისთვის წარმოების პროცესში გადაუხდელი და კაპიტალისტის მიერ მითვისებული დამატებითი პროდუქტია. კაპიტალისტური მოგებას თავის საფუძვლად მუშათა კლასის ექსპლოატაცია უძევს.

თუ კაპიტალისტური მეურნეობის საოცნებო მიზანი მოგება დაგამდიდრებაა, მთელი კაპიტალისტური აღრიცხვის მიზანს სამეურნეო მოქმედებიდან მიღებული მოგების სიდიდის გამომჟღავნება წარმოადგენს. კაპიტალისტური მწარმოებელი თავის სამეურნეო აღრიცხვას თითქო ასეთ სოციალურს შეკვეთას აძლევს: გამოაშკარავოს რეალურ სამეურნეო ბრუნვაში მიღწეული კაპიტალისტური მოგების სიდიდე და აღრიცხვაც ასრულებს თავისი ბრძანებლის ამ სოციალურს შეკვეთას, აღრიცხვა ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში ერთგულად ეწევა სამსახურს კაპიტალიტების წინაშე, ინდივიდუალური კაპიტალის მოძრაობის პროცესის აღნიშვნისა და კაპიტალისტის ყველა ოპერაციების გამოთვლაში, აღრიცხვა ს ა ბ ო ლ ო ო დ თავის მიზნად ისახავს მწარმოებლის მოგების სიდიდე გამოარკვიოს. აღრიცხვა ხდება კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის მასსების ექსპლოატაციის ამ უსაშინლეს სისტემის ერთ-ერთ ერთგულ მსახურად.

ერთეულ მეურნეობათა მესაკუთრეების კაპიტალისტური მოგების სიდიდის გამორკვევა — ასეთია სამეურნეო აღრიცხვის საბოლოო ამოცანა კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. ამაშია კაპიტალისტური აღრიცხვის მესამე თავისებურება.

ასეთია კაპიტალისტური აღრიცხვის სამი არსებითი თავისებურებები.

ᲛᲔᲠᲘᲝᲓᲘᲜᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

პირველი თემის დამუშავების დროს გამსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღრიცხვის მეშოდებს, და ამაშკანგების ეკონომიურ წარნამძღვარებთან კავშირის საკითხს აუცილებლად უნდა იქმნეს გარკვეული, რომ აღრიცხვის მეთოდებისა და პრინციპების დასაბუთებაში გარდამწყვეტ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები სრულებენ, ყოველი ეკონომიური სტრუქტურა, სოციალურ საწარმოვო ორგანიზმის ყოველი ტიპი, ამ მხრივ იწვევს საკუთარ აღრიცხვის საკუთარ თავისებურებებს. ამ საკითხის გარკვევის შემდეგ, განსაკუთრებით გულდასმით უნდა იქნეს გამოკვლეული კაპიტალისტურ საზოგადოების უმთავრესი თავისებურებანი. ამ თავისებურებათა საფუძველზე შემდეგ უნდა იქნეს დასაბუთებული ნიშნები კაპიტალისტური საზოგადოების პირობებშინ ძირითადი წარნამძღვარი. აქ არის აღრიცხვის ფორმების განხილვა როგორც ისტორიული კატეგორიის.

ამიტომ განვითარების ყოველ ისტორიულ საფეხურს სამეურნეო აღრიცხვის განსაკუთრებული და თავისებური ფორმა შეეფერება. მაშასადამე, დაუშვებელია აღრიცხვის ძველი თეორეთიკოსების შეხედულებას გავყვეთ, თითქო აღრიცხვა და მისი წესები სამეურნეო ტიპებიდან სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ.

საკონტროლო კითხვები.

1. რა არის საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების საგანი და როგორია მისი სახელმძღვანელო მეთოდი?

2. რითი განსხვავდება საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება ისეთ მეცნიერებათაგან, როგორც თეორიული ეკონომია, ტეხნიკური მეცნიერებანი და სტატისტიკა?

3. რა მნიშვნელობა აქვს მატერიალურ წარმოებას ადამიანთა საზოგადოებისათვის?

4. როგორ განისაზღვრება აღრიცხვის მეთოდები და პრინციპები საზოგადოების ეკონომიური სტრუკტურით?

5. რითი დახასიათდება კაპიტალისტური საზოგადოება?

6. რატომ იზღუდება აუცილებლად კაპიტალისტური აღრიცხვა ერთეული მეურნეობის ფარგლებით?

7. როგორია სამეურნეო აღრიცხვის საგანი და ეკონომიური შინაარსი კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში?

8. როგორია ერთეული კაპიტალისტური მეურნეობის აღრიცხვის საბოლოო ამოცანა?

აღრიცხვა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში

საბჭოთა აღრიცხვის თავისებურებები

საბჭოთა აღრიცხვის თავისებურებები საბჭოთა სოციალისტური სამეურნეო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარეობს: რითი დახასიათდება ეს სისტემა?

1. კაპიტალისტთა კლასის ძალაუფლება დათრგუნვილია და შეცვლილი მუშათა კლასის ძალაუფლებათ.

2. წარმოების იარაღები და საშუალებები, მიწა, ფაბრიკა-ქარხნები და სხვა ჩამორთმეულია კაპიტალისტებისათვის და გადაცემულია მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასსების საკუთრებაში.

3. წარმოების განვითარება კონკურენციისა და კაპიტალისტურ მოგების უზრუნველყოფის პრინციპებს კი არ ემორჩილება, არამედ გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის სისტემატიური ამაღლების პრინციპებს.

4. სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა ექსპლოატატორთა კლასების და მათი მრავალრიცხოვანი ჯალაბების გასამდიდრებლად, არამედ მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურად გასაუმჯობესებლად და სოფლად და ქალაქად სოციალისტური წარმოების გასაფართოებლად.

5. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესება და მათი მოთხოვნილებების (მყიდველობითი უნარის) განუწყვეტელი ზრდა—მუდმივად მოზარდი წყაროა წარმოების გაფართოვებისა და უზრუნველყოფს მუშათა კლასს ზედმეტი წარმოების კრიზისებისა, უმუშევრობის ზრდისა და სხვა ასეთებისაგან.

6. „მუშათა კლასი საბჭოთა ქვეყნის ბატონ-პატრონია და მუშაობს არა კაპიტალისტებითვის, არამედ თავისი საკუთარი კლასისათვის" (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები," რუს. გამოც. გვ. 666).

საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის ამ დახასიათებიდან საბჭოთა სოციალისტური აღრიცხვის შემდეგი არსებითი თავისებურებები გამომდინარეობენ.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა. საბჭოთა ეკონომიკის პირობებში სამუდამოდ იშლება ყოველგვარი ზღვარი ცალკე სამეურნეო ერთეულებს შორის. წარმოების საშუალებები ეკუთვნის ხელისუფლებად ჩამოყალიბებულს მთელ მუშათა კლასს. ძლევამოსილი პროლეტარიატი მის მიერ დაპყრობილ ხელისუფლებას ეკონომიური გადატრიალების იარაღად იყენებს. კაპიტალისტური საზოგადოების ცალ-ცალკე, გარეგნული, თითქო ავტონომიური სამეურნეო ერთეულები მათი „წარმოების სეკრეტებითა" და „კომერციული საიდუმლოებით", მათი ოპერაციებით, რომელიც მიმართულია კაპიტალისტურ მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად—სამუდამოდ გაქრენ. მუშათა კლასი—მთელი სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორია. ახლა ცალკეული სამეურნეო შენადგენები სხვა არაფერია, თუ არა ცალკე ნაწილები ერთობლივი სამეურნეო ორგანიზმისა. მათი ოპერაციები ამის შემდეგ უკვე აღარ არის ნაკარნახევი ერთმანეთ შორის მოქიშპე ცალკე კაპიტალისტურ წამოწყებათა ინტერესებით. მათი ოპერაციები ნაკარნახევია პროლეტარული სახელმწიფოს და ს.ს.რ კავშირის სოციალისტური მშენებლობის ინტერესებით.

ამ პირობებში ცალკე სამეურნეო დაწესებულებათა ოპერაციები მხოლოდ ცალკე რგოლებია საბჭოთა ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ოპერაციების მთლიან და მწყობრ ჯაჭვში.

ასეთ პირობებში აღრიცხვა აღარ არის უკვე ცალეულ, ერთეულ, კერძო საკუთრების უფლებებით ერთი ან რამდენიმე მესაკუთრის მფლობელობაში მყოფ მეურნეობათა სასაქონლო წარმოებისა და გაცვლის ოპერაციების გამოთიშული და თითქო თავის თავში ჩახვეული აღრიცხვა, ახლა ეს—ერთობლივი სამეურნეო მთელის ცალკე პროცესების აღრიცხვაა. ეს არის ერთიანი და გეგმის თანაბრად მომქმედ სამეურნეო ორგანიზმის შემადგენელი უჯრედების სამეურნეო აღრიცხვა. ეს არის მთელი საბჭოთა მეურნეობის მთლიანი აღრიცხვა. ცალკეულ საბჭოთა სამეურნეო წერტილების აღრიცხვის მონაცემნი

ერთიანდებიან ერთს მთელში, ისევე, როგორც ცალკე რუები შეერთვიან ერთმანეთს ერთ ძალოვან და მსწრაფებულ ნაკადად. ჩვენ ეხლა ვღებულობთ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების აღრიცხვას მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბში.

სახალხო მეურნეობის განზოგადოებული სექტორისა და ცალკე დარგების აღრიცხვა მთელს საბჭოთა ქვეყნის მასშტაბში—ასეთია საბჭოთა სოციალისტური აღრიცხვის პ ი რ ვ ე ლ ი თავისებურება.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა. პროლეტარული რევოლიუცია და სოციალისტური მშენებლობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში უდაოდ წარმოადგენენ ს.ს.რ. კავშირში კაპიტალისტური სამეურნეო აღრიცხვის გაქრობის ფაქტორებს საბჭოთა ეკონომიკის პირობებში სამეურნეო მოქმედების სუბიექტი მუშათა კლასია—მეურნეობის გეგმიანად მწარმოებელი სუბიექტი. საბჭოთა მეურნეობა გეგმიანი მეურნეობაა. პროდუქტების წარმოებისა და განაწილების სოციალისტური გეგმიანობა,—აი სამეურნეო აღრიცხვის ძირითადი შინაარსი ჩვენს პირობებში. ამის გამო საბჭოთა აღრიცხვის საგანი სამეურნეო მოქმედებათა ყველა იმ პროცესების აღნიშვნა, რომელნიც ამა თუ იმ მეურნეობის გეგმის შესრულებასთან არიან დაკავშირებული. თავის მხრივ მოცემული მეურნეობის გეგმა მუშათა სახელმწიფოს მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. ცხადია, რომ საბჭოთა აღრიცხვამ თანმიმდევრობით უნდა ასახოს პროდუქტების სოციალისტური წარმოება, განაწილების ყველა პროცესები მეურნეობისთვის გათვალისწინებული სამუშაო გეგმის თანახმად და პროლეტარული სახელმწიფოს მთელი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე.

მუშური სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის თანახმად პროდუქტების წარმოება-განაწილების გეგმით გათვალისწინებული ყველა ოპერაციების ასახვა და სამეურნეო გეგმის შესრულების კონტროლი—ასეთია სამეურნეო აღრიცხვის საგანი.

საბჭოთა ეკონომიკის პირობებში. ეს არის საბჭოთა სოციალისტური აღრიცხვის მ ე ო რ ე თავისებურება.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა. მთელი ჩვენი ქვეყნის მანძილზე სოციალისტური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო პროცესების ვამომეღავნების დროს, საბჭოთა აღრიცხვამ განუწყვეტლივ უნდა მოგვაწოდოს ცნობები სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე საწარმოო ძალთა განვითარების აღდგენის (რეპროდუქციის) ზომისა და სოციალისტური დაგროვების სიდიდის შესახებ

„აღდგენის მარქსისტული თეორია,—ამბობს ი. სტალინი— გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლიან განვითარება წლითი-წლობით დაგროვების გარეშე, დაგროვება - კი შეუძლებელია

წლითი-წლობით აღდგენის გაფართოვების გარეშე. ჩვენი მსხვილი ცენტრალიზაცია ქმნილი სოციალისტური მრეწველობა ვითარდება გაფართოებული აღდგენის მარქსისტული თეორიის მიხედვით, რადგანაც ის თავისი მოცულობით ყოველწლიურად იზრდება, აქვს თავისი დაგროვება და წინ მიდის გიგანტური ნაბიჯით. („ლენინიზმის საკითხები" რუს. გამოც. გვ. 548).

საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ეს დაგროვება—სოციალისტური დაგროვებაა. მას ვერ მოითვისებს მეშჩანა კლასის მტერი—კაპიტალისტთა კლასი. სოციალისტური დაგროვება ემსახურება საბჭოთა მეურნეობის გაფართოვებული აღდგენის, სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარების მიზნებს, ს.ს.რ. კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი აშენების მიზნებს.

ახლა აღრიცხვა პროლეტარული სახელმწიფოს სოციალურ შეკვეთას ასრულებს. აღრიცხვის მახვილი თავისი წვეტით სხვა მხარეს არის მიმართული. აღრიცხვა პრინციპიალურად სხვა მნიშვნელობას ღებულობს. ის გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის მომქმედი იარაღი ხდება, ის სოციალისტურს სამსახურს ეწევა. აღრიცხვა გეგმიანი საბჭოთა მეურნეობის პროცესებს, სოციალისტური ელემენტების ზრდას და ს.ს.რ. კავშირის მთელ სამეურნეო ფრონტზე სოციალიზმის ძლევამოსილს შეტევას გამოსახამს. და თუმცა აღრიცხვის ბევრი ტექნიკური ხერხები გაოგენულად ძველს წესებს მოგვაგონებენ, მაგრამ თვით მისი შინაარსი, მისი მიზნობრივი მიმართებულობა ძირ-ფესვიანად იცვლება.

გეგმიანი საბჭოთა მეურნეობის რაციონალობისა და სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე საწარმოო ძალთა განვითარების გამოაშკარავება, გაფართოებული აღდგენისა და სოციალისტური დაგროვების სიდიდის გამორკვევა, წარმოება-განაწილების პროცესსების მთელი საზოგადოებრივი ეფექტის გადაშლა—აი სამეურნეო აღრიცხვის ამოცანა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში. ამაში მდგომარეობს საბჭოთა სოციალისტური აღრიცხვის მესამე თავისებურება.

ასე თია საბჭოთა სოციალისტური აღრიცხვის სამი არსებითი თავისებურებანი.

აღრიცხვის მნიშვნელობა.

თუ აღრიცხვას ცალკეულ ერთეული მეურნეობის პირობებშიც კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი მეურნეობის პირობებში მისი მნიშვნელობა უდაოთ შეუდარებლად იზრდება. საზოგადოებრივი ორგანიზმის განვითარება სამეურნეო წამოწყებათა შემდგომი ზრდა, სამეურნეო მოქმედების მასშტაბის გაფართოვება, გეგმიანობა და სამეურნეო მოქმედებათა საზო-

გადოებრივი დანიშნულება—ყოველივე ეს სამეურნეო აღრიცხვის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

„დავთრებისა და საანგარიშო წიგნების წარმოება—ამბობს მარქსი—უფრო აუცილებელია კაპიტალისტურ, ვიდრე დაქსაქსულ და გლეხურ წარმოებისათვის. ის უფრო აუცილებელია კოლექტიურ, ვიდრე კაპიტალისტურ წარმოებისათვის". და კიდევ: „საანგარიშო წიგნების წარმოება, როგორც მთელი პროცესის იდეალური გაერთიანების კონტროლის საშუალება, მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო ფართოვდება პროცესი საზოგადოებრივ ფარგლებამდე, რაც უფრო კარგავს ის წმინდა ინდივიდუალურ ხასიათს". (კაპიტალი ტ. II, გვ. 83 რუს. გამ.).

ცალკე სამეურნეო პროცესები გარეგნულად თითქო იკარგებიან მთლიანად აღებულ მეურნეობის უზარმაზარ და ჭრელ ლაბირინტში, მაგრამ სწორედ აღრიცხვის შემწეობით მყარდება კავშირი ყველა ამ, გარეგნულად თითქო გათიშულ ოპერაციებს შორის, როგორც ერთ და მწყრობრ მთელის ნაწილებს შორის. აღრიცხვა იქცევა მეურნეობის შეცნობის საშუალებად მის ყველა გამომჟღავნებაში, აღრიცხვა იქცევა მთელი სამეურნეო პროცესის მოსაზრების საშუალებად მის დასრულებულობასა და მწყრობრ აგებულებაში. როგორც დავინახეთ, აღრიცხვის ეს მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო პროცესი საზოგადოებრივ ფარგლებამდე ფართოვდება. ასეთს პირობებში აღრიცხვა სამეურნეო მართველობის უდაოდ ერთ-ერთ უძლიერეს და მოქნილ იარაღს წარმოადგენს საბჭოთა ეკონომიკის პირობებში აღრიცხვა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც: ა) სოციალისტური კონტროლის, ბ) სოციალისტური რაციონალიზაციის და გ) სოციალისტური გეგმიანობის ინსტრუმენტი. განვიხილოთ აღრიცხვის ეს ფუნქციები.

1. აღრიცხვის ერთი დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი დოკუმენტების საფუძველზე ხელს უწყობს სამეურნეო ცხოვრების -სხვა დასხვა ფაქტების კოლექტიურად დახსომებას. აღრიცხვის წყალობით მისაღწევი ხდება ამა თუ იმ მომენტში სამეურნეო ცხოვრების ყველა ამ ფაქტების აღდგენა, მათ ურთიერთ კავშირში და სხვა ფაქტებთან შეთანხმებულობა-შეფარდებაში. საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდ როლს ასრულებს აღრიცხვის ეს ფუნქცია სამეურნეო კონტროლის საქმეში.

როგორი იყო აღრიცხვის ეს ფუნქცია კაპიტალიზმის დროს? კაპიტალისტური საზოგადოების დროს აღრიცხვის ეს ფუნქცია გამოყენებული იყო მესაკუთრის მიერ, ერთის მხრით, თავის აგენტების საკონტროლოდ, მეორის მხრით კორრესპონდენტებთან თავისი ურთიერთ ანგარიშების საკონტროლოდ. მაგრამ ამისდა მიუხედავად კონ-

ტროლის ფუნქცია კაპიტალურს მეურნეობაში მახინჯდებოდა და იჩრდილებოდა. რატომ ხდებოდა ეს? ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მესაკუთრეს — მეურნეობის მეთაურს და უმაღლეს ხელმძღვანელს თვითნებობა და სუბიექტივიზმი შეჰქონდა სამეურნეო აღრიცხვის საქმეში. თავისი მეურნეობისათვის კრედიტ-უნარიანის სახელის მოპოებისათვის მესაკუთრე უპირატესად თავისი მეურნეობის უფრო წარმატებულ ხელსაყრელ და შეფერადებულ სურათს იძლეოდა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. ამრიგად აღრიცხვას ერთი რამ მოეთხოვებოდა პირიქით, ამ მეურნეობის სახელმწიფოს მიერ გადასახადით დაბეგვრის პირობებში მესაკუთრე თავისი მეურნეობის უფრო ცუდ და მოჭარბებით შავ სურათს იძლეოდა, ვიდრე ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევაში, ამგვარად, აღრიცხვას კიდევ სხვა მიმართულება ეძლეოდა. აქედან ცხადია, რომ ერთეული კაპიტალისტური მეურნეობის აღრიცხვის პირობებში აღრიცხვა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია კაპიტალისტური ტენდენციებით. ის კარგავდა ნამდვილ ობიექტივიზმის ელემენტებს.

სულ სხვას ვხედავთ საბჭოთა მეურნეობის პირობებში. მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ძირიანად იცვლება.

მესაკუთრეები აღარ არიან. კომერციული საიდუმლოება მოისპო. მეურნეობის ხელმძღვანელებმა თვითონ უნდა ჩააბარონ ანგარიში აღრიცხვის წინაშე. აღრიცხვა პროლეტარულ სახელმწიფოს სამსახურში იმყოფება და მუშათა კლასის ინტერესებს ემსახურება მით, რომ სამეურნეო მუშაობის ყველა ნაწილების სრული ობიექტიური და ყოველმხრივი გაშუქების საშუალებას იძლევა. სამეურნეო მუშაობის მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე წარმოებული კონტროლის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მეურნეობის მთელი მოქმედების მიზანშეწონილი ვანვითარება სოციალისტური მშენებლობის პირობებში. დოკუმენტალური აღრიცხვა და კონტროლი იქცევიან სამეურნეო მართველობისა და დასახული გეგმის შესრულების შემოწმების ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო მეთოდათ. „აღრიცხვა და კონტროლი— სწერს ვ. ი. ლენინი—ეს არის მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზისის დაწყობისა და ფუნქციების სწორად შესრულებისათვის.“ (ტ. XXI გვ 440. რუს. გამოც.)

პროლეტარული სახელმწიფოს სამსახურში აღრიცხვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს როგორც სოციალისტური კონტროლის ერთერთი ინტრემენტი.

2. აღრიცხვის ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ ის მთელი სამეურნეო მოქმედების ეფექტიურობას ააშკარავებს როგორც საერთოდ, ისე ამ მოქმედების ცალკე დარგებში. ეს ეფექტიურობა უნდა გაგებულ იქნეს, მუშათა

კლასის ინტერესების თვალსაზრისით და როგორც გეგმიანი ამოცანების შესრულება სამეურნეო ფრონტზე. ამით აღრიცხვა შრომის ნაყოფიერების გამორკვევის საშუალებას იძლევა.

უეჭველია, რომ ყოველი საზოგადოებრივი რეჟიმის (წყობილების) ძირითად საკითხს, ყოველი სოციალ - ეკონომიური სისტემის გამოცდას შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემა წარმოადგენს.

„შრომის ნაყოფიერება — ამბობს ვ. ი. ლენინი — ეს საბოლოო ანგარიში ყველაზე უმნიშვნელოვანესი, ყველაზე უმთავრესია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება არნახული ბატონობის დროს. კაპიტალისტური სისტემა შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნეს და საბოლოოდ დამარცხებული იქნება კიდეც იმით, რომ სოციალიზმი შეჰქმნის შრომის ახალს, ბევრად უფრო მაღალს ნაყოფიერებას“,

ეს ამოცანა, — შრომის ნაყოფიერების გაზრდის ამოცანა, — ერთი უმთავრესთაგანია სოციალისტური მშენებლობის საქმეში, „შრომის ნაყოფიერების სისტემატიური ზრდის გარეშე, როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში, ჩვენ ვერ გადავჭრით რეკონსტრუქციის ამოცანებს, ვერ შევძლებთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების არა თუ დაწევას და გასწორებას, არამედ ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნებასაც-კი. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემას ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“ რუს. გამ. ვვ, 672.)

მაგრამ საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის პირობებში შრომის ნაყოფიერების ეს განვითარება არსებითად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებისაგან. კაპიტალისტი მწარმოებლები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას საბოლოო ანგარიშში მუშათა კლასის ხარჯზე, მუშათა უფრო და უფრო მეტი დამონების საფუძველზე. ამავე მიზანს ემსახურება მთელი კაპიტალისტური ტექნიკაც, რომელიც არა თუ ხელს არ უწყობს სამუშაო დროს შემცირებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას, არამედ მათი ენერგიის გადაჭარბებული ხარჯვით იწვევს მათ დამონებას და კიდევ უფრო აუარესებს მუშების მდგომარეობას.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ საბჭოთა ეკონომიკის პირობებში. ტექნიკის რეკონსტრუქცია და წარმოების რაციონალიზაცია უპირველეს ყოვლისა მიმართულია ადამიანის შრომითი ენერგიის დაზოგვისაკენ. ამით შიღებულს ეკონომიას მოსდევს სამუშაო დროს შემცირება, მუშების განთავისუფლება და თვით შრომის დაჭიმვის შემცირება. ამ მხრით საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ლოზუნგი ეკონომიის რეჟიმი, რომელიც უწინარეს ყოვლისა ჰგულისხმობს ადამიანის შრომით ენერგიის დაზოგვას და მის განთავისუფლებას კულტურისა და მეცნიე-

რეგისათვის. ცოცხალი სამუშაო ძალის ამ დაზოგვაში — პროდუქციის შრომადენობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად დგომარეობს რაციონალიზაციის ერთ ერთი სასზოგადოებრივი ეფექტი. ამ მხრივ „მუშათა სახელმწიფოს ღონისძიებები მიდის: „მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესების ხაზით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოებებში ამხანაგური შრომის დისციპლინის ჩანერგვის ხაზით, დასასრულ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ორგანიზაციის ხაზით, ყოველივე ეს — სწარმოებს გაუმჯობესებული ტეხნიკისა და შრომის რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე“. (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. რუს. გამოც. გვ. 672).

კაპიტალისტური მსოფლიოს ტეხნიკური აზრის საგანძურების დაუფლებისას, საბჭოთა სახელმწიფო ეუფლება მათ რიცხვში სამეურნეო აღრიცხვის ტეხნიკასაც. მაგრამ ის აიძულებს აღრიცხვას მუშათა კლასის ინტერესებს ემსახუროს. აღრიცხვა იქცევა იმ პროექტორად, რომელიც პროლეტარული სახელმწიფოს ორგანოებს ხელს უწყობს აიღოს ამა თუ იმ მეურნეობის მუშაობასა და მდგომარეობაში სწორი ორიენტაცია, რომელიც აშუქებს სამეურნეო მუშაობის ყველა, თითქმის უბნელეს და შეუმჩნეველ კუნჭულებს და აღმოაჩენს სამეურნეო მოქმედების ყველა გზასა და მიხვეულებს მაქსიმალური საზოგადოებრივი ეფექტის მიღწევის მიზნით.

პროლეტარული სახელმწიფოს სამსახურში აღრიცხვა ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აგრეთვე, როგორც სოციალისტური რაციონალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

3. აღრიცხვის ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ ის საშუალებას იძლევა წარსული სამეურნეო მოქმედების მონაცემების საფუძველზე დავსახოთ მომავლის გეგმა. ეს აღრიცხვას აქცევს სამეურნეო მართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად და ბერკეტად.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გეგმას საბჭოთა მთელი სამეურნეო მუშაობისათვის. გეგმიანობა თავისი არსებით ადამიანის ყოველგვარი შრომის ერთ-ერთი განმასხვავებელი პირობათაგანია საზოგადოდ. ამიტომაც მარქსი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ: „არის ერთი გარემოება, რომელიც ათმთავითვე უმდარეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მაღლა ყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში ე. ი. იდეალურად უკვე არსებობდა“. (კაპიტ. ტ. I ქართ. გამ. გვ. 139)

თუ კაპიტალიზმის პირობებში გეგმიანობა უმნიშვნელო და შეტად შეზღუდულ ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს, ისიც მხოლოდ რომელიმე ერთეული მეურნეობის შიგნით, საბჭოთა ეკონომიკის პირობებში მთელი საბჭოთა მეურნეობის მუშაობის ყოველი მხარე ამ გეგმიანობით არის გამსჭვალული. კაპიტალისტური მეურნეობა, მთლიანად აღებული, თავისი არსებით სტიქიურ, უსუბიექტო, უგეგმო მეურნეობას წარმოადგენს. „ამ მთელში—სწერს როზა ლიუქსემბურგი—რომელიც ოკეანეებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებს აერთიანებს, არ არის არავითარი გეგმა, არავითარი შეგნებულება, არავითარი მოწესრიგება (რეგულიაცია). უცნობი, აღვირახსნილი ძალების მხოლოდ ბრმა ბატონობა სუფევს განცხრომით ადამიანთა სამეურნეო ცხოვრებაში. („პოლიტ. ეკონომიის შესავალი“. რუს. გამოც. გვ. 58).

თუ კაპიტალიზმის პირობებებში აღრიცხვა კაპიტალისტი მესაკუთრის საბაზრო ურთიერთობითა და კონკურენციით გამოწვეულ ოპერაციებს გამოხატავს, აღრიცხვა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში სამეურნეო მუშაობის ყველა იმ პროცესების გამომსახველია, რომელიც საბჭოთა ქვეყნის ერთიანი გეგმით არის გათვალისწინებული. აღრიცხვა დაწესებული გეგმიდან ამა თუ იმ მხარეზე ყოველგვარი გადახრის საფრთხის მაჩვენებელია. ამით ის შესაძლებლობას ქმნის სამეურნეო ოპერაციების ვითარების დროზე ცოდნისა და გეგმიდან გადახრის მიზეზების გამორკვევის. აღრიცხვის შემწეობით, ამგვარად, საშუალება გვეძლევა სამეურნეო გეგმის შესრულების მიმდინარე დაკვირვების გზით გამოვარკვიოთ განზრახ თუ უნებურად მოხდა სამეურნეო გეგმიდან გადახვევა, რამ გამოიწვია ის, გაუთვალისწინებელმა მიზეზებმა, უვიცმა ხელმძღვანელობამ, თუ სოციალიზმის მშენებლობის მტრების აშკარა მავნებლობამ კლასობრივი ბრძოლის გ ა მ წ ვ ა ვ ე ბ ი ს პირობებში.

როგორც ვიცით, ერთეულ კაპიტალისტურს მეურნეობაში სამეურნეო მოქმედების ყველა შედეგები კაპიტალისტი მწარმოებლის საკუთრებათ იქცევა იმ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, რომელიც სახელმწიფოს შემოსავლად მიდის სხვადასხვა გადასახადებისა და გამოსაღებების სახით. საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში ჩვენ გვაქვს გაფართოვებული აღდგენა (რეპროდუქცია), რომელსაც მიზნად აქვს დასახული ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკის გარდაქმნა, კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთისალმოფხვრა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აგება. სოციალისტური დაგროვება მთლიანად მუშური სახელმწიფოს სასარგებლოდ სწარმოებს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ხდება, რომ საბ-

ჭოთა სინამდვილეში ცალკეულ მეურნეობათა შინაური (საკუთარი) დაგროვება ამ მეურნეობებს კი არა რჩება, არამედ მთელი მუშური სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის. მათი დაგროვება შესაძლებელია გადანაწილებულ იქნეს საბჭოთა სხვა ასეთივე სამეურნეო წამოწყებებს შორის დასახული სახალხო-სამეურნეო, გეგმის შესრულების და საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის ინტერესების მიხედვით. აქედან ნათელია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პირობებში მიზანშეწონილ გეგმიან სამეურნეო აღრიცხვას.

საბჭოთა აღრიცხვა არა მხოლოდ სამეურნეო ,გეგმის შესრულების კონტროლის საშუალებაა, ის ამავე დროს მომავალი სამეურნეო მუშაობის გეგმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარნამძღვარსაც წარმოადგენს. მეურნეობის მომავალი მუშაობა წარსულში შესრულებულ სამეურნეო მუშაობის შედეგებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამრიგად, აღრიცხვა ის ხიდია, რომელიც მეურნეობის წარსულს მის მომავალთან აკავშირებს. წარსული გეგმის შესრულების გამომრკვევი აღრიცხვა იმავ დროსვე იარაღია მეურნეობის მომავალი მუშაობის დაგეგმისა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის თანახმად. საბჭოთა ეკონომიკის ნიადაგზე აღრიცხვა საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოებისთვის აუცილებელ ელემენტად იქცევა.

პროლეტარული სახელმწიფოს სამსახურში აღრიცხვა ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აგრეთვე, როგორც სოციალისტური დაგეგმვის ერთ-ერთი იარაღი.

მოვიყვანოთ რამდენიმე ილლუსტრაცია იმის დასამტკიცებლად თუ რამდენად განუშორებლად და მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეურნეო აღრიცხვა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში, დიადი მუშური მშენებლობის ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკასთან და როგორ ძლიერ იარაღს წარაოადგენს ის მუშათა კლასის ხელში.

ავიღოთ პრობლემა ყველა იმ საშუალებათა და რესსურსების არასაკმარისი მობილიზაციისა, რომელიც ცალკე სამეურნეო დაწესებულებათა განკარგულებაში იმყოფება. ცენტრ. კომიტეტის 1930 წლის 3 სექტემბრის მიმართვაში, სხვათა შორის მითითებულია იმ გარემოებაზე რომ „მრეწველობისა და განსაკუთრებით მისი ძირითადი დარგების საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობის უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს საჭირო ენერგიისა და თაოსნობის (ინიციატივის) უქონლობა შინაგანი რესსურსების მობილიზაციის საქმეში“ აქ ხაზგასმულია ის გარღვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხუთწლედის მეორე წლის სამრეწველო საფინანსო გეგმის შესრულებაში. ზოგიერთ წარმოებების მიერ საკმარისად არ იყო გამოყენებული ის მოწყობილობა, რომელიც მათ ჰქონდათ, ხშირად ხდებოდა მუშაობის შეჩერება და სხვა ამგვ. ყველაფერი ეს ზიანს აყენებს საბჭოთა მშენებლობის საქმეს‘

მაგრამ საიდან მივიღეთ ეს ცნობები? საიდან შეიძლება გამოვარკვიოთ თუ ნამდვილად რაციონალურად იყენებს მეურნეობა ამა თუ იმ მომენტში რესურსებს რომელიც მას აქვს, რამდენად მართლაც და აქტიურად აწარმოებს ის მის განკარგულებაში მყოფი საშუალებების შობილიზაციას? ეს ცნობები შეიძლება მიღებულ იქნეს სამეურნეო მოღვაწეობის სწორად დაყენებული აღრიცხვის საფუძველზე. აქედან სჩანს, რომ აღრიცხვა სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია.

ანდა, მოვიყვანოთ მეორე მაგალითი—ბევრი მეურნეობა საიმპორტო მოწყობილებაზე აშკარად გაზვიადებულ მოთხოვნას აყენებს. ცკ-ას იმავე მიმართვაში ნათქვამია: „საიმპორტო (უცხოეთიდან შემოსატანი) მოწყობილობაზე აშკარად გაზვიადებული მოთხოვნების წამოყენების მრავალი ფაქტები როცა ნაცადი არ არის მრეწველობის შინაგანი რესურსების გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე უფრო აშკარა მაგალითია სამეურნეო ხელმძღვანელების მხრივ თავის მოვალეობისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ძალიან ხშირად გამოხატულებაა ოპორტუნისტული საქციელისა სოციალისტური ინდუსტრიის შესაძლებლობის მიმართ“. ცხადია, რომ ასეთი სამეურნეო პოლიტიკა დიდ საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოსათვის და მას აყენებს უცხოეთის სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულების გზაზე. საკითხავია, რორგორ გამოვარკვიოთ შემოსაზღვადი მოწყობილობის რაოდენობა, როგორ გამოვარკვიოთ, რომ შემოტიდულია მეტი, ვიდრე ეს არის საჭირო ჩვენი მეურნეობისათვის, როგორ დავრწმუნდეთ ამ მხრივ სამეურნეო ხელმძღვანელობის უსწორობაში? ცხადია, რომ ყველა ეს ცნობები სწორედ იმავე სამეურნეო მოღვაწეობის მიმდინარე აღრიცხვის სწორი დაყენების საფუძველზე შეიძლება იქნეს მიღებული. ცხადია, რომ ამ მხრივ აღრიცხვა მეურნეობის ხელმძღვანელობისა და მართველობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აუცილებელი ელემენტია.

აღრიცხვის საკითხები განუშორებელია და მჭიდროდ არის გადახლართული სოციალისტური მშენებლობის საკითხებთან. საკვანძო რეფორმის წარმატებით განხორციელება საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენი მშენებლობის ტემპების პრობლემა, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკურ-ეკონომიურის მხრით დაწევისა და გასწრების ლოზუნგის შესრულება რაციონალიზაციისა და პროდუქციის თვითღირებულების დაწევის საფუძველზე რეალური ხელფასის ზრდის მომზადების პრობლემა—/ყოველივე ეს მჭიდროდ და აუცილებლად არის დაკავშირებული მეურნეობისა და სამეურნეო მუშაობის აღრიცხვის საკითხის სწორი გადაჭრისაგან. აღრიცხვასთანავე დაკავშირებული ასეთი საკითხებიც, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრებისა და

დაშკვრელობის შედეგების გამორკვევა შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმის შედგენა და სხვ. აღრიცხვის გარეშე მუშათა კლასს არ შეუძლია რეგულარულად და ზუსტად ასწონ-დასწონოს ყველა თავისი ნაბიჯები, სწორად და მიზანშეწონილად დასახოს თავისი შემავალი მუშაობის გეზი.

ამრიგად საბჭოთა პირობებში აღრიცხვის წინაშე ისმის ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები—ეს ამოცანებია—ცოცხალი სამუშაო ძალის სამეურნეო მუშაობის პროცესში მიღებული ნამდვილი ეკონომიის, ტეხნიკური მოწყობილობის ნამდვილად მიზანშეწონილი და სამეურნეო თვალსაზრისით გამოყენების და ყველა მატერიალური რესურსების მობილიზაციის გამორკვევა, წარმოების ხარჯების შემცირების და ამით რეალური ხელფასის მომატების გამომჟღავნება. აღრიცხვამ უნდა მოგვაწოდოს ცნობები მთელი სამეურნეო მუშაობის საზოგადოებრივი ეფექტის შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, თუ რამდენად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და როგორია საწარმოო ძალების განვითარება სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე, პროლეტარიატის შრომითი გატაცებისა და ენტუზიაზმის შედეგად ისეთ პირობებში, როცა შრომითი ორგანიზაციის ახალი სოციალისტური ფორმები ი. ვ. სტალინის თქმით „შრომას — სამარცხვინო და ძძიმე ტვირთიდან, როგორადაც ის წინად მიაჩნდათ, საპატიო, სასახელო, სავალაცო და საგმირო საქმედ“ გარდაქმნიან. („ლენინიზმის საკითხები“ რუს. გამ. გვ. 661).

აღრიცხვა, როგორც პროდუქტების წარმოებისა და სახალხო მეურნეობის განზოგადოებული სექტორის ცალკე დარგებს შორის მათი განაწილების ყველა პროცესების ანგარიშზე ამღები, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აუცილებელ იარაღად იქცევა. აღრიცხვა პროლეტარული სახელმწიფოს სამსახურში, სოციალისტურს სამსახურში, ჩაბმული ერთი ნებისყოფის, ერთი გეგმის, ერთი და ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის საერთო ფერხულში — მუშათა კლასის ინტერესების ერთგული დარაჯია

აღრიცხვის ეს მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავის დროზე მკაფიოდ აღნიშნა ვ. ი. ლენინმაც, რომელმაც სთქვა: „საერთო სახელმწიფოებრივი ანგარიშწარმოება, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საერთო სახელმწიფოებრივი აღრიცხვა, ეს ჯერ. ასე ვსთქვათ, სოციალისტური საზოგადოების რაღაც ჩონჩხის მაგვარია“. (ტ. XXI, გვ. 260).

მიზითებები თემის ვარშემო.

მეორე თემა ეხება საბჭოთა აღრიცხვის თავისებურებებს. ამისათვის უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ნათლად ვაითვალისწინოთ საბჭოთა სოციალისტური სამეურნეო სისტემის დამახასიათებელი ნიშნები. სასარგებლოა პარალელი გავატაროთ თანამედროვე საზოგადოების ორ სამეურნეო სისტემას, სასელდობრ კაპიტალისტურ და საბჭოთა სისტემას შორის. აუცილებელია განსაკუთრებით შევჩერდეთ საბჭოთა სოციალისტური სამეურნეო სისტემის ყოვლ უპირატესობაზე. საბჭოთა აღრიცხვის თავისებურებების გამორკვევის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა მეურნეობა გეგმიანი მეურნეობაა. აქედან ის გამომდინარეობს, რომ აღრიცხვა არ შეიძლება შემოიზღუდოს ცალკე ერთეულ მეურნეობათა ჩარჩოებით, როგორც ეს კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ხდება. ახლა აღრიცხვა განუყოფელად არის დაკავშირებული მოცემულ მეურნეობის მოქმედების გეგმასთან, ეს გეგმა კი თავისი მხრით, საერთო სამეურნეო, სახალხო, გეგმაზე არის დამოკიდებული საბჭოთა ეკონომიური სისტემის პირობებში, სამეურნეო აღრიცხვის, როგორც კონტროლის, რაციონალიზაციისა და გეგმიანობის ფარგლის მნიშვნელობის ვარკვევის დროს, პარალელი უნდა გავატაროთ აღრიცხვის მნიშვნელობასთან კერძო მეურნეობის პირობებში. გზა-და-გზა უნდა გავაშუქოთ, რატომ არ შეეძლო აღრიცხვას კაპიტალიზმის დროს შეესრულებია თავისი ამოცანა — ყველა სამეურნეო პროცესების ახრის ახსნა და სამეურნეო მდგომარეობის მართლაც მიუდგომელი გამორკვევა. დასასრულ უნდა შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ იცვლება აღრიცხვის ძირითადი პრინციპალური მიმართულება და ამოცანები საბჭოთა სოციალისტურ სამსაზურზე გადასვლის დროს.

საკონტროლო კითხვები.

1. რა ახასიათებს საბჭოთა ეკონომიური სისტემას?

2. რატომ არის შესაძლებელი საბჭოთა ეკონომიკის პირობებში სახალხო მეურნეობის მთელი დარგების აღრიცხვა მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით?

3. რატომ კვდება კაპიტალისტური აღრიცხვა განზოგადოებული სექტორი წამოწყება აღრიცხვაზე გადასვლისას?

4. რა არის საბჭოთა აღრიცხვის საგანი და შინაარსი?

5. როგორია საბჭოთა ქვეყნის განზოგადოებული სექტორის მეურნეობათა აღრიცხვის ძირითადი ამოცანა?

6. რაში გამოიხატება აღრიცხვის მნიშვნელობა სამეურნეო მოქმედების კონტროლისა, რაციონალიზაციისა და გეგმიანობის მხრივ?

7. რატომ არ შეეძლო აღრიცხვას ობიექტიურად შეესრულებია ყველა ეს ფუნქციები კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში?

8. როგორ აფასებდნენ მარქსი და ლენინი სამეურნეო აღრიცხვის მნიშვნელობას სხვადასხვა საზოგადოებათა პირობებში?

საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება

ბალანსის განმარტება.

ჩვენი მეცნიერება — საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებაა. ჩვენს გამოკვლევაში მეურნეობისა და სამეურნეო მოღვაწეობის გაჭოანგარიშების ფარგლებში უცვლელად ბალანსის ჩარჩოებში არის შეზღუდული, ამიტომ განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი მეცნიერების ძირითადი ცნების, სახელდობრ ბალანსის ცნების, განმარტება.

რა არის ბალანსი?

ბალანსის განმარტების დროს უნდა გამოვიდეთ მისი შემდეგი სამი ნიშნისაგან.

ა. ბ ა ლ ა ნ ს ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ნ ი შ ა ნ ი. უწინარეს ყოვლისა უნდა მივიღოთ ის უცვლელი დებულება, რომ ბალანსის ცნება განუშორებლად გულისხმობს გარკვეულ მეურნეობის ცნებას. ჩვენ, ყოველთვის, ბალანსზე რომ ვლაპარაკობთ, მეურნეობას ვგულისხმობთ. ბალანსზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ ამა თუ იმ მეურეობის ერთდროული არსებობის ფაქტიდან ვამოვდივართ. მაგრამ რათ არის ბალანსის ცნება უცვლელად დაკავშირებული მეურნეობის ცნებასთან? ეს იმიტომ, რომ ბალანსი თავისთავად სწორედ მეურნეობისა და მისი მუშაობის გამოხატულებაა. იქ, სადაც არ არის მეურნეობა, შეუძლებელია ბალანსის არსებობაც დავუშვათ. მეურნეობის არ არსებობა ბალანსის არ არსებობას იწვევს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბალანსი და ამავე დროს არ გვქონდეს წარმოდგენილი რეალურად და უდაოდ არსებული მეურნეობა. ეს არის ბალანსის პირველი ნიშანი.

აქედან ბალანსის პირველი და ყველაზე უფრო ზოგადი განმარტება: ბალანსი არის მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა.

ბ. ბ ა ლ ა ნ ს ი ს ნ ი შ ა ნ ი მ ე ო რ ე. მაგრამ, იმის თქმა, რომ ბალანსი მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების გამოხატულებაა, ჯერ კიდევ არ გვაძლევს ბალანსის სრულ დახასიათებას. ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვარკვიოთ, როგორ გამოიხატება მეურნეობა და სამეურნეო მოქმედება ბალანსში. აუცილებელია გამოვაცალკეოთ რაში მდგომარეობს მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედებათა ბალანსში გამოსახვის სპეციფიურობა და თავისებურება? ეს სპეციფიურობა და თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბალანსი მთელი მეურნეობისა და სამეურნეო ცხოვრების ყველა მოვლენების გამოხატულებას რ ი ც ხ ვ ო ბ რ ი ვ ი ს ა ხ ი თ გვაძლევს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ბალანსი გვაძლევს მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხვობრივს დახასიათებას.

მეურნეობის ცალკე ელემენტები, სამეურნეო მუშაობის ცალკე მხარეები მხოლოდ იმდენად შეიძლება შეტანილ იქნენ ბალანსში, რამდენათაც შესაძლებელია მათი რიცხვობრივი გამოსახვა, გამოანგარიშება. ამგვარად მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივი გამოსახვა ბალანსის ერთერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს. მაშასადამე, მთელი მეურნეობა და სამეურნეო ცხოვრების ყველა მოვლენები აღინიშნებიან ბალანსში რიცხობრივი გამოსახვის პრიზმაში გარდატეხილად. ბალანსში შედიან მეურნეობის მხოლოდ ის ელემენტები, რომელთა რიცხობრივად გამოსახვა შეიძლება. მეურნეობისა და სამეურნეო მოვლენათა ყველა ის ელემენტები, რომელნიც არ აღრიცხებიან, არ გამოიანგარიშებიან, ყველა ესენი ბალანსს გარეშე რჩებიან. ცხადია, სამეურნეო ფაქტების მთელი სიმრავლიდან ბალანსი მხოლოდ ისეთებს გამოჰყობს, რომელნიც შეიძლება გამოკვლეულ იქმნენ რიცხობრივი მეთოდით. ბალანსი მთელი მეურნეობა კი არ არის, არამედ მხოლოდ ანგარიშში გატარებული აღრიცხული მეურნეობა. ეს არის ბალანსის მეორე ნიშანი.

ამნაირად ზემოდმოყვანილი განმარტება შეიძლება შევავსოთ ამგვარად: ბალანსი არის მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედობის რ ი ც ხ ო ბ რ ი ვ ი გამომსახველი.

გ. ბ ა ლ ა ნ ს ი ს მ ე ს ა მ ე ნ ი შ ნ ა ნ ი, ბალანსის განმარტება, როგორც მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივი გამომსახველის, კიდევ არ გვაძლევს ბალანსის ამომწურავ დახასიათებას. თუ არ ამბარა იმის თქმა, რომ ბალანსი მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების გამომსახველია, საკმარისი არ არის აგრეთვე ისეთი განმარტებაც, რომ ბალანსი ამ მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივი გამოსახულება არის. მოყვანილი განმარტება აუცილებლად საჭიროებს დამატებას, გამოანგარიშების სახელდობრ რომელ ერთეული უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა საბალანსო სიდიდეთა რიცხობრივი დახასიათებისათვის?

ბალანსისათვის დამახასიათებელია ის, რომ (აღრიცხვის) ბალანსის შემადგენლობაში შემავალ ყველა სიდიდებისათვის ეს ერთეული ერთგვარი და საერთო უნდა იყვეს. ბალანსში მეურნეობის ცალკე ელემენტებისა და სამეურნეო ცხოვრების მოვლენათა რიცხობრივი გამოსახვის დროს აღრიცხვის ერთეულების მრავალგვაროვნება შეუძლებელია დაშვებული იქნეს. ბალანსის ცალ-ცალკე ელემენტები რომ ერთმანეთს შეეადაროთ და დავუპირისპიროთ, აუცილებელია ხელთ გექონდეს ყველა საბალანსო სიდიდეთა ე რ თ ი ს ა ზ ო მ ი. მხოლოდ ამგვარად არის მოსახერხებელი მეურნეობის და სამეურნეო პროცესების უფრო ზუსტი და სრული გამორკვევა. მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივი გამოსახვით. ბალანსი ააშკარავებს

იმ რაღაც საერთოს და ერთგვარს, რაც ცალ-ცალკე ყველა სამეურნეო ელემენტებსა და სამეურნეო ფაქტებს აქვს. ეს საერთო და ერთგვარი რიცხობრივი გამოანგარიშების ერთსა და იმავე ერთეულში გამოიხატება. აი რატომ არ შეიძლება დაუშვათ იმის შესაძლებლობაც-კი რომ ბალანსის ცალკე ელემენტები რიცხობრივად სხვადასხვა საზომის ერთეულში გამოისახებოდენ. ყველა იმ სიდიდეებს, რომელნიც მის შემადგენლობაში შედიან, ბალანსი ახასიათებს, როგორც ისეთს სიდიდეებს, რომელთაც რაღაც საერთო და ერთგვარი აქვს, რომელნიც ამის ძალით გამოისახებიან აღრიცხვის ერთს, საყოველთაო, უნივერსალურს ერთეულში. მაშასადამე, ბალანსი გვაძლევს მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივ გამოსახვას, მეურნეობის ყველა ელემენტების აუცილებლად ერთ საზომში გამოყვანის საფუძველზე, ეს არის ბალანსის მესამე ნიშანი.

აქედან შეგვიძლია ბალანსის ასეთი განმარტება მივიღოთ: ბალანსი არის მეურეობისა და სამეურნეო მოქმერების რიცხობრივი გამომსახველი აღრიცხვის უნიეერსალურსა და ერთგვარ ერთეულში.

ასეთია ბალანსის სამი არსებითი ნიშანი. მაგრამ სახელობრ რომელი ერთეული მივიღოთ, როგორც უნივერსალური საბალანსო საზომი? რა მივიღოთ ყველა საბალანსო სიდიდეთა საერთო საზომი?

საბალანსო საზომის პრობლემა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ბალანსის გასამარტავად ერთ-ერთ აუცილებელ და არსებით ნიშანს ერთი და საყოველთაო საზომი წარმოადგენს, ეს საზომი, ერთი და საყოველთაო უნდა იყვეს ბალანსის ყველა ელემენტებისათვის და მისი წყალობით ბალანსი მთლიანად წარმოვვიდგება, როგორც რამე დასრულებული და ერთგვარი. საბალანსო სიდიდეთა სხვადასხვა ერთეულში გაზომვა, სხვადასხვა ერთეულებში გამოანგარიშება უთუოდ უარყოფილი უნდა იქნეს, განვმარტოთ ნათქვამად

ა. შეიძლება მეურნეობის სხვადასხვა ელემენტები გავყოთ სხვადასხვა ჯგუფებად და ყოველი ჯგუფისათვის, მის თავისებურებათა მიხედვით, თავისი საზომი დავაწესოთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა ისეთი საზომები, როგორც სინათლისა, სითბოსი, მოცულობისა, სიგრძის და სხვა. ეს ისეთი ერთეულებია, რომელთა დანიშნულებაა მოცემულ საგანთა უშუალო გაზომვა. მათ შეიძლება ნატურალისტური საზომი ვუწოდოთ. ასეთი ნატურალისტური საზომებია კილოვატი, კალორიები, კილოგრამმი, მეტრი და სხვა. შესაძლებელია აგრეთვე ერთსა და იმავე დროს ვისარგებლოთ აღრიცხვის კომბინაციური ერთეულებითაც, როგორიც არის ტონნა-კილომეტრი, ცხენის ძალა, საათი, ადამიან-მანქანა დღე და სხვა.

მაგრამ უეჭველია, რომ საზომის ერთეულების ასეთი მრავალგვაროობა შეუძლებელია დავუშვათ ბალანსში, რადგანაც მაშინ ბალანსის ცალკე სიდიდეები არ შეგვეძლება ერთმანეთს შევადაროთ. ის საშუალებას გვართმევს ერთმანეთს შევადაროთ ისეთი საგნები, როგორიც სხვადასხვა კლასიფიკაციურ ჯგუფებს ეკუთვნიან, მართლაც, როგორ შევადაროთ ერმანეთს ერთი კილოგრამი ვაშლი და 2 კილოვატტი ელექტრონის ენერგია? ანდა I მეტრი ხავერდი და ერთი ტუნის ძალა-საათი? მაგრამ დასმულ პრობლემას ვერ გადასჭრის ვერც ერთი ჯგუფის საგნების გაზომვა ერთი და იმავე საზომით. მართლაც ერთი მეტრი შევიოტი და ერთი მეტრი ჩითი—ორიეე საზომის ერთსა და იმავე ერთეულშია გამოსახული, მაგრამ სამეურნეო ორგანიზაციის საერთო სისტემაში არ წარმოადგენენ ერთგვარი სამეურნეო მნიშვნელობისა და თანასწორი ხვედრი წონის საგნებს.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სხვადასხვა საზომების მრავალფეროვანებაერთგვარობაზე უნდა იქმნეს დაყვანილი. აქედან-დასკვნა, რომ ყველა საბალანსო სიდიდეთათვის აუცილებელია ერთი საერთო საზომის დაწესება. რა შეიძლება გამოდგეს ასეთ საზომათ?

ბ. თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ასეთ საზომად გამოდგება ფულადი საზომი. ნატურალისტური საზომებიდან ჩვენ გადავდივართ ღირებულებით, ან ვალორისტური საზომზე სხვადასხვა საგნების უშუალო გაზომვის ნაცვლად ჩვენ მათ დ ა ფ ა ს ე ბ ა ს მივმართავთ.

ზედმეტია ლაპარაკი იმ დიდი როლის შესახებ, რომელსაც ფული ასრულებს სასაქონლო კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. ამ პირობებში ფული ღირებულების საზომია, გაცვლის იარაღი, გადახდის საშუალება და დაგროვების იარაღი. ამ ფუნქციებიდან ჩვენთვის ყველაზე მეტად საგულისხმოა ფულის გ ა ზ ო მ ვ ი თ ი ფუნქცია, რომელშიაც ფული გამოდის, როგორც ღირებულების საზომი, ე. ი. როგორც ისეთი საქონელი რომელშიაც ყველა სხვა საქონელი გამოსახავს თავის ღირებულებას. ფული—საყოველთაო ღირებულებითი ეკვივალენტია, შრომის ყოველი პროდუქტის თანასწორშნიშვნელოვანი. „ფულში—ამბობს მარქსი—ქრება ყოველგვარი განსხვავება საქონელ შორის, რადგანაც ის სახელდობრ ყველა საქონლისათვის საერთო ეკვივალენტური ფორმაა. (კაპიტალი ტ. II გვ. 16 რუს. გამ.).

ღირებულება, როგორც ცნობილია, განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით, საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროს რაოდენობით. თანამედროვე ეკონომიური სისტემის პირობებში ასეთ უნივერსალურ საზომად ვერ გახდებიან ერთგვარი, საზოგადოებრივი აუცილებლობის შრომითი საათები. სა-

შუშაო დროს ერთეული, ან სხვანაირად რომა ეთქვათ, შრომითი საზომი არ შეიძლება ერთიან საბალანსო საზომად გამოვიყენოთ. ბალანსის ასეთ საზომს, თანამედროვე ეკონომიკის თავისებურებათა გამო, მხოლოდ ფულადი საზომი წარმოადგენს.

კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ფულის საშუალებით ირიცხება სხვადასხვა მატერიალური საგნები, რომელიც მეურნეობის განკარგულებაში იმყოფება. ფულით გამოისახება, სხვადასხვა ურთიერთობანი, მოცემულ მეურნეობასა და მის კორესპოდენტებს შორის დასასრულ ფულშივე აღირიცხება სამეურნეო ცხოვრების პროცესები. ეს იმიტომ ხდება, რომ ბალანსში მთელი სამეურნეო პროცესი, კარლ რენნერის გამოთქმით „მიღებულია როგორც ღირებულებათა ცვალებადობა... მეურნეობის მთელი საგნობრივობა, რომელიც ამ შენაკრებში (ბალანსში) იყრის თავს. რიცხობრივ სიდიდეებში გამოისახება, როგორც მრავალი ღირებულების ერთ ღირებულებისს ერთეულში გამოსახვა. („კაპიტალისტური მეურნეობის თეორია“ რუს. გამ. გვ. 80).

ამასადამე, ფულადი საზომია ის, რაც ბალანსის, როგორც ღირებულებითი მასების მდგომარეობისა და მოძრაობის, ყველა შემადგენელ ელემენტებისათვის ერთგვარი და უნივერსალური საზომის შონახვის პრობლემას სწყვეტს. ასეთია მდგომარეობა კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში.

გ. რა წარმოადგენს უნივერსალურ საბალანსო საზომს საბჭოთა ეკონომიკის პირობებში?

საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის პირობებში კაპიტალისტური საზოგადოების კატეგორიები ტრანსფორმაციას განიცდიან. საბჭოთა მეურნეობის ბალანსებიც იცვლებიან და გარდაქმნიან თავის ქსოვილებს. ფული უკვე აღარ ასრულებს იმ როლს, როგორსაც ის კაპიტალისტურს საზოგადოებაში თამაშობდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მომავლის საანგარიშო შრომით ნიშანს. გარდამავალი ხანის გარდამავალი ეტაპის იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ფულს საბოლოოდ არ აქვს დაკარგული ის მნიშვნელობა, რომელიც მას წინად ჰქონდა. საბაზრო ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, ახალი ეკონომიური პოლიტიკა კიდევ არსებობს პროდუქტების გაშლილი სოციალისტური გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის ჯერ არ არის დაწყობილი. „ჩვენ შეტევაზე გადავდივართ მთელი ფრონტის მანძილზე, მაგრამ ნეპს ჯერ კიდევ არ ვაუქმებთ, რადგანაც კერძო ვაჭრობა და კაპიტალისტური ელემენტები კიდევ რჩებიან საქონლის გრუნვა და ფულის მიმოქცევა კიდევ რჩება, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვაუქმებთ ნეპის დასაწყის სტადიას და ვანვითარებთ მის

შემდგომ სტადიას, ნეპის ახლანდელ სტადიას, რომელიც ნეპის უკანასკნელი სტადიაა". (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები" გვ. 655 რუს. გამ.)

თანამედროვე მომენტის პირობებში ფულს შეუძლია ერთიანი საბალანსო საზომის როლი შეასრულოს. მაგრამ საბჭოთა მეურნეობის განვითარების დიალექტიკის წყალობით ბურჟუაზიის ეს იარაღი ახლა მუშათა კლასის ინტერესებს ემსახურება.

ჩვენს პირობებში ფასი საბაზრო სტიქიისა და კონკურენციის საფუძველზე აღარ აღმოცენდება. ბალანსის შეფასება ეს არ არის წინანდელი საბაზრო შეფასება. მათ რეგულიაციას საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ახდენენ გეგმიანი წესით. მათი შინაარსი არსებითად იცვლება. ეს გეგმიანი პროლეტარული სახელმწიფოს გეგმიანი შეფასებაა. თუმცა განაწილება ერთგვარად ბაზრის საშუალებით სწარმოებს, მაგრამ თვითონ ბაზრის რეგულაციას სახელმწიფო ახდენს; ახლა წარმოება გეგმის საფუძველზე სრულდება და კონკურენცია არ არსებობს. ბალანსის შეფასებები, რომელნიც წინად ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გამომჟღავნების საბაზრო ფორმას წარმოადგენდა, ახლა გეგმის გამომჟღავნების გარეგნულ ფორმად იქცევა და „თავისი ლითონის ბეჭედრიალით ჯერ კიდევ თვალის მომჭრელი ფულის"(მარქსი) ცინიკურ წკრიალთან ერთად უკვე მოისმის გამარჯვებული და ეკონომიურ ბრძოლებში განმტკიცებული სოციალიზმის მუსიკა.

აქედან შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივიდეთ. საბჭოთა მეურნეობის განვითარების მოცემულ ისტორიულ საფეხურზე ერთიან საბალანსო საზომს ფულადი საზომი წარმოადგენს. დროს ამ ისტორიულად განსაზღვრულ ნაჭერზე ყველა საბალანსო სიდიდეები თავის გარეგან გამოსახულებას და აღრიცხვას ფულად შეფასებაში ღებულობენ. მაშასადამე, საბჭოთა მეურნეობის პირობებში ბალანსი წარმოადგენს აგრეთვე მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივ გამომსახველს ერთიან და უნივერსალურ ფ უ ლ ა დ - ს ა ზ ო მ შ ი.

საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების ხისტემა

საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების წინაშე სამი ძირითადი ამოცანა სდგას:

პ ი რ ვ ლ ი ამოცანა მეურნეობის შესწავლა ბალანსის საფუძველზე.

მ ე ო რ ე ამოცანა—მეურნეობის მუშაობის გამორკვევა ბალანსის საფუძველზე.

მ ე ს ა მ ე ამოცანა—მეურნეობის და მისი მოქმედობის გამოკვლევა ბალანსის საფუძველზე. ეს სამი ამოცანა განსაზღვრავს საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების შემდეგ სისტემას:

ა) მოძღვრება ბალანსის აგების მეთოდების შესახებ.

ბ) მოძღვრება ბალანსის ცვლილებათა გამორკვევის მეთოდების შესახებ.

გ) მოძღვრება ბალანსის გამოკვლევის მეთოდების შესახებ.

განვიხილოთ საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების ყველა ეს სამი განყოფილება საკითხის ზოგადად დასმის წესით.

1. ბალანსი, როგორც აღვნიშნეთ, მთელი მეურნეობისა და ყველა მისი შემადგენელი ელემენტების გამომსახველია ფულად საზომში. ჩვენ შევიცნობთ მეურნეობას მისი ბალანსის მიხედვით. როცა გვსურს მეურნეობის სრული სურათი გვქონდეს, ჩვენ ამ მეურნეობის ბალანსს მივმართავთ. აქედან სჩანს, როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ბალანსის აგების მეთოდებს. აშკარაა, ბალანსმა უნდა მოგვცეს მეურნეობის ყველა ელემენტების სისტემაში მოყვანილი და მწყობრათ დაჯგუფებული გამოსახულება მათ ლოგიურს კავშირსა და დასრულებულებაში.

კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ბალანსის აგება გართულებულია შებულია იმის გამო, რო მ იქ წინასწარ ნთელი მოცულობით ბალანსის შეცნობა არ შეიძლება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ბალანსი ფულადი გამოსახულებაა ცალკე ერთეული მეურნეობისა, რომელიც კერძო საკუთრების უფლებით ეკუთვნის ერთს, ან რამდენიმე მფლობელს. მეურნეობის შემადგენლობისა და აგებულობის წინასწარ ასახვა მეტად შეზღუდულ ფარგლებშია შესაძლებელი. წარმოების ანარქია და კაპიტალისტური ბაზრის სტიქიური კანონები ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

ყოველივე ეს ძირიანად იცვლება, როგორც კი ორგანიზაციქმნილ საბჭოთა მეურნეობის ბალანსებზე გადავალთ. საბჭოთა მეურნეობის ბალანსი წინასწარ შეიძლება დაგეგმილ იქნეს თვით მეურნეობის აგებულობის გეგმის თანახმად. ბალანსის აგებულება, მისი ძირითადი ნაწილები, თანაზომირება მის ცალკე ნაწილებ შორის—ყოველივე ეს წინასწარ შეიძლება დავსახოთ, ყოველივე ეს წინასწარ ისაზღვრება თვითონ მეურნეობის აგებულების გეგმით. ასეთს პირობებში ბალანსი მთლიანად ჩვენი ქვეყნის მასშტაბში. სახალხო მეურნეობის მთელი განზოგადოებული სექტორის და მისი ცალკე დარგების რიცხობრივი გამომხატველია ფულადი ერთეულის საფუძველზე. ბალანსი ახლა მჭიდროდ და განუშორებლად უკავშირდება მეურნეობის გეგმას. თვით ბალანსის აგებულება ამ მხრივ სხვა არაფერია, თუ არა მეურნეობის ძირითად განჭრათა გეგმა.

მეურნეობის სრული და ამომწურავი ბალანსის აგება—ასეთია საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების პირველი ამოცანა.

2. მაგრამ არ კმარა დავკმაყოფილდეთ ბალანსის მხოლოდ აგებით. არ კმარა მარტო მისი კონსტრუქციის ან არქიტექტონიკის გამორკვევა. საქმე ის არის, რომ ბალანსი სტაციონარულ მდგომარეობაში არ იმყოფება ისევე, როგორც უძრავად არ რჩება თვითონ მეურნეობაც. როგორც მეურნეობის გამომსახველი, ბალანსი ბუნებრივად ყველა იმ ცვლილებების ანარეკლია, რომელნიც მეურნეობის შემადგენლობაში ხდება და სამეურნეთ მოქმედებას სდევს შედეგად. მაშასადამე, სამეურნეო მუშაობის პროცესები ცვლილებას იწვევენ მეურნეობის შემადგენლობაში, ხოლო ამით ბალანსის შემადგენლობაშიაც, როგორც ამ მეურნეობის გამოსახვაში.

ეს ცვლილებები ბალანსის შემადგენლობაში თითქო სამეურნეო მუშაობის ძირითადი ხაზების ანარეკლია. თუ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში სამეურნეო მუშაობის ამ ხაზების წინასწარ ასახვა მეტად განსაზღვრულ ფარგლებში არის შესაძლებელი, სამაგიეროდ საბჭოთა მეურნეობის პირობებში საქმე ძირიანად იცვლება. ყოველ მეურნეობას აქვს თავისი მომავალი სამეურნეო მუშაობის გარკვეული და ზუსტი გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს ოპერაციებისა და შემადგენელი ნაწილების ცვლილებათა შესაძლებელ ტიპებს მეურნეობაში, ხოლო ამით ბალანსშიაც. ბალანსის ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის ხაზი ამ მხრივ სამეურნეო მუშაობის ერთგვარ პერსპექტიულ გეგმას წარმოადგენს.

როდესაც ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციების განხორციელების საფუძველზე ბალანსის ცალკე ელემენტებს შორის ურთიერთობის ხაზებს ვამყარებთ, ჩვენ ამით თითქო, წინასწარ ვგეგმავთ ბალანსის ცალკე ელემენტებს შორის შესაძლებელ განჯგუფებებს. მაშასადამე ბალანსი არა მხოლოდ მეურნეობის ძირითად განჭრას გამოსახავს, არამედ სამეურნეო მუშაობის ძირითადი ხაზებსაც. ბალანსის შემადგენლობაში სამეურნეო პროცესების მიერ გეგმის თანახმად გამოწვეული ცვლილებების გამოაშკარავება და აღნიშვნა (ფიქსაცია) — ასეთია საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების მეორე ამოცანა.

3. დასასრულ, საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება თავის მიზნად ისახავს აგრეთვე მეურნეობის მოქმედების გამოკვლევას ბალანსის მიხედვით დროს ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში. ცხადია, რომ მეურნეობის ამ გამოკვლევასაც არსებითად სამეურნეო ბალანსის გამოკვლევისაკენ მივყევართ, ხოლო ბალანსის გამოკვლევა აუცილებლად აწყდება გეგმას. საბჭოთა მეურნეობა — გეგმიანი მეურნეობა; როდესაც რომელიმე მეურნეობის მუშაობას ვეცნობით, აუცილებელია განუწყვეტლივ ვარკვიოთ, თუ რამდენად შეეფერება ეს მოქმედება ამ მეურნეობის მიერ დასახულ გეგმას. ამრიგად, მეურნეობის გამოკვლევა ბალანსის საფუძველზე, საბოლოოდ, კონტროლია სამე-

ურნეო გეგმის შესრულებისა და გამომჟღავნება იმ ეფექტისა, რომელიც ამ გეგმის შესრულებიდან გამომდინარეობს. მეურნეობის გამოკვლევა ბალანსის საფუძველზე საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ სამეურნეო მუშაობის ყოველ ხარეს, გამოვარკვიოთ ნამდვილი, მთელი „სამეურნეო სწორი ხაზის რთული მრუდე“ მეურნეობის გამოკვლევა ბალანსის საფუძველზე ააშკარავებს მეურნეობის მუშაობის მთელს ეფექტს კლასის ინტერესების თვალსაზრისით. აქედან ბალანსის გამოკვლევა ხელს უწყობს ერთდროულად მომავალი სამეურნეო მუშაობის გეზის დასახვას იმ მიღწევათა საფუძველზე, რომელიც წარსულში შესრულებულ გეგმისაგან გვაქვს.

მეურნეობის მოქმედების გამორკვევა დროის ამა თუ იმ მანძილზე მეურნეობის ბალანსის მიხედვით და მის გეგმისთანახმად, მეურნეობის მუშაობის ეფექტიურობის გამორკვევა მომავალი მუშაობი გეზის ასაღებად—ასეთია საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების მესამე ამოცანა. ასეთია მთლიანად საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების სისტემა.

საბალანსო აღრიცხვის მეცნიერება, მთლიანად აღებული, გულისხმობს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს. მაგრამ ამ შემთხვევაში თეორია და პრაქტიკა არ შეიძლება ერთმანეთს დაუპირდაპიროთ. საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების თეორია და პრაქტიკა ერთს და მწყობრ მთელს უნდა წარმოადგენდეს.

მართლაც, საუკეთესო და გამოქანდაკებული თეორიული ანაგები ბოლოს და ბოლოს შესაძლებელია განყენებული აზრის უსიცოცხლო ნაყოფად გადაიქცეს, თუ მას საფუძვლად ნამდვილი ფაქტების ღრმა შესწავლა არ უძევს.

მაგრამ, მეორის მხრით, თვით პრაქტიკაც თუ თეორიულად განზოგადოებული დაკვირვებისა და ანალიზისაგან გამოვთიშეთ, ერთმანეთ შორის სრულიად დაუკავშირებელ ხერხებისა და წესების შემთხვევით ქაოსად იქცევა და ხელოსნობისა და უხეში მუშაობის დაღს ატარებს.

ამრიგად, პრაქტიკა, თუ ის ხელმძღვანელი შიმოქმედებითი აზრის ძაფებით არ არის შეკავშირებული, მეცნიერულის მხრით ისევე უსუსურია და უმიზნო, როგორც თეორია, რომელსაც საფუძველში პრაქტიკული მუშაობა არ უდევს და გამოცდილებით შემოწმებული არ არის. ცხადია, ისეთ თეორიას სჭირდება აგება, რომელიც პრაქტიკაზეა დამყარებული, მაგრამ ამავე დროს საშუალებას იძლევა შემთხვევითი პრაქტიკული ხერხებიდან ნამდვილი მეცნიერულ პრინციპებამდე ავმაღლდეთ.

„თეორია—ოუ ის ნამდვილი თეორიაა, პრაქტიკოსებს აძლევს ორიენტაციის ძალას, პერსპექტივის სინათლეს, დაჯერებულობას მუშაობაში და რწმენას ჩვენი საქმის გამარჯვებაში". (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები" რუს გამ. გვ. 546).

აქვე აღვნიშნავთ, რომ მომავალში აუცილებლად მოხდება საბალანსო, სტატისტიკური, ოპერატიული და კალკულაციური აღრიცხვის გაერთიანება. სამეურნეო აღრიცხვის ამ ცალკე სახეების ნაცვლად უნდა იქნეს მეურნეობისა და სამეურნეო მუშაობის დასრულებული, სავსე და ყოვლის მომცველი აღრიცხვა. სამეურნეო მუშაობის და აღრიცხვის ტეხნიკის შემდგომი განვითარება საზოგადოებრივ მეურნეობის პირობებში მოასწავებს სამეურნეო აღრიცხვის ცალკ სახეების შეერთებას, გაერთიანებასა და შეზრდას ერთიან, მწყობრ გეგმიან და მთლიან სამეურნეო აღრიცხვად.

მითითებები თემის გარშემო.

მესამე თემა შეეხება უმთავრესად ბალანსისა და საბალანსო აღრიცხვის სისტემის განმარტებისა და დასაბუთების საკითხს. განმარტების დროს დაუშვებელია გამოვიდეთ ბალანსის წმინდა გარეგნულ და ტეხნიკურ ნიშნებისგან. ამიტომ მოძველებულად და უსწოროდ უნდა მივიჩნიოთ ისეთი განმარტებები, რომელნიც მხოლოდ წმინდა გარეგნული ნიშნებიდან გამოდიან, როგორც მაგალითად ისეთი განმარტება, რომ ბალანსი ცხრილიან წონასწორობა, როგორც სასწორის ორი თეფში და სხვა. ბალანსის განმარტების დროს უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიდეთ მისი რეალური შინაარსიდან და იმ ძირითად ნიშნებიდან, რომელთა გარეშე შეუძლებელია ბალანსის ცნების შექმნა. ასეთი ნიშანი სამია: ბალანსი წარმოუდგენელია მეურნეობის გარეშე, ის წარმოუდგენელია ამ მეურნეობის რიცხვობრივი გამოსახულობის გარეშე და დასასრულ ბალანსი წარმოუდგენელია, თუ ყველა მისი ელემენტი ერთი და იმავე ერთეულით არ არის გაზომილი. რადგანაც ბალანსის აქ მოყვანილი განმარტება განსხვავდება აღრიცხვის წინანდელი თეორიის მიერ ბალანსის ძველი და ტრაფარეტული განმარტებებიდან, ამიტომ საჭიროა მისი საფუძ ლიანი დამუშავება.

შემდეგ აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ ყველა საბალანსო სიდიდეთა ასეთ ერთიან და საყოველთაო საზომად მოცემულ ისტორიულ ეტაპზე მხოლოდ ფულადი საზომი შეიძლება გამოდგეს. აქვე უ და გამოირკვეს განსხვავება საბალანსო შეფასებისა კაპიტალისტურს საზოგადოებაში, სადაც ეს შეფასება ბაზრის საფუძველზე ჩნდება, საბალანსო შეფასებიდან საბჭოთა მეურნეობის პირობებში, სადაც ეს შეფასება წინასწარ ექვემდებარება გარკვეულ ნორმებს და ემორჩილება მთელი საზემწიფოს სამეურნეთ მუშაობის „ეგმის რეგულაციას.

საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების სისტემის დამუშავების დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ ეს მეცნიერება წარმოადგენს ერთიანს სამეცნიერო დისციპლინის, მხოლოდ გაყოფილს სამ ნაწილად მეურნეობის ბალანსის შესწავლის მიზნების შესაბამისად. აუცილებელია აგრეთვე იმის გარკვევაც, რომ მომავალში უთუოდ ხდება საბალანსო, სტატისტიკური, ოპერატიული და კალკულაციური აღრიცხვის შეზრდა ერთს მთლიან სამეურნეო აღრიცხვაში ერთ მეთოდოლოგიითა და ერთი ტეხნიკით.

ხაკონტროლო კითხვები.

1. რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ბალანსი, თუ გარკვეული მეურნეობის არსებობა არ დავუშვით?

2, რა დახასიათებას აძლევს ბალანსი მეურნეობის ყველა ელემენტებს და სამეურნეო ცხოვრების მოვლენებს?

3. შეიძლება თუ არა, შევადგინოთ ბალანსი, თუ მისი ცალკე ელემენტები სხვადასხვა ერთეულებშია აღრიცხული?

4. როგორია ბალანსის სრული განმარტება?

5. რა წარმოადგენს საბალანსო სიდიდეთა საყოველთაო საზომს თანამედროვე ეკონომიკის პირობებში?

6. როგორია საბალანსო შეფასებათა განსხვავება კაპიტალისტური და საბჭოთა სამეურნეო სისტემებში?

7. როგორ არის აგებული საბალანსო აღრიცხვის მეცნიერების სისტემა?

8. როგორია მოშავლისათვის მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების აღრიცხვის მეცნიერების პერსპექტივები?

ბალანსის აგებულება

რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს ბალანსი

რომ ბალანსი მეურნეობისა და სამეურნეო მუშაობის ნამდვილი გამომსახველი იყვეს, ამისათვის უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ბალანსის რ ე ა ლ ო ბ ა, ე. ი. რომ ის მეურნეობის ნამდვილ ვითარებას შეეფერებოდეს. ბალანსმა განუწყვეტლივ და ზუსტად უნდა არკვიოს მეურნეობის ყველა ელემენტები და სამეურნეო მუშაობის ყველა ფაქტები. რაში გამოიხატება ბალანსის ეს რეალობა?

ა. ბალანსი პირველ ყოვლისა უნდა იყოს. ს რ უ ლ ი. ბალანსის სისრულე გულისხმობს რომ ის ყოველმხრივ მოიცავს მეურნეობის ყველა ელემენტებს და სამეურნეო ცხოვრების ყველა მოვლენებს, სამეურნეო ცხოვრების არცერთი მხარე არ უნდა იყოს ბალანსისაგან დაფარული. სამეურნეო ცხოვრების ყოველმა ფაქტმა, რომელიც-კი შესაძლებელია ფულად საზომში აღირიცხოს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ბალანსში.

ბ. შემდეგ ბალანსი უნდა იყოს ს წ ო რ ი, ეს ნიშნავს იმას, რომ ბალანსის ყველა რაოდენობითი შეფასებები სავსებით უნდა შეეფერებოდენ სინამდვილეს. უეჭველია, რომ ბალანსის შეფასება საბალანსო აღრიცხვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მეთოდთაგანია. მეურნეობისა და სამეურნეო მოღვაწეობის ყველა ელემენტები უნდა გამოანგარიშებულ იქნენ ერთსა და იმავე ფულად ვალიუტაში, სახელდობრ ჩვენი ქვეყნის ვალიუტაში. ეს შეფასება მიუდგო-

შელი და ობიექტიური უნდა იყოს, ბალანსის შეფასების საქმეში პირადი სურვილების ან სუბიექტიური თვითნებობის რამე მომენტები აუცილებლად უნდა იქმნან განდევნილნი. ამ მხრივ საბჭოთა კანონმდებლობა ბალანსის ცალკე მუხლების შეფასების მკაცრ რეგლამენტაციას აწესებს და ბალანსის შეფასების საქმეში ერთგვარობა და უნიფიკაცია შეაქვს.

გ. ბალანსი, დასასრულ, უნდა იყოს ნ ა თ ე ლ ი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბალანსის ცალკე ნაწილებს, ბალანსის ცალკე შემადგენელ ელემენტებს უნდა ჰქონდეთ ზუსტი და გასაგები დასახელება, რომელიც ბალანსის ყოველი ნაწილის ეკონომიურ შინაარსს გარკვევით გამოსახავს.

მთელი ბალანსი ამავ დროს ცალ-ცალკე ელემენტებად იყოფა. ბალანსის ყოველ ასეთს ცალკე, კერძო მყარ ერთობლივობას ა ნ გ ა რ ი შ ი ეწოდება. ანგარიში—ბალანსის ერთერთი ელემენტთაგანია. ცხადია, რომ მთელი ბალანსი იყოფა მის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებად ან ანგარიშებად და პირიქით, ყველა ანგარიში, ერთად აღებული, გვაძლევს ერთსა და მწყობრ მთელს ან ბალანსს. ამაში მდგომარეობს ბალანსის სისტემატიზაციის მეთოდი. იმისათვის, რომ სისტემატიზაციის მეთოდმა თავისი დანიშნულება შეასრულოს, აუცილებელია, პირველ ყოვლისა ბალანსის ყველა ანგარიშების სრული და ამომწურავი აგებულება დავამყაროთ, რომ ყოველი მათგანი გარკვეული ეკონომიური შინაარსით იყოს სავსე. მეორე, აუცილებელია რომ ბალანსის ანგარიშებში სჩანდეს მოცემული მეურნეობის ხვადასხვა განჭრა, როგორც მისი აგებულების გეგმა. აქედან—ბალანსის ანგარიშები შეიძლება განვიხილოთ, როგორც თვით მეურნეობის აგებულების თავისებური გეგმა. ბალანსის ანგარიშების სისტეა ამავე დროს მეურნეობის თავისებურებებთან და ტიპთან უნდა იყოს შეგუებული. შეიძლება განვასხვაოთ მომარაგებითი, მწარმოებელი და გამსაღებელი მეურნეობათა ანგარიშების სისტემა. ეს დამოკიდებულია ამ მეურნეობათა მუშაობის გვაროვნობასა და ხასიათზე.

პრაქტიკაში ბალანსის ყველა ანგარიშებს, თვით მეურნეობის აგებულობის გეგმის შესაფერად მწყობრად დალაგებულს, მჭიდროდ შეკავშირებულს და მოწესრიგებულს ს ა ა ნ გ ა რ ი შ ო გ ე გ მ ა ეწოდება. ამგვარად ბალანსის ანგარიშების გეგმა თვით მეურნეობის აგებულების ძირითად გაჭრას წარმოადგენს, ამ მეურნეობის გეგმის შესაფერს მაშასადამე, ყოველი ანგარიში, როგორც ბალანსის ნაწილი, აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული მეურნეობის გეგმასთან და უნდა შეიცავდეს მყარ და ერთგვაროვან ნიშნებს; ამ ნიშნების საშუალებით ეს ანგარიში უნდა გამოიყოფოდეს, განსხვავდებოდეს იმავე მე-

ურნეობის სხვა განჭრებისაგან, რაც ბალანსის სხვა ანგარიშებით გა მოისახება. მხოლოდ ამ პირობის დაცვით შეიძლება ბალანსის ერთი ანგარიშები ზუსტად განვსაზღვროთ იმავე ბალანსის სხვა ანგარიშებისაგან, რომელნიც თავის მხრივ ამ მეურნეობის სხვა აღრიცხულ განჭრას გვაძლევენ მეურნეობის გეგმის შესაბამად.

ამგვარად ბალანსის რეალობა მისი ხარისხობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით გულისხმობს ბალანსის ყველა ნაწილების თვალსაჩინო და ამომწურავ სისტემატიზაციას, სინამდვილესთან სრული შეთანხმებით. ბალანსის ყველა ელემენტებს უნდა ქონდეთ სწორი და გარკვეული დასახელება, ისე, რომ შეუძლებელი იყოს რაიმე თერმინოლოგიური გაურკვევლობა ან ბუნდოვანება. სწორედ ამგვარი თანმიმდევნო და მწყობრი სისტემატიზაციის შემწეობით იდვილდება სამეურნეო ვითარების სწორი დაფასების შესაძლებლობა და ბალანსის მიმოხილვაც თვალსაჩინო ხდება.

შევჩერდეთ აგრეთვე შემდეგზე. მეტად გავრცელებულია ჩვენი მეცნიერებისათვის ა ნ გ ა რ ი შ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს სახელწოდება. ამ შემთხვევაში იმას ემყარებიან, რომ ჩვენი მეცნიერება არის მეცნიერება ანგარიშების შესახებ, ე. ი. მეცნიერება, რომელსაც თავისი შესწავლის საგნად ცალკე ანგარიშები გაუხდია. მაგრამ სწორია, თუ არა ასეთი მტკიცება? მართლაც წარმოადგენს თუ არა ჩვენი მეცნიერების შესწავლის საგანს ცალკე ანგარიშები?

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ანგარიში თავის არსებით არის მთელი ბალანსის მხოლოდ შემადგენელი ელემენტი, შემადგენელი ნაწილი. ამიტომ, თუ იქიდან გამოვალთ, რომ ბალანსი ეს მთელია, მაშინ ყოველი ანგარიში უნდა განვიხილოთ, როგორც ამ მთელის ნაწილი. მართლაც, ყოველი ანგარიში აუცილებლათ უნდა ეკუთვნოდეს ამა თუ იმ გარკვეულ ბალანსს. შეუძლებელია, ისეთი ანგარიში წარმოვიდგინოთ, რომელიც მოცემულ კონკრეტულ ბალანსს არ ეკუთვნოდეს. ბალანსის გარეშე ანგარიშები არსებობის ყოველგვარ აზრს კარგავენ. მოცემული ბალანსის ყველა ანგარიშები ერთ ორგანიულ მთელს შეადგენენ. მაშასადამე ბალანსის ყველა ანგარიშები უნდა განვიხილოთ მათ ურთიერთ კავშირში, როგორც დასრულებული კარჩაკეტილი სისტემა. ცალკე აღებული, გამოთიშული, ერთმანეთთან განუწყვეტელი კავშირის გარეშე, ანგარიში არ შეიძლება ჩვენი მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს. ჩვენი მეცნიერების ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი დასრულებული, თავის თავად ჩაკეტილი სისტემა ანგარიშებისა, რომელიც ერთობლივად გვაძლევს ერთს ორგანიულსა და მწყობრ მთელს, სახელდობრ ბალანსს, როგორც მეურნეობის ასახვას. ჩვენი მეცნიერება იკვლევს ანგარიშებს მხოლოდ იმდენად,

რამდენადაც ისინი ბალანსის ნაწილს წარმოადგენენ და თავის სისტემიანი ერთობლივობაში იმავე ბალანსს გვაძლევენ, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ ჩვენი მეცნიერება საკუთრივ, ანგარიშებს-კი არ იკვლევს, არამედ ბალანსს, როგორც მეურნეობის ასახვას, მხოლოდ განაწილებულს, დაყოფილს ცალკე ანგარიშებათ, სისტემატიზაციის მეთოდის მიხედვით, იმ მიზნით, რომ ბალანსი უფრო თვალსაჩინო და სანახავად მოხერხებული იყოს.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი განმარტებაში სრულიათ გამქრალია ყველაზე მთავარი ცნება — ბ ა ლ ა ნ ს ი; მისი დაჭერა ამ განმარტებიდან შეუძლებელია. აი ამიტომ, ჩვენ მეცნიერების, საბალანსო აღრიცხვის მონათვლა ანგარიშმცოდნეობად, უარყოფილი უნდა იქნეს. ამიტომაც უფრო მართებულია დასაბუთებული ჩვენი მეცნიერებისათვის ბალანსის შესახებ მეცნიერების ან ბ ა ლ ა ნ ს მ ც ო ც დ ნ ე ო ბ ი ს სახელწოდება.

ბალანსის ანგარიშების კლასიფიკაცია

ბალანსი, როგორც მთელი, იყოფა ცალკე ნაწილებად ან ანგარიშებად. ბალანსის ცალკე ანგარიშებად დაყოფა უწინარეს ყოვლისა მეურნეობის აგებულების გეგმით უნდა განისაზღვრებოდეს; ამის გამო ყოველ ანგარიშს გარკვეული ეკონომიური შინაარსი უნდა ჰქონდეს. განვიხილოთ ამ მხრივ მეურნეობის ყველა საშუალებათა კლასიფიკაცია, როგორც ბალანსის ანგარიშების კლასიფიკაციის საფუძველი.

მეურნეობის ყველა საშუალებებს ჩვენ დავყოფთ შემდეგ ძირითად კატეგორიებად: ა) წარმოების სფეროში მყოფი საშუალებები, ან მოკლედ, წარმოების საშუალებები. ბ) მიმოქცევის სფეროში მყოფი საშუალებები, ან მოკლედ, მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი (საბრუნავი საშუალებები).

იმ საშუალებებში, რომელთა დანიშნულებას გარკვეული მეურნეობის წარმოების პროცესში მონაწილეობა შეადგენს, ვიგულისხმოთ ანგარიშები შრომის იმ იარაღებისა და მასალების რომელნიც აუცილებელი არიან საწარმოო პროცესის სწორი და მიზანშეწონილი შესრულებისათვის. სამეურნეო საშუალებათა ამ ჯგუფისათვის გახსნილ ანგარიშებს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ვუწოდოთ.

მიმოქცევის სფეროში მყოფ საშუალებებში ვიგულისხმოთ მოცემული მეურნეობის ყველა ის საშუალებები, რომელნიც ამ მომენტში წარმოების სფეროში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობენ და მიმოქცევის სტადიაში იმყოფებიან. საშუალებათა ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთნოთ პირველ რიგში: საქონლის და ფულადი სა-

შუალებები. სამეურნეო საშუალებათა ამ ჯგუფისთვის გახსნილ ანგარიშებს მიმოქცევის საშუალებათა ანგარიშები ვუწოდოთ. ამგვარად მიმოქცევის საშუალებათა ანგარიშები იყოფიან: 1) საქონლის ანგარიშებად და 2) ფულად საშუალებათა ანგარიშებად.

საქონლის ანგარიშებ ქვეშ ბალანსში, ჩვეულებრივად იგულისხმება წარმოების ანგარიშები ნაკეთობათა და პროდუქტების, რომელნიც გასასაღებლად არიან დამზადებულნი. ეს პროდუქტები და ნაკეთობანი შეიძლება საკუთარი წარმოების შედეგი იყოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ისინი მეურნეობამ მზა-მზარეულად მიიღო. ეს ნაკეთობანი ან მზა პროდუქტები რომ საქონელს მივაკუთნოთ, მათ აუცილებლად უნდა ექნეთ ის ნიშანი, რომ ამ საგნების დანიშნულებაა შემდგომი გასაღება.

მაგრამ აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ. საგანთა რომელიმე ჯგუფის საქონლის სახელწოდებით მონათვლა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში მაინც და მაინც მოხერხებული არ არის. საბჭოთა სამეურნეო სისტემის პირობებში საშუალებათა ამ ჯგუფს აქვს ტენდენცია თავისი ძველი, საქონლის სამოსი გაიძროს და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების შესაბამისად გარდაიქმნას უბრალო შრომის პროდუქტებად ან უფრო სწორედ, როგორც ეს თავის დროზე ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, „პროდუქტებად, რომელნიც საზოგადოებრივ მოხმარებაზე მიდიან ბაზრის გარეშე". მაგრამ ჩვენი მეურნეობის განვითარების ახლანდელს საფეხურზე, გარდამავალი პერიოდის ახლანდელი გარდამავალი ეტაპის პირობებში, ნეპის და საბაზრო ურთიერთობათა შენახვის საფუძველზე, შეიძლება საბალანსო მასის ამ ჯგუფისათვის ძველი სახელწოდების—საქონლის დატოვება. ამგვარად საქონლის ანგარიშებ ქვეშ ბალანსში იგულისხმება ანგარიშები იმ პროდუქტების და ნაკეთობათა, რომელნიც ჩვენ გვაქვს მეურნეობაში, და გასასაღებლად არიან განკუოვნილი.

ამ ჯგუფში შედის: ა) ჩვენი წარმოების ის საქონელი, რომელიც ნაწილდება ჩვენში გეგმიანი მომარაგების საფუძველზე და ბ) ის საქონელი, რომელიც მოხმარებაზე მიდის ბაზრის გზით, მართალია, თუმცა, საბჭოთა ბაზრის გზით: ე. ი. ისეთი ბაზრის, რომლის რეგულაცია და გარკვეულ ნორმებში ჩაყენება პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკით არის უზრუნველყოფილი ბაზრის, რომლისთვის უცნობია ანარქია და კონკურენცია.

დასასრულ ფულად საშუალებათა ანგარიშებში იგულისხმება ჩვენს განკარგულებაში მყოფ ნაღდი ფულის ანგარიშები.

მიმოქცევის საშუალებათა ანგარიშების სია სრული არ იქნება, თუ აქვე არ მოვიხსენიეთ აგრეთვე ანგარიშსწორების ანგარიშები, ე. ი. ანგარიშები, რომელნიც ამ მეურნეობასა და სხვა მეურნეობათა

ან კორრესპონდენტთა შორის ფულად ერთეულში აღრიცხულ ურთიერთ ანგარიშებს გამოსახვენ. ცნობილია, რომ ყოველი მეურნეობა ამა თუ იმ საქმიან ურთიერთობაში იმყოფება სხვა მეურნეობებთან. თუ ასეთი ურთიერთობა აუცილებელი იყო კაპიტალისტური საზოგადოების სტიქიური მეურნეობის დროს, საბჭოთა სამეურნეო სისტემის პირობებში ის კიდევ უფრო აუცილებელია, როცა ყოველი მეურნეობა არსებითად მხოლოდ ცალკე რგოლია მთელი განზოგადოებული სახალხო მეუნეობის გრძელი ჯაჭვისა.

კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ბალანსში ისახებოდა საკანონმდებლო აქტების მიერ მოწესრიგებული სავალდებულო უფლებრივი ურთიერთობანი. ეს სავალდებულო უფლებრივი ურთი ერთობანი საბოლოოდ გულისხმობდენ შემდეგ ორ კატეგორიას:

1. სამეურნეო მუშაობის პროცესში აღმოცენებული უფლება რომელიმე მეურნეობის მიერ სხვა მეურნეობებისათვის მოთხოვნის წამოყენებისა.

2. ამ მეურნეობის მიერ სხვა მეურნეობათათვის გადახდის ვალდებულებანი. მასთან პრაქტიკამ სამეურნეო ბრუნვითს ამ სავალდებულო უფლებრივ ურთიერთობათათვის შემდეგი სახელწოდება დააწესა.

ამ მეურნეობის მიერ სხვა მეურნეობათაგან მოთხოვნის უფლებას დ ე ბ ი ტ ო რ ე ბ ს უწოდებენ. პირიქით ამ მეურნეობის ვალდებულებას სხვა მეურნეობათა წინაშე კ რ ე დ ი ტ ო რ ე ბ ს უწოდებენ. ამგვარად, ბალანსში, დებიტორები და კრედიტორები ასეთ მნიშვნელობას ღებულობენ:

1. დებიტორების ანგარიში ნიშნავს ამ მეურნეობის მიერ სხვა მეურნეობათაგან მოთხოვნის უფლების ანგარიშს,

2. კრედიტორების ანგარიში ნიშნავს ამ მეურნეობის მიერ სხვა მეურნეობათათვის გადახდის ვალდებულებას.

საკითხავია, რჩება თუ არა ამგვარი სავალდებულო უფლებრივი ურთიერთობანი ცალკე მეურნეობათა შორის. საბჭოთა ეკონომიური სისტემის პირობებში? საჭირო არაა ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ქვეყნის განზოგადებული სექტორის ცალკე მეურნეობათა შორის ურთიერთობას კიდევ მეტი ხვედრი წონა აქვს და მეტი მნიშვნელობა, რადგანაც განზოგადოებული სექტორის ერთი მეურნეობა თავის მუშაობაში უფრო მჭიდროდ არის იმავე სექტორის სხვა მეურნეობებთან დაკავშირებული ს. ს. რ. კ. სახალხო სამეურნეო გეგმის ცალკე ნაწილების შესრულების საქმეში. მაგრამ ეს ურთიერთობანი მნიშვნელოვნად ჰკარგავენ თავის ძველ ხასიათს. წინათ ეს იყო ურთიერთობა, ცალკე, გარეგნულად თითქო კარჩაკეტილ, დამოუკიდებელ ერთეულ მეურნეობათა შორის, რომელიც კერძო სა-

კუთრების უფლებით ეკუთვნოდა ერთ მწარმოებელს ან მწარმოებელთა ჯგუფს.. ამის გამო ამ ურთიერთობათა იურიდიულ ხასიათს თავის საფუძვლად სრულიად სხვა დასაფუძვნება ჰქონდა. ეს იყო დავალიანების ურთიერთობა ცალკე კაპიტალისტ მესაკუთრეთა შორის. საწამოწყებო სამეურნეო მოქმედების ნიადაგზე. საბჭოთა მეურნეობის პირობებში ამ ურთიერთობათა ხასიათი იცვლება. ახლა ეს ურთიერთობაა, რომელსაც ერთიანი მეურნეობის სხვადასხვა წერტილებს შორის შინაგანი ურთიერთ ანგარიშგასწორების ნიშანი უფრო ახასიათებს. ეს ის შინაგანი ანგარიშგასწორებებია, რომელიც სახალხო მეურნეობის ერთიანი ბალანსის შედგენის დროს ერთმანეთს ანაზღაურებენ და ბალანსში სრულიად არ არიან მოთავსებული. მაშასადამე, ამ პირობებში არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს საბჭოთა მეურნეობის ბალანსში სავსებით შენახული იყოს ძველი ურთიერთობა მოცემული მეურნეობისა სხვა საბჭოთა მეურნეობებთან, ურთიერთობა, რომელიც დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშებში ჩამოისხ�ება.

ამ მხრივ საბჭოთა მეურნეობის ბალანსების აგებულებაში საკრედიტო რეფორმამ დიდი გარდატეხა მოახდინა. საკრედიტო რეფორმის შემდეგ ყველა ურთიერთობა, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში განზოგადოებული სექტორის ცალკე მეურნეობათა შორის სამეურნეო მუშაობის ნიადაგზე აღმოცენდება მოსპობილია (ლიკვიდაცია ქმნილია) სახელმწიფო ბანკის ანგარიშის საშუალებით ურთიერთ შორის ანგარიშების ნაღდი ფულის გარეშე გასწორების საფუძველზე. ამიტომ საბჭოთა მეურნეობის ბალანსში არ შეიძლება ადგილი ექნეს დებიტორთა და კრედიტორთა ანგარიშებს, როგორც მოცემული მეურნეობის უფლება-ვალდებულებათა ჯამს განზოგადოებული სექტორის სხვა მეურნეობათა მიმართ. ეს ურთიერთობანი გამოსახულებას პოულობენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე, რომლის მიხედვით ირკვევა განზოგადოებული სექტორის შიგნით საშუალებათა თითქო გადასვლ-გადმოსვლა საბჭოთა სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებს შორის.

რაც შეეხება ურთიერთობათ, რომელიც აღმოცენდება საბჭოთა მეურნეობების ოპერაციების ნიადაგზე განუზოგადებელ სექტორთან საბჭოთა კავშირის შიგნით ან მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზართან ს. ს. რ. კავშირის საზღვრებს გარეთ, ეს ურთიერთობანი, სოციალისტური მშენებლობის განვითარების ეხლანდელ სტადიაში, შეიძლება საბჭოთა მეურნეობის ბალანსში დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშებში გამოისახოს. ბალანსში შეინახება დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშები, რომელიც შეიძლება შემდეგ ორ ჯგუფად გაიყოს: 1) დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშები

ქვეყნის შიგნით განუზოგადებელ სექტორთან წარმოებულ ოპერაციებზე, ან მოკლედ განუზოგადებელ სექტორის დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშები. 2) დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშები კაპიტალისტურ მსოფლიო ბაზართან წარმოებულ ოპერაციებზე. მოკლედ ამ ანგარიშებს შეიძლება უწოდოთ ბალანსში საზღვარგარეთულ დებიტორებისა და საზღვარგარეთულ კრედიტორების ანგარიშები. რაც შეეხება განზოგადებული სექტორის ოპერაციების ანგარიშების გასწორებას ეს როგორც უკვე ვსთქვით, ბალანსში გვხდება სახელმწიფო ბანკის, მხოლოდ ერთი ანგარიშის, ეგრედ წოდებული კონტოკორრენტის სახით.

ყოველივე ზემონათქვამის შედეგად ასეთი დასკვნა შეიძლება მივიღოთ. ბალანსის ყველა ანგარიშები, მათი ტ ე ხ ნ ი კ ურ - ე კ ონ ო - მ ი ურ ი შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ა) წარმოების საშუალებები, ბ) მიმოქცევის საშუალებები. წარმოების საშულებები შეიცავენ სხვადასხვა მოწყობილობების და საზოგადოდ შრომის იარაღების ანგარიშებს, აგრეთვე მასალების ანგარიშებს ე. ი. იმ საგნების, რომელნიც გადამუშავებულ უნდა იქნენ ახალი პროდუქტის მისაღებად. მიმოქცევის საშუალებათა ანგარიშები იყოფა, თავის მხრით ასეთ ანგარიშებათ: ა) ანგარიშები, საქონლის ე. ი. წარმოების გასასაღებლად დამზადებულ პროდუქტებისა, ბ) ანგარიშები ფულადი ე. ი. მეურნეობის განკარგულებაში მყოფ ნაღდ-საშუალებათა, დასასრულ გ) ურთიერთ-ანგარიშსწორების ანგარიშები, ე. ი. განზოგადებულ და განუზოგადებელ სექტორებთან (დებიტორების) ოპერაციების სწორების ანგარიშები.

საწარმოო, საქონლის და ფულად საშუალებათა ანგარიშებს სხვა, გვარად კიდევ მ ა ტ ე რ ი ა ლ ურ ი ანგარიშები ეწოდება, რადგან ისინი მატერიალურ საგანთა ამ ნივთების ანგარიშებს წარმოადგენენ. რაც შეეხება მსწორებელ ანგარიშებს, მათ ხშირად პრაქტიკაში უწოდებენ პირად ანგარიშებს, რადგანაც ისინი მოცემულ მეურნეობის სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობას არკვევენ.

სამეურნეოო რესურსების დაჯგუფება.

პრაქტიკაში შემოღებულია ბალანსის შემადგენელი ელემენტების ორი თვალსაზრისით გამოკვლევის ტრადიციული წესი. ერთის მხრით იკვლევენ სახელდობრ რა რესურსები იმყოფება მოცემულ მეურნეობის განკარგულებაში და დროს ამა თუ იმ მომენტში რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი. მეორის მხრივ იკვლევენ იმავე სამეურნეო-რესურსების წარმოშობის აღრიცხულ წყაროებს. და რადგანაც აღრიცხული სამეურნეო რესურსები აუცილებლათ გულისხმობენ იმავე რე-

სურსების წარმოშობის აღრიცხულ წყაროებს, ამიტომ ერთისა და მეორე სიდიდეების ერთობლივობა, აშკარაა, თანასწორობას უნდა წარმოადგენდეს.

განვმარტოთ ნათქვამი, რამდენიმე მაგალითით მოყვანილი დებულების საილუსტრაციოდ.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1. მეურნეობას აქვს შემდეგი რესურსები: საწარმოო საშუალებები 25.000, საქონელი 4.000, ფულადი საშუალებები 1.000 უნდა შევადგინოთ ამ მეურნეობის ბალანსი.

შეუდგეთ ამ მეურნეობის ბალანსის შედგენას ყველა სამეურნეო რესურსების განაწილების და მათი წარმოშობის წყაროების თვალსაზრისით.

ა) რესურსების განაწილება. ვნახოთ, როგორ არის განაწილებული ამ მეურნეობის რესურსები. ჩვენ ვხედავთ, რომ სამეურნეო რესურსების ნაწილი მოცემული წარმოების საშუალებათა სახით, ეს ნაწილი უდრის ბალანსში ჯამს 25.000. ის წარმოების პროცესისთვის არის მიკუთნებული. სამეურნეო რესურსების მეორე ნაწილი საქონლის სახით გვაქვს. ის აღწევს ბალანსში ჯამს 4.000. ეს ნაწილი შესდგება წარმოების პროდუქტებისაგან, ე. ი. წარმოებიდან გამოსული პროდუქტებისა და ნაკეთობათაგან. დასასრულ, სამეურნეო რესურსების უკანასკნელი ნაწილი ფულადი საშუალებათა სახით არის წარმოდგენილი. ის უდრის ბალანსში ჯამს 1.000. ეს ნაწილი მეურნეობაში ნაღდ საშუალებათა სახით გვაქვს. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ როგორ არიან განაწილებული ესა თუ ის სამეურნეო საშუალებები, ესა თუ ის სამეურნეო რესურსები, რომელნიც მოცემულ მომენტში გარკვეულ სამეურნეო ფუნქციებს ასრულებენ. მაგრამ, შეიძლება თუ არა, ბალანსის ასეთი სურათი სრულად მივიჩნიოთ? სამეურნეო რესურსების მოყვანილი განაწილება ამოსწურავს თუ არა ბალანსის დახასიათებას? სრულიად არა. ბალანსის დახასიათება არ შეიძლება სრულად ჩაითვალოს, თუ სამეურნეო რესურსების განაწილების გვერდით ჩვენ იმავე სამეურნეო რესურსების წამოშობის წყარო არ ვიჩვენეთ. ბალანსის ამომწურავი დახასიათება არ გვექნება, სანამ ჩვენ სამეურნეო რესურსების განაწილების სურათს არ შევავსებთ მათი წარმოშობის წყაროს სურათით.

ბ) რესურსების წყაროები. ჩვენ მეურნეობას გააჩნია სხვადა სხვა სამეურნეო რესურსი, წარმოების და მიმოქცევის სხვადასხვა საშულებები საერთო ჯამით 30.000. ბუნებრივათ იბადება საკითხი; რა წარმოშობისაა, რომელ წყაროდან არის ყველა ეს სამეურნეო რესურსი, წარმოების და მიმოქცევის ყველა ეს საშულებები?

გამოვიდეთ იქიდან, რომ ჩვენი მეურნეობა საბჭოთა ქვეყნის განზოგადოებული სექტორის ერთ-ერთ მეურნეობას წარმოადგენს. დაუშვათ, რომ ჩვენი მეურნეობა აქამდე არავითარ ურთიერთობაში არ ყოფილა განუზოგადებელ სექტორის მეურნეობებთან. ამიტომ მას ამ მეურნეობების მიმართ არც მოთხოვნის უფლება და არც გადახდის ვალდებულება არა აქვს. დაუშვათ აგრეთვე, რომ ჩვენს მეურნეობას აქამდე თავის სამეურნეო მუშაობაში ჯერ არ დასჭირებია ანგარიშსწორება სახელმწიფო ბანკის ერთიანი ანგარიშის შემწეობით. მაშინ საიდანღა გაჩნდა მეურნეობაში ყველა ზემოდ ჩამოთვლილი რესურსები?

დაუშვათ, რომ ყველა ეს სამეურნეო რესურსი გადასცა ჩვენს მეურნეობას სახელმწიფომ დასახული სამეურნეო ამოცანების განხორციელების მიზნით. ყველა ეს რესურსი, ამგვარად, წარმოადგენს საძირკველს ძირითად ბაზისს სამეურნეო მუშაობის განსავითარებლათ. ეს— საშუალებათა ის მარაგია, რომელიც აუცილებელია მეურნეობისათვის დასახული გეგმის განსახორციელებლად. ეს—ნორმაა, საზღვარი, რომელიც ნაჩვენებია წესდებაში. ამ ნორმის საფუძველზე მეურნეობამ მომავალში უნდა გაშალოს თავისი მუშაობა. მაშასადამე, ეს საშუალებები მოცემულ მეურნეობის განკარგულებაში იმყოფება მუშაობის დასახული გეგმის განსახორციელებლად. ამ საშუალებათა გამო ჩვენი მეურნეობა არც ერთი ორგანიზაციის წინაშე არ არის ჩვეულებრივად ვალდებული. ეს საშუალებები თვით მეურნეობის გავლენის სფეროშია და იქიდან მათი ამოღება არ შეიძლება, რა თქმა უნდა, ეს ასეა იმ მომენტამდე, სანამ სახელმწიფო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ასეთ გამოღებას საშუალებათა სხვადასხვა მეურნეობებს შორის გადაჯგუფების მიზნით. ამ თანხას ბალანსში საწესდებო სამეურნეო ფონდი ეწოდება. მას შეიძლება, აგრეთვე, საწესდებო, სახელმწიფო ფონდი ვუწოდოთ: ა) საწესდებო, რამდენათაც ეს თანხა ჩვეულებრივად მოცემულ მეურნეობის წესდებაში აღინიშნება, ბ) სახელმწიფო, რამდენადაც ამ ფონდის თანხა მეურნეობას სახელმწიფოსაგან გადაეცა.

ახლა შეგვიძლიან ბალანსი ამგვარად წარმოვიდგინოთ:

რესურსების განაწილება.		**რესურსების წყაროები.**	
საწარმოვო საშუალებები . .	25.000	საწესდებო ფონდი	30.000
სასაქონლო საშუალებები . .	4.000		
ფულადი საშუალებები . . .	1.000		
	30.000		30000.

აშნაირად, ჩვენ ვხედავთ, ერთის მხრით, როგორ არის განაწილებული სამეურნეო რესურსები, მათი როგორი ნაწილია მოთავსებული წარმოების საშუალებებში და როგორი—მიმოქცევის საშუალებები მეორის მხრით ჩვენ ვხედავთ ყველა სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყაროებს. ამ შემთხვევაში ყველა სამეურნეო რესურსების ერთადერთი წყაროა მეურნეობის საწესდებო ფონდი.

მაგალითი 2. მეურნეობას აქვს ასეთი რესურსები: საწარმოვო საშუალებები 15.000, სასაქონლო 3.500, ფულადი საშუალებები 1.500. უნდა შევადგინოთ ამ მეურნეობის ბალანსი.

შეუდგეთ ამ მეურნეობის ბალანსის შედგენას იმავე ორმაგი თვალსაზრისით: ყველა სამეურნეო რესურსების **განაწილების** და მათი **წარმოშობის წყაროების** თვალსაზრისით.

ა) რესურსების განაწილება. როგორ არის მეურნეობის რესურსები განაწილებული? ჩვენ ვხედავთ, რომ მეურნეობას აქვს სხვადასხვა; საწარმოო საშუალებები, ე. ი. შრომის იარაღები და მასალები 15.000; შემდეგ მეურნეობას აქვს საქონელი ე.ი. წარმოების ნაკეთობა და პროდუქტები, გასასაღებლად დამზადებული 3.500. დასასრულ, ბალანსის უკანასკნელ ნაწილს შეადგენს ფულადი საშუალებები, რომელიც ბალანსში უდრის 1.500. ასეთია სამეურნეო რესურსების განაწილების სურათი ბალანსის შედგენის დროს.

ბ) რესურსების წყაროები. როგორია ყველა ჩამოთვლილი სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყარო. დაუშვათ უწინარეს ყოვლისა, რომ სამეურნეო რესურსების ნაწილი 16.000 მ. რაოდენობით მეურნეობას გადასცა სახელმწიფომ. ამ საშუალებით მეურნეობა სარგებლობს და მუშავობს დასახულ სამეურნეო გეგმის განსახორციელებლად. ეს იმ საშუალებათა მარაგია, რომელიც ბალანსის შედგენის მომენტისათვის გამოუღებლად შეიძლება ჩავთვალოთ. ეს წყარო მეურნეობის საწესდებო ფონდია, ე. ი. ის ფონდი, რომელიც წესდებით გადაცემულია მეურნეობისათვის სახელმწიფო ორგანოების მიერ. მაგრამ ჩვენს მეურნეობას ამაზე მეტი საშუალებები აქვს. ჩვენი მეურნეობის ხელთმყოფი. წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა ჯამი არის 20 000. საკითხავია, საიდან წარმოიშვა ჩვენი საშუალებების დანარჩენი ნაწილი, სახელდობრ 20.000—16.000=4.000?

დაუშვათ, რომ სამეურნეო საშუალებათა დამატებით და საწესდებო ფონდს გადაჭარბებული ჯამი ჩვენმა მეურნეობამ, სახელმწიფო ბანკისაგან მიიღო. დავუშვათ, რომ ჩვენმა მეურნეობამ ეს თანხა მიიღო სახელმწიფო ბანკისაგან დაფინანსების წესით. ჩვენს მეურნეობაში არსებული საშუალებები 16.000 რა თქმა უნდა სამეურნეო მუშაობის განვითარების პროცესში საკმარისი არ აღმოჩნდა. დამატებითი რესურსები დაფინანსების წესით ჩვენ სახელმწიფო ბანკისაგან მივიღეთ

გეგმის მიერ გათვალისწინებული ოპერაციების შესასრულებლად. ცხადია, რომ ეს თანხა, სამეურნეო ოპერაციების შემდგომი განვითარებისა და სამეურნეო ბრუნვიდან განთავისუფლების შესაფერად, გამოღებულ იქნება ჩვენი მეურნეობიდან და სახელმწიფო ბანკს გადაეცემა. ცხადია, ეს საშუალებათა გამოსაღები ნაწილია, ეს საშუალებათა ისინ აწილია, რომელიც სამეურნეო ბრუნვიდან გამოღებულ იქნება.

დავასკვნათ: ჩვენს მეურნეობას აქვს რესურსები, რომლის ჯამია 20.000. ამ რესურსებს წარმოშობის ორი წყარო აქვს. პირველი წყაროა —მეურნეობის საწესდებო ფონდი. ესაა სამეურნეო რესურსების გამოღებული წყარო. მეორე წყაროა—სახელმწიფო ბანკი, რომელმაც გარკვეული თანხა მოგვცა ჩვენი გეგმის შესასრულებელი ოპერაციების დაფინანსების წესით ეს—სამეურნეო რესურსების გამოსაღები წყაროა. ბალანსის სურათი შეიძლება ასე გამოვსახოთ:

რესურსების განაწილება		რესურსების წყაროები	
საწარმოვო საშუალებანი . .	15.000	საწესდებო ფონდი	16.000
სასაქონლო საშუალებები . .	3.500	სახელმწიფო ბანკი	4.000
ფულადი საშუალებები . . .	1.500		
	20.000		20.000

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, ერთის მხრით როგორ არის განაწილებული სამეურნეო საშუალებები, როგორი ნაწილია მოქცეული წარმოების საშუალებებში და როგორი—მიმოქცევის საშუალებებში; მეორე მხრით ჩვენ ვხედავთ იმავე სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყაროებს. ამ შემთხვევაში სამეურნეო რესურსების წყაროებია საწესდებო ფონდი და დაფინანსება.

მაგალითი 3. მეურნეობას აქვს შემდეგი რესურსები:

საქონელი 18.000, ფულადი საშუალებები 1.000, სახელმწიფო ბანკი—3.000. გარდა ამისა, ვიცით რომ ამ მეურნეობას აქვს დავალიანება განუზოგადებელი სექტორის კრედიტორების წინაშე 2.000. უნდა შევადგინოთ ამ მეურნეობის ბალანსი.

შეუდგეთ ამ მეურნეობის ბალანსის შედგენას ორმაგი თვალსაზრისით. ყველა სამეურნეო რესურსების **განაწილებისა** და მათი წარმოშობის **წყაროების** თვალსაზრისით.

ა) რესურსების განაწილება. როგორ არის ამ მეურნეობის რესურსები განაწილებული? უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ ბალანსში სრულიად არ არის საწარმოვო სა-

შუალებები. ცხადია, რომ ეს მეურნეობა დამოუკიდებელ საწარმოო პროცესს არ ანხორციელებს. ის ღებულობს მზა პროდუკტებსა და ნაკეთობას და ამავე სახით ასაღებს მათ. მაშასადამე, მოცემული მეურნეობა საწარმოო მეურნეობა არ არის, ის გამსაღებელი მეურნეობაა.

ამ მეურნეობის რესურსების ნაწილი საქონელშია გამოსახული. ბალანსის ეს ნაწილი 18.000 აღწევს. სამეურნეო რესურსების მეორე ნაწილი ფულად საშუალებებში ისახება. ბალანსის ეს ნაწილი 1.000 აღწევს. დასასრულ, ბალანსის უკანასკნელ ნაწილს, საშუალებათა განაწილების თვალსაზრისით, წარმოადგენს სახ. ბანკის ერთიანი ანგარიშმსწორებელი ანგარიში, რომელიც გვიჩვენებს რომ ჩვენი სამეურნეო რესურსების ნაწილი სახ. ბანკში იმყოფება.

შესაძლებელია, რომ ეს არის განთავისუფლებული ნაღდი საშუალებები, ჩვენს მიერ სახ. ბანკში შეტანილი. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ეს თანხა შედეგია, სახ. ბანკის მიერ სამეურნეო ოპერაციების საფუძველზე, ურთიერთ-შორის ანგარიშების ნაღდი ფულის გარეშე გასწორების წესით, ჩვენს ანგარიშზე განსაზოგადოებული სექტორის სხვა მეურნეობის ანგარიშიდან გადარიცხვისა. აქედან—ბალანსის შედგენის მომენტისათვის სამეურნეო რესურსების განაწილების სურათი.

ბ) რესურსების წყაროები. როგორია ყველა ჩამოთვლილი სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყარო? ბალანსიდან ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალებათა ნაწილი 2.000 ჩვენს მეურნეობას მიეღია კრედიტის სახით განუსაზოგადოებელი სექტორის მეურნეობათაგან. ჩვენი მეურნეობა ამ რაოდენობით ვალდებულია განუსაზოგადებელი სექტორის კრედიტორების წინაშე. ეს თანხა მაჩვენებელია განუსაზოგადოებელი სექტორის კრედიტორებთან ჩვენი დამოკიდებულებისა. მაშასადამე, 2.000-ის წარმოშობის წყარო განუსაზოგადოებელი სექტორის კრედიტორებია. ეს საშუალებათა ისეთი წყაროა, რომელიც მომავალში წაღებული იქნება ჩვენი მეურნეობის ფარგლებიდან. ეს სამეურნეო რესურსების გამოსაღები წყაროა.

ვალდებულებათა ზემოაღნიშნული თანხის დაფარვის შემდეგ სამეურნეო საშუალებათა რა ნაწილი რჩება მეურნეობაში? ცხადია, ჩვენი ვალდებულების დაფარვის შემდეგ მეურნეობაში რჩება საშუალებათა ნაწილი 22.000—2.000 - 20.000. საშუალებათა ეს ნაწილი გამოღებული არ იქნება. ეს არის ჩვენი მეურნეობის თავისუფალ საშუალებათა სიდიდე. ეს სიდიდეა იმ თავისუფალი სამეურნეო რესურსებისა, რომელიც ჩვენი მეურნეობის საზღვრებში რჩება გარედან მოზიდული საშუალებების გამოღების შემდეგაც. ჩვენ ვიცით, რომ ამ სიდიდეს ბა-

ლანსში საწესდებო ფონდი ეწოდება და გამოსახვის იმ რესურსების გამოუღებელ წყაროს, რომელიც ჩვენს მეურნეობაზეა დამკვიდრებული.

დავასკვნათ: ჩვენი მეურნეობის რესურსების საერთო ჯამი უდრის 22.000. ამ შემთხვევაში ამ რესურსებს თავისი წარმოშობის ორი წყარო აქვთ; პირველი წყაროა მეურნეობის საწესდებო ფონდი. ეს—სამეურნეო რესურსების გამოუღებელი წყაროა. მეორეა—განუსაზოგადოებელი სექტორის კრედიტორები, რომელთაც ჩვენ, სესხად საშუალებათა გარკვეული ჯამი მოგვაწოდეს. ეს—სამეურნეო რესურსების გამოსაღები წყაროა. ბალანსის სურათი ახლა ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

რესურსების განაწილება		რესურსების წყაროები	
სასაქონლო საშუალებები . .	18.000	საწესდებო ფონდი	20.000
ფულადი საშუალებები . . .	1.000	კრედიტორები განუსაზოგ.	
სახ. ბანკი	3.000	სექტ.	2.000
	22.000		22.000

ამგვარად, ჩვენ აქაც ვხედავთ, ერთის მხრივ, როგორ არის განაწილებული სამეურნეო რესურსები, მათი რა ნაწილია წარმოების საშუალებებში და რა ნაწილი — მიმოქცევის საშუალებებში; მეორე მხრით ჩვენ ვხედავთ ყველა სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყაროებს; ამ შემთხვევაში სამეურნეო რესურსების წყაროა საწესდებო ფონდი და კრედიტი, გაცემული განუსაზოგადოებელი სექტორის მეურნეობათა მიერ.

აქტივისა და პასივის განმარტება.

ბალანსის ზემოდგანხილული ორი ნაწილის სახელწოდებაში ჩვენი მეცნიერება სარგებლობს შემდეგი ტრაფარეტული და პრაქტიკაში მიღებული თერმინოლოგიით.

აღსარიცხავ სამეურნეო რესურსების ერთობლივობას, სახელდობრ წარმოების საშუალებათა და მიმოქცევის საშუალებათა ერთობლივობას პირობით ა ქ ტ ი ვ ს უწოდებენ. სამეურნეო რესურსების წარმოშობის აღსარიცხავ წყაროების ერთობლივობას, ე. ი. წარმოების საშუალებათა და მიმოქცევის საშუალებათა წარმოშობის წყაროების ერთობლივობას პირობით პ ა ს ი ვ ი ეწოდება.

მაშასადამე, აქტივი აჩვენებს რა სიდიდის წარმოების საშუალებები და რა სიდიდის მიმოქცევის საშუალებები აქვს მეურნეობას. პასივი

აჩვენებს, რა სიდიდის არის იმავე წარმოების საშუალებათა და მიმოქცევის საშუალებათა წარმოშობის წყაროები. აქტივსა და პასივს რომ ვადარებთ, შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივიდეთ.

ბალანსის აქტივი ამჟღავნებს რომელ სამეურნეო მასებში არის მოქცეული მეურნეობის საშუალებები, რაში არიან გამოსახული მეურნეობის ეს საშუალებები, ბალანსის შედგენის მომენტში რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი ამ მეურნეობაში. მაგრამ აქტივი არ აჩვენებს, ამ საშუალებათა რა ნაწილია გამოსაღები და რა გამოუღებელი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, აქტივი სამეურნეო რესურსების განაწილების (განლამების) გამომჟღავნებელია, მაგრამ სრულიად არ შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა წყაროდან წარმოიშვენ მეურნეობის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებები.

პირიქით, პასივი ააშკარავებს სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყაროებს, მეურნეობის განკარგულებაში მყოფ წარმოების საშუალებათა და მიმოქცევის საშუალებათა წარმოშობის წყაროებს. პასივი ახასიათებს ამ რესურსების რომელი ნაწილი არის გამოსაღები და რომელი გამოუღებელი. მაგრამ, პასივი არაფერს ამბობს იმაზე, თუ სწორედ როგორ არიან განაწილებული ეს საშუალებები, სამეურნეო რესურსების რომელი ნაწილია განკუთვნილი წარმოების სფეროში მონაწილეობის მისაღებად და რომელი ნაწილი იმყოფება მიმოქცევის სტადიაში. პასივი, მაშასადამე, არ გვაჩვენებს თუ როგორ ნაწილდება კონკრეტულად მეურნეობის რესურსები ამა თუ იმ რეალურ სამეურნეო მასებში. მხოლოდ აქტივისა და პასივის ერთად ჩვენება გვაძლევს სამეურნეო ბალანსის შედარებით სრულსა და თვალსაჩინო სურათს.

როდესაც ბალანსს განვიხილავთ, როგორც აქტივის და პასივის ერთობლივობას, შევამჩნევთ, რომ ის არის:

1. შ ე დ ა რ ე ბ ა, რამდენადაც მასში სწარმოებს აქტიური სიდიდეების შედარება პასიურ სიდიდეებთან.

2. დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა, რამდენადაც მასში აქტიური მასები უპირისპირდებიან პასიურ მასებს.

3. გ ა ნ ტ ო ლ ე ბ ა, რამდენადაც აქტივისა და პასივის ჯამები წონასწორობაში მოდიან.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ აქტივი და პასივი არსებითად ერთდა იმავე მხოლოდ სხვადასხვა თვალსაზრისით, განხილულის სამეურნეო სიდიდეთა დახასიათებაა. თანამედროვე ბალანსის როგორც აქტივში, ისევე პასივში ჩვენ ვხედავთ ერთსა და იმავე სამეურნეო რესურსებს, წარმოების საშუალებათა და მიმოქცევის საშუალებათა ერთსა და იმავე სიდიდეებს, მაგრამ აქტივში ეს ობიექტები განიხილებიან მათი განაწილების მიხედვით, პასივში-კი—მათი წარმოშობის წყა-

ყოების მიხედვით. ერთსა და იმავე ჯამში გამოსახული აქტივი და პასივი რიცხობრივ თანასწორობას გვაძლევენ. ეს იმიტომ ხდება, რომ აქტივის ყოველს ფულად ერთეულს თავისი წყარო პასივში აქვს და პირიქით. ცხადია, რომ ბალანსის ასეთი ორმაგი განხილვის დროს სამეურნეო რესურსების გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს თვალსაზრისით და მათი წარმოშობის წ ყ ა რ ო ე ბ ი ს თვალსაზრისით, ჩვენ არსებითად, ყოველთვის ვიკვლევთ ერთსა და იმავე ს ა ბ ა ლ ა ნ ს ო მ ა ს ა ს. აშკარაა, რომ ბალანსის ერთი და იმავე, მხოლოდ სხვადასხვა გვარად დაჯგუფებულ და სხვადასხვა თვალსაზრისით განხილულ სიდიდეთა ასეთს ორმაგს გამოკვლევას ის მოსდევს, რომ რიცხობრივად გამოსახული აქტივი და პასივი თანასწორობას გვაძლევენ.

მითითებები თემის გარშემო.

მეოთხე თემაში განხილულია საკითხი იმ მოთხოვნების შესახებ, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი სწორად შედგენილი ბალანსი. ერთდროულადვე ნაჩვენებია ბალანსის ვერტიკალურად დაშლის წესი. იმ მოთხოვნათა გარჩევის დროს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ბალანსი, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არსებითად ბალანსი უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად ნიშანს:

შეფასების ნიშანს და კონსტრუქტიულ ნიშანს. შ ე ფ ა ს ე ბ ი თ ი ნიშნის მიხედვით მთავარია ბალანსის შეფასება სინამდვილესთან შეთანხმებით. კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი უ ლ ი ნიშანი გულისხმობს ბალანსის სწორსა და ნათელს დაშლას მის ცალკე შემადგენელ ნაწილებად და ანგარიშებად. ბალანსის ყველა ეს ანგარიშები განუშორებლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ერთი მთელის ნაწილები. ამიტომ ჩვენი მეცნიერებაც სწავლობს ანგარიშებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მთლიანი ბალანსის ელემენტებს წარმოადგენენ. ბალანსის ვერტიკალურად დაშლის დროს იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ყველა სამეურნეო რესურსები ორგვარად განიჯგუფება: პირველი—მეურნეობაში მათი ფუნქციონალური განაწილების მიხედვით, მათი ამა თუ იმ დანიშნულების შესაბამისად; მეორე მათი წარმოშობის მიხედვით, გამოღების, ან გამოუღებლობის თვალსაზრისით ამ წყაროების სოციალური ხასიათის გამოკვლევით—ღებულობს მეურნეობა სახელმწიფო თუ კერძოსაწუალებებს. აქტივისა და პასივის განსარტების დროს იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ აქტივი თვითონ მეურნეობაში არსებულ საშუალებათა ჩამოთვლაა, იმისდამიუხედავად, იმყოფება ის წარმოების თუ მიმოქცევის სფეროში, ხოლო პასივი იმავე რესურსების წარმოშობის წყაროს აჩვენებს

საკონტროლო კითხვები.

1. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბალანსი, მისი სისრულის, სისწორისა და გარკვეულობის მხრივ?
2. რა არის ანგარიში და საანგარიშო გეგმა?
3. რა კატეგორიებად შეიძლება ბალანსის ანგარიშების დაშლა, მათი ტექნიკურ ეკონომიური შინაარსისაგან დამოკიდებულად?
4. რას წარმოადგენს საწარმოო საშუალებათა, სასაქონლო და ფულად საშუალებათა ანგარიშები?
5. როგორ შეიძლება გამოვსახოთ მეურნეობის ბალანსი სამეურნეო რესურსების წყაროებისა და განაწილების თვალსაზრისით?
6. რა არის საწესდებო სახ. ფონდის და სახ. ბანკის ანგარიშები?
7. როგორ შეიძლება განვმარტოთ ბალანსის აქტივი და პასივი?
8. როგორი ურთიერთობაა ბალანსის აქტივსა და პასივს შორის?

ბალანსის აგებულება.

(გაგრძელება)

პასივის სხვადასხვაგვარი გაგება

აქტივის განმარტებები, სხვადასხვა ავტორების მიერ მოცემული, თითქმის ანალოგიურია, მაგრამ პასივის განმარტებაში აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობა შეიძლება შევნიშნოთ. ჩვენთვის საგულისხმოა ბალანსის პასივის ჩვენი გაგება შევადაროთ აღრიცხვის ძველი თეორეთიკოსების გაგებას. აღრიცხვის ძველი თეორია პასივს განმარტავდა არა როგორც სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყაროების ერთობლივობას, არამედ როგორც ვალდებულებათა ერთობლივობას კორრესპონდენტების წინაშე. აქ აღრიცხვის ძველი თეორია კერძო - სამეურნეო თვალსაზრისიდან გამოდიოდა. ის იმ აზრისა იყო, რომ პასივი უნდა შეიცავდეს მხოლოდ მესაკუთრის დავალიანებას მესამე პირთა წინაშე. ცხადია თუ ამ ძველ განმარტებას დავადექით, მაშინ პასივში შეიძლება აღნიშნული იყვეს მხოლოდ ისეთი სიდიდეები, რომელნიც წამოწყების გარეშე მეურნეობებისაგან დავალიანებას გამოსახავენ.

ამ განმარტების ძირითადი შეცდომა ის არის, რომ აღრიცხვის ძველი თეორია ზუსტად არ გამიჯნავდა პასივის საბალანსო გაგებას იმ გაგებისაგან, რომელიც ამ თერმინს პრაქტიკულს გამოყენებაში ხშირად აქვს. ასეთი არევის მიუხედავად აღრიცხვის ძველ თეორიას თავისი, განმარტება ლოგიურ ბოლომდე არ მიყავდა. ამიტომ თავის მსჯელობაში ის იძულებული იყო პასივის არა ერთი, არამედ ორი განმარტება მოეცა. ის იძულებული იყო განესხვავებია პასივი „ფართეს“ მნიშვნელობით და პასივი „ვიწრო“ მნიშველობით, ამავე დროს საბალანსო აღრიცხვის მეცნიერებამ იცის პასივის მხოლოდ ერთი გაგება. ეს არის ბალანსის პასივი. ამიტომ აუცილებელია მკაცრი ზღვარი გავავლოთ სიტყვა „პასივის“ საბალანსო გაგებასა და სხვა გაგებას შორის. რაშია განსხვავება ბალანსის პასივის ჩვენს განმარტებასა და პასივის აღრიცხვის ძველი თეორიის მიმდევართა განმარტებას შორის?

ა. **პირველი განსხვავება.** საბალანსო პასივი ყველა სამეურნეო რესურების წყაროა, წარმოებისა და მიმოქცევის ყველა საშუალებათა წყარო, ამავე დროს, აღრიცხვის ძველი თეორიის შეხედულებით, პასივი სხვა არაფერია, თუ არა მოცემული მეურნეობის მესაკუთრის დავალება მესამე პირთა წინაშე. აქედან აღრიცხვის ძველი თეორეთიკოსების მტკიცება, რომ აქტივს დადებითი ხასიათი აქვს, ხოლო პასივს კი უარყოფითი, რაც რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ნამდვილად, პასივი იმავე საბალანსო მასების მხოლოდ სხვა დახასიათებას

იმავე სამეურნეო რესურების მხოლოდ სხვა დაჯგუფებას წარმოადგენს. ძველი განმარტების თანახმად პასივი მხოლოდ მესაკუთრის დავალიანების ერთობლივობაა, პასივი ისეთი სიდიდეა, რომელიც აქტივის შედეგს უნდა გამოაკლდეს, ამავე დროს ბალანსის პასივი აქტივიდან კი არ გამოირიცხება, აქტივს კი არ აკლდება, ბალანსის პასივი მთლიანად უპირისპირდება მთელს აქტივს.

ბ. **მეორე განსხვავება.** საბალანსო პასივი საბოლოოდ შეიცავს ორ ძირითად ნაწილს: პასივი გამოსაღები და პასივი გამოუღებელი. ამით ის გვიჩვენებს თავისუფალ და არა თავისუფალ სამეურნო რესურსების სიდიდეს. საბალანსო პასივი არკვევს წარმოებისა და მიმოქცევის რა სიდიდის საშუალებები არის თავისუფალი, თვით მეურნეობისგ ავლენის სფეროში, მოქმედების საკუთარი გეგმის თანახმად, და რას იდიდისაა არა თავისუფალი, დაჭერილი საშუალებები, დატვირთული ვალდებულებით ამ მეურნეობის სახ. ბანკის მიერ დაფინანსების, მისთვის სხვადასხვა კორესპონდენტების მიერ კრედიტების მიცემის ოპერაციების გამო ან სხვა. რაც შეეხება პასივს აღრიცხვის ძველი თეორიის განმარტებით, იგი მხოლოდ გამოსაღები პასივის ფარგლებით არის შეზღუდული და არკვევს მესაკუთრის მხოლოდ და მხოლოდ დავალიანებას მესამე პირების წინაშე. მაშასადამე, იმ დროს, როცა საბალანსო პასივი ყველა სამეურნეო რესურსების წყაროს არკვევს, პასივი ძველი სკოლის მოძღვრებით, არკვევს მეურნეობის მხოლოდ მოზიდულ და გამოსაღებ საშუალებათა წყაროს.

გ. **მესამე განსხვავება.** რადგანაც პასივის გამოსაღები და გამოუღებელი ნაწილები მთლიანად აქტივის წარმოშობის წყაროს სრულ დახასიათებას გვაძლევენ, ამიტომ აქედან ის გამომდინარეობს, რომ საბალანსო პასივის ჯამი ყოველთვის ეთანასწორება იმავ ბალანსის აქტივის ჯამს. აღრიცხვის ძველი თეორიის განმარტებით კი პასივის ჯიმი, როგორც წესი, არ ეთანასწორება ბალანსის აქტივის ჯამს. 1. ის შეიძლება აქტივის ჯამზე ნაკლები იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა მეურნეობას თავისუფალი სამეურნეო ფონდი აქვს ე. ი. დავალიანებისაგან თავისუფალი სამეურნეო საშუალებები. 2. ის შეიძლება აქტივის ჯამს ეთანასწორებოდეს, ეს მაშინ როცა მეურნეობას აღარ აქვს თავისუფალი რესურსები; ე. ი. როცა მეურნეობის ხელში არსებულ საშუალებათა ჯამი ვალდებულებათა ჯამს უდრის და მაშასადამე მეურნეობა ვალზე მუშაობს.

3. დასასრულ, ის შეიძლება აქტივის ჯამზე მეტიც იყვეს. ასეთ შემთხვევას ადგილი უპირატესად კერძო მეურნეობის პირობებში ჰქონდა, მაშინ, როცა წამოწყების დავალიანება მეტი იყო, ვიდრე მის მეურნეობაში არსებული საშუალებები. რათქმა უნდა, უკანასკნელ შემთხვევაში მეურნეობას შესაძლებლობა არ ქონდა თავისი პატრონის

ვალი მის განკარგულებაში მყოფი საშუალებებით დაეფარა. საშუალებები ვალდებულებათა მხოლოდ გარკვეული ნაწილის გასტუმრებას თუ შესძლებდა. სამეურნეო ვალდებულებათა დაუფარავი ნიწილი იმას წარმოადგენდა, რაც დეფიციტის სახელით არის ცნობილი.

შემდგომში ჩვენ უცვლელად პასივის მხოლოდ საბალანსო გაგებას მივსდევთ.

სამეურნეო ფონდის შესახებ.

ჩვენ დავინახეთ, რომ პასივის ის ნაწილი, რომელიც თავისუფალი სამეურნეო საშუალებების აღრიცხულ გამოსახვას წარმოადგენს, სამეურნეო ფონდად იწოდება. სამეურნეო ფონდი მეურნეობის განკარგულებაში მყოფ საშუალებათა ერთ-ერთი წყაროა.

მაგრამ, აქვე აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ სამეურნეო ფონდის გარდა, ჩვენს პრაქტიკაში ძალიან გავრცელებულია მეორე ტერმინიც, რომელიც იმავე პასიური სიდიდის აღსანიშნავად იხმარება. კაპიტალისტურ მეურნეობათა ბალანსების ანალოგიით, ჩვენს ბალანსებშიაც ეს სიდიდე ახლაც ყველაზე უფრო ხშირად კაპიტალის სახელწოდებით აღინიშნება. ამასთან ერთად კერძო-სამეურნეო თვალსაზრისზე დგომის გამო, კაპიტალის ანგარიშ ქვეშ თვითონ ამ მეურნეობის მესაკუთრის ანგარიშს გულისხმობენ. ამგვარად, კაპიტალის ანგარიში ასეთის გაგებით, რომელიმე ერთეული მეურნეობის ერთის ან რამოდენიმე მფლობელის პირად, პერსონალურს ანგარიშს წარმოადგენს, იბადება საკითხი შესაძლებელია თუ არა საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის მიმართ თავისუფალ სამეურნეო საშუალებათათვის კაპიტალის სახელწოდების მიცემა?

ჩვენი მეცნიერების უახლოესი მიმართულება უდაოა უპირატესობას აძლევს სახელწოდებას—სამეურნეო ფონდი. ამ სახელწოდებას ეკუთვნის უპირატესობა შემდეგ მოსაზრებათა გამო:

პირველი. სიტყვა კაპიტალი არ არის მოხერხებული ბალანსში შესატანად, უწინარეს ყოვლისა წმინდა **თერმინოლოგიური** ხასიათის მოსაზრებით. მართლაც, როგორც ვიცით, სიტყვა კაპიტალს მრავალი სხვადასხვა-გვარი მნიშვნელობა აქვს. სიტყვა კაპიტალი იხმარება ეკონომიურს მეცნიერებაში. სიტყვა კაპიტალი თანდათან ვრცელდება მათემატიკაში. სიტყვა კაპიტალს ხშირად ხმარობენ ყოველ დღიურ ცხოვრებაში, მასთან, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით. ცხადია, სიტყვა კაპიტალის ამდენად მრავალ ფეროვანი და ფართე გამოყენება ცოდნის სხვადასხვა დარგში და პრაკტიკულ საჭიროებათათვის, უკვე თავის და თავად ლაპარაკობს იმავე თერმინის ჩვენს მეცნიერებაში,— საბალანსო აღრიცხვაში, გამოყენების წინააღმდეგ. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა კაპიტალის საბალანსო მნიშვნელობა არსებითად განსხვავდება იმ მნიშვნელობათაგან, რო-

მელიც ამ სიტყვას სხვა მეცნიერებაში აქვს. საბალანსო კაპიტალის ცნება სრულიად თავისებური და ამ აზრის სრული მნიშვნელობით განსაკუთებული გვარის სიდიდეა. სიტყვა კაპიტალის საბალანსო მნიშვნელობა არ ეთანხმება იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ თერმინს აქვს ეკონომიურს მეცნიერებაში, მათემატიკაში, სხვა და სხვა ტექნიკურს მეცნიერებებში და დასასრულ, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ გარემოებამ ბევრი განთქმული ავტორი საზღვარ გარედ აიძულა გამოსულიყო წინადადებით საბალანსო თერმინის - კაპიტალის რომელიმე სხვა თერმინით შეცვლის შესახებ. ეს ავტორები, მასთან აუცილებლად სთვლიან საბალანსო კაპიტალის ცნების სიტყვა კაპიტალის სხვა მნიშველობათაგან გამოყოფას. ასე, ბევრი გერმანელი ავტორი წინადადებას იძლევა ბალანსში თერმინ კაპიტალის ნაცვლად ვიხმაროთ „წმიდა ქონება« (Reinvermögen). ფრანგი ავტორები, ხშირად, სიტყვა კაპიტალის ნაცვლად ხმარობენ თერმინს „წმიდა შეძლება". (situation nette).

ასეთია თერმინი კაპიტალის მდგომარეობა კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის პირობებში, სადაც ავტორები ცდილობენ კაპიტალისტური მეურნეობისა და ექსპლოატაციის ნამდვილ ხასიათს ნილაბი ააფარონ.

რაც შეეხება ჩვენს საბჭოთა ავტორებს, ბევრი მათგანი უკვე დიდი ხანია გრძნობს, რომ ჩვენი სინამდვილის მიმართ სიტყვა კაპიტალი გამოუსადეგარია; მათ ესმით, რომ ეს ძირიანად ეწინააღმდეგება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ხასიათს, მაგრამ მათ ვერ გაუბედნიათ ამ განსაკუთრებით ცალკე ერთეულ მეურნეობათა პრაქტიკაში ფეხმოკიდებულ თერმინთან კავშირის გაწყვეტა და იძულებული არიან ასეთს სურროგატებს მიმართონ. ბალანსის კაპიტალს ისინი უწოდებენ „წ მ ი დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ს", „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ კ ა პ ი ტ ა ლ ს" და ხანდახან თითქმის „ს ა ა ნ გ ა რ ი შ ო კ ა პ ი ტ ა ლ ს ა ც" კი. საგულისხმოა, რომ ყველა ამ ვარიანტებში სიტყვა კაპიტალი უცვლელად არის შენახული. ამავ დროს ნათელია რომ სწორედ თერმინი კაპიტალი საჭიროებს მის რომელიმე სხვა თერმინით შეცვლას.

მ ე ო რ ე. სიტყვა კაპიტალი კიდევ უფრო ნაკლებ მისაღებია ჩვენს მეცნიერებაში ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს თვალსაზრისით. მართლაც, რას წარმოადგენს არსებითად კაპიტალის ცნება ეკონომიურის თვალსაზრისით?

ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერება ცდილობდა კაპიტალისათვის მხოლოდ ტექნიკური შინაარსი მიეცა: ამ სიტყვის ქვეშ ის გულისხმობდა გარკვეულ სამეურნეო საშუალებათა ერთობლივობას, რომელიც წარსული შრომით არის შექმნილი და მომავალი მუშაობისათვის წინასწარ განკუთვნილი. მაგრამ კაპიტალის

ამგვარი გაიგივება სამეურნეო საშუალებებთან არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამგვარი გაგების ნიადაგზე იმ დასკვნამდე უნდა მივსულიყავით, რომ კაპიტალი მარადიულს და ზეისტორიულს კატეგორიას წარმოადგენს. ამგვარი გაგების თანახმად შესაძლებელი უნდა გახდეს იმის მტკიცება, რომ კაპიტალი ყოველთვის არსებობდა და იარსებებს კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ნამდვილად კაპიტალი — ისტორიულ-წარმავალი ცნებაა. ეს კატეგორიაა, რომელიც კაცობრიობის განვთარების მხოლოდ გარკვეულ გარდასავალს, გარკვეულ ისტორიულ ეტაპს მიეკუთვნება. მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალი მარტო წარმოების საშუალებების, ამა თუ იმ საგნების მხოლოდ ერთობლივობა კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობაა, სახელდობრ ბურჟუაზიული საზოგადოების საზოგადოებრივი ურთიერთობა.

„კაპიტალი—ამბობს მარქსი—ეს საგანი კი არ არის, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობა, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ისტორიულ ფორმაციას ეკუთვნის, საწარმოო ურთიერთობა, რომელიც საგანში აშკარავდება და ამ საგანს სპეციფიურს საზოგადოებრივს ხასიათს აძლევს („კაპიტალი" ტ. III ნაწ. II რუს. გამოც. გვ. 2986).

წარმოების საშუალებები კაპიტალად იქცევიან მხოლოდ გარკვეული ისტორიული პირობების არსებობის დროს. ეს პირობები, ძირითადათ, შემდეგია: პირველი-წარმოების საშუალებათა მფლობელ კაპიტალისტთა კლასის არსებობა; მეორე — არსებობა დაქირავებული პროლეტარების კლასის, რომელიც მოკლებულია წარმოების და არსებობის საშუალებებს და ამიტომ იძულებულია მიყიდოს ექსპლოატატორებს თავისი საქონლად გადაქცეული სამუშაო ძალა; მაშასადამე, წარმოების საშუალებები გარკვეული ისტორიული ეტაპის პირობებში კაპიტალად იქცევიან იმიტომ, რომ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ეს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ერთდროულადვე ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს წარმოადგენენ.

სრულიად სხვა გვარი მდგომარეობაა ჩვენი საბჭოთა კავშირის პირობებში. საბჭოთა ეკონომიური სისტემის პირობებში ჩვენ თანმიმდევრობით სოციალისტური ტიპის წამოწყებებთან გვაქვს საქმე, ამ სახელმწიფო წამოწყებებში ერთი მეორეს უკვე აღარ ეჯახება ორი მოწინააღმდეგე კლასი: კლასი კაპიტალისტებისა და კლასი პროლეტარების, საბჭოთა ეკონომიკისა და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში წარმოების საშუალებები განსაზოგადოებულია, წარმოების საშუალებები მთელ მუშათა კლასს ეკუთვნის, წარმოების პროცესში ერთეული მუშები ურთიერთობაში შედიან თავის საკუთარ კლასთან, მუშათა კლასთან, რომელიც ორგანიზაცია ქმნილია. რიგორც ხელი-

სუფლება. ცხადია, ამ შემთხვევაში ექსპლოატაციის მომენტი აღარ არის და მუშის შრომის პროდუქტი მის მოწინააღმდეგე კლასს არ უვარდება ხელში. ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ურთიერთობანი ქრებიან. წარმოების საშუალებები უკვე აღარ წარმოადგენენ კაპიტალს, ისინი ექსპლოატაციის იარაღი უკვე აღარ არიან. მარქსის სიტყვებით რომ ვსთქვათ წარმოების საშუალებები ახლა,„ მხოლოდ და მხოლოდ წარმოების საშუალებები არიან მწარმოებელთა საზოგადოების სასიცოცხლო პროცესების განუწყვეტელი განვითარებისათვის" („კაპიტალი" ტ. III ნ. I. რუს. გამოც. გვ. 189)

ამ რიგად კაპიტალის ცნება ეკონომიურის აზრით ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის წამოწყებათათვის გამოუსადეგარია. თერმინი კაპიტალი ჩვენი ეკონომიკის პირობებს, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ეკონომიკის პირობებს აღარ შეეფერება.

სწორედ ამგვარადვე მოგებაც ჩვენს პირობებში სხვა სოციალური შინაარსით ივსება. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ექსპლოატაციის მომენტი ისპობა, ამის გამო ჩვენს მეურნეობებში, თანმიმდევრობით სოციალისტური ტიპის მეურნეობებში, ზედმეტი ღირებულება არ არსებობს. ამ აზრით მუშის მთელი შრომა აუცილებელი შრომაა სოციალისტური მშენებლობისათვის.

აი რას ამბობს ამის შესახებ მარქსი: „კაპიტალისტური წარმოების ფორმის გაუქმება საშუალებას მოგვცემს შევზღუდოთ სამუშაო დღე აუცილებელი შრომით. მაგრამ ამ უკანასკნელის ფარგლები, დანარჩენ თანასწორ პირობებში, უნდა გაფართოვდეს. ერთის მხრივ, იმიტომ-რომ მუშის საარსებო პირობები უფრო მდიდარი შეიქმნება და მისი აარსებო მოთხოვნილებები გაიზრდება. მეორეს მხრივ, ეხლანდელი ზედმეტი შრომის ნაწილი აუცილებელ შრომად ჩაითვლება, სახელდობრ ის შრომა, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი სარეზერვო და დაგროვების ფონდის შესაქმნელად". (კაპიტალი ტ. I ქართული-გამოცემა გვ. 474).

საბჭოთა გეგმიანი მეურნეობის პირობებში ხდება შრომის დამატებითი პროდუქტის განსაზოგადოება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პროდუქტი ემატება სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელ მუშათა კლასის საზოგადოებრივ ფონდს. შემდეგ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ცალკე მეურნეობათაათვის თავისუფალი სამეურნეო რესურსების გადაცემა გეგმიანი წესით სწარმოებს. თავის მხრივ განთავისუფლებული სამეურნეო რესურსები სახელმწიფოს შეუძლია გადაანაწილოს საბჭოთა სამეურნეო მთელის ინტერესების შესაბამისად. გეგმა აწესრიგებს და ნორმავს აღდგენის (რეპროდუქციის) სიდიდესა და ხასიათს, გეგმა აწესრიგებს და ნორმავს სამეურნეო რესურსებისა და მიღწეულ სოციალისტურ დაგროვებათა გადანაწი-

ლებას. ცალკე სამეურნეო ერთეულები, როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ, უკვე მეტად აღარ წარმოადგენენ დამოუკიდებელსა და გარეგნულად თითქოს სავსებით ავტონომიურ სამეურნეო ეოთეულებს, გარკვეულ მესაკუთრეთა ხელში მყოფს და მათი ნებისყოფის აღმასრულებელს. ახლა ცალკე საბჭოთა სამეურნეო წამოწყებები-მხოლოდ ცალკე უჯრედებია საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის ერთი და განუყოფელი სამეურნეო ორგანიზმისა.

აქედან ცხადია, რომ ეკონომიური მოსაზრებით, კაპიტალის ცნება ჩვენს სახელმწიფო წამოწყებათა ბალანსებში აღარ უნდა გვხდებოდეს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი ბალანსის ახალ შინაარსს ქმნიან, ბალანსის ახალი შინაარსი კი ამ ახალ ეკონომიურ ცნებათა გამოსახატავად ახალი თერმინოლოგიის შექმნას მოითხოვს. ამ მხრივ თერმინები კაპიტალი და მოგება საბჭოთა სამეურნეო სისტემის პირობებში უსარგებლო და მავნე ანაქრონიზმს წარმოადგენს. ძალიან დიდი მანძილია კაპიტალისტურ ექსპლოატატორულ მეურნეობის პირობებსა და საბჭოთა სოციალისტური სისტემის პირობებს შორის. მეურნეობაში კაპიტალისტური მოგების მიზნით დაბანდებულის, დაჩაგვრისა და დამონების სიმბოლოს — წამოწყებითი კაპიტალის ბურჟუაზიული თერმინი საბოლოოდ და ძირფესვიანად უნდა იქმნას ამოგლეჯილი საბჭოთა მეურნეობის ბალანსიდან.

ასეთია ის ორი ძირითადი მოსაზრება, რომელიც გვარწმუნებს, რომ კაპიტალის საბალანსო ცნების სხვა რომელიმე თერმინით შეცვლა უფრო სასარგებლო იქნება. ასეთ შედარებით ყველაზე უფრო მისაღებ თერმინათ გარდამავალი დროის სახელმწიფო მეურნეობათა ბალანსებისათვის შეიძლება თერმინი სამეურნეო ფონდი მივიღოთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ თერმინ მოგების ნაცვლად საბჭოთა მეურნეობების ბალანსებში უფრო სწორი იქნებოდა შემოგველო თერმინი: შინა-სამეურნეო დაგროვებათა ფონდები.

ბალანსის გამოსახვა ცხრილში.

ყოველი მეურნეობის ბალანსი მიღებული წესის თანახმად ჩვეულებრივ გრაფიულად განსაკუთრებული ცხრილის სახით გამოიხატება. ცხრილი, რომელიც სამეურნეო ბალანსის გრაფიულად გამოსახატავად იხმარება, პრაქტიკაში საბალანსო ცხრილის სახელით არის ცნობილი. ხშირად საბალანსო ცხრილს სიმოკლისათვის პირდაპირ ბალანსს უწოდებენ.

არსებობს ბალანსის გამოსახვის რამდენიმე ხერხი მაგრამ, ყველა ეს წესები, ძირითადად, შეიძლება ორ წესზე დავიყვანოთ.

პირველი ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ბალანსი გრაფიულად გამოისახება როგორც ცალმხრივი ცხრილი. აქ პირველათ ჩამოთვლი-

ლიან აქტივის და შემდეგ პასივის ყველა ელემენტები. ამგვარად ცალმხრივი სქემის თანახმად შედგენილი ბალანსის ცხრილი ასეთი გამოხატულების იქნება:

ბ ა ლ ა ნ ს ი

აქტივი			პასივი
საწარმოო საშუალებები .	20.000	საწესდებო ფონდი	21.000
სასაქონლო საშუალებები .	10.000	სახ. ბანკი	14.000
ფულადი საშუალებები . .	5.000		
	35.000		35.000

მაგრამ პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია საბალანსო ცხრილის შემდგენის მ ე ო რ ე ხერხი. ეს მეორე ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ბალანსის ცხრილი ორმხრივი სქემის თანახმად დგება, მასთან გრაფიული გამოსახულობის მეტი რელიეფობის მიზნით ბალანსის ცხრილი ვერტიკალზე იყოფა ორ ერთმანეთისათვის დაპირისპირებულ ნაწილად: საბალანსო ცხრილის ერთი ნაწილი დანიშნულია აქტივის ელემენტების ჩამოსათვლელად, მეორე — პასივის ელემენტების ჩამოსათვლელათ. ამის გამო აკტიური სიდიდეები გრაფიულად უპირისპირდებიან პასიურ სიდიდეებს.

საბალანსო ცხრილის გრაფიული გამოსახულება ორმხრივი სქემის მიხედვით, თავის მხრივ, ორ ვარიანტს გულისხმობს. პირველი ვარიანტის თანახმად აქტივი საბალანსო ცხრილის მარცხენა ნაწილში თავსდება, პასივი კი იმავე ცხრილის მარჯვენა ნაწილში. საბალანსო ცხრილის ეს გრაფიული გამოსახულება ასეთია:

ბ ა ლ ა ნ ს ი

აქტივი			პასივი
საწარმოო საშუალებანი .	20.000	საწესდებო ფონდი	21.000
სასაქონლო საშუალებები .	10.000	სახელმწიფო ბანკი	14.000
ფულადი საშუალებანი . .	5.000		
	35.000		35.000

პრაქტიკაში გამოსახვის ეს ფორმა სუარბობს. ის მიღებულია თითქმის ყველა ქვეყნებში და ამ მხრივ შეიძლება ბალანსის გრაფიკული გამოსახულების კლასიკურ ფორმად მივიღოთ.

გამონაკლისს შეადგენს ინგლისი, სადაც ორმხრივი სქემით საბალანსო ცხრილის გრაფიული გამოსახულების მეორე ვარიანტია შემოღებული. ეს მეორე ვარიანტი, ინგლისის პრაქტიკაში შემოღებული, იმაში მდგომარეობს, რომ აქტივის ელემენტები საბალანსო ცხრილის მარჯვენა ნაწილში თავსდება, პასივის ელემენტები კი — იმავე ცხრილის მარცხენა ნაწილში. ინგლისის პრაქტიკა აქ იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ პასივი, როგორც სამეურნეო საშუალებათა, სახელდობრ კაპიტალების წყაროების ერთობლივობა, მიზეზია მთელი სამეურნეო საქმიანობისა. ამ მოსაზრების თანახმად პასივი მაჩვენებელია იმ კაპიტალებისა, რომელნიც ყველა სამეურნეო საშუალებათა წყაროს წარმოადგენენ. კაპიტალების არ ქონება კერძო მეურნეობის თვალსაზრისით იწვევს მეურნეობის მუშაობის გაშლის შეუძლებლობას. ასეთი გაგებით პასივი მთელი სამეურნეო მუშაობის მიზეზია: რაც შეეხება აქტივს, ის ამ კაპიტალების განაწილებას, მოთავსებას წარმოადგენს ცალკე საშუალებათა სახით, რომელიც მეურნეობაში რჩებიან და ამა ოუ იმ დანიშნულებას ასრულებენ. ამ აზრით აქტივი პასივის შედეგია. აქედან ინგლისური პრაქტიკა იმ დასკვნამდე მიდის, რომ საბალანსო ცხრილში ჯერ უნდა ჩამოთვლილი იქნეს წყაროები, ე. ი. პასივი და ამის შემდეგ თვით საშუალებები, ე. ი. აქტივი.

სიტყვა ბალანსის მნიშვნელობა.

სიტყვა ბალანსს ჩვენს მეცნიერებაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.

პირველი მნიშვნელობა. პირველი მნიშვნელობა ეს სიტყვა ბალანსის მეცნიერული მნიშვნელობაა: მეცნიერულის აზრით ბალანსი შეიცნობა როგორც მეურნეობის, სამეურნეო მოქმედების გამოსახველი, გამომსახველი რიცხობრივი და აუცილებლად ერთსა და იმავე მყარ ერთეულში. ჩვენი საბჭოთა ეკონომიკის პირობებში აღრიცხვის ასეთ უნივერსალურ ერთეულად ყველა საბალანსო სიდიდებისათვის, როგორც უკვე დავინახეთ, აღრიცხვის ფულადი ერთეული რჩება. აქედან, ჩვენი ეკონომიური პირობების შესაბამისად, ბალანსი წარმოადგენს მეურნეობისა და სამეურნეო მოქმედების რიცხობრივ გამომსახველს უნივარსალურ ფულად საზომში.

მეორე მნიშვნელობა. მეორე მნიშვნელობა ეს არის თერმინ ბალანსის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში სიტყვა ბალანსი განისაზღვრება მისი თერმინოლოგიური წარმოშობის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ თერმინი ბალანსი ლათინური წარმოშობისაა. ის წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან bi(s)-lanx-რაც სიტყვა-სიტყვით ორ ფიალიანს, ორ-თეფშიანს ნიშნავს. ამ შემ-

თხვევაში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ სასწორის ორს თეფშს, რომელნიც, (ცხადია, წონასწორობაში იმყოფებიან, თუ ერთნაირი წონის სიმძიმები აძევთ. თუ დავუშვებთ, რომ სასწორის ერთ თეფშზე-აქტიური სიდიდები არის მოთავსებული, მეორე მხარეზე კი — პასიური სიდიდეები, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ორივე თეფში ერთმანეთს წონასწორობაში მოიყვანს.

ლათინური სიტყვა bilanx-იდან წარმომდგარია ფრანგული თერმინი balanse, რაც სიტყვა-სიტყვით თანასწორობას ან წონასწორობას ნიშნავს. როგორც ვიცით, ეს უკანასკნელი თერმინი მეტად გავრცელებულია ყველა სახელმწიფოების, მათ რიცხვში ჩვენი სახემწიფოს, პრაქტიკაში. მაგრამ, აუცილებელია, აღვნიშნოთ, რომ ბევრათ უფრო მიზანშეწონილი იქნება არ ვიხმაროთ თერმინი ბალანსი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით. ხოლო აქტივსა და პასივს შორის თანასწორობის აღსანიშნავად უკეთესი იქნება ვიხმაროთ თერმინი ს ი ბ ა ლ ა ნ ს ე. ამ მხრივ ფრანგული ენა ჩვენსაზე მდიდარია. თერმინ balanse-ს გარდა, რომელიც სიტყვა-სიტყვით წონასწორობას აღნიშნავს, ფრანგულ ენას აქვს აგრეთვე მეორე თერმინიც bilan—რაც აქტივისა და პასივის ერთობლივობის აღსანიშნავად იხმარება.

მესამე მნიშვნელობა. დასასრულ, სიტყვა ბალანსის მესამე მნიშვნელობა ეს არის ბალანსის გაგება მისი გრაფიული გამოსახვის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ბალანსს ქვეშ იგულისხმება საგანგებო ცხრილი, რომელიც ბალანსის შემადგენელი ელემენტების

გრაფიული გამოსახვის საშუალებას წარმოადგენს. ეს შემადგენელი ელემენტები განჯგუფდებიან ორი მწკრივის, საბალანსო სიდიდეთა აქტიური და პასიური მწკრივის სახით. მაგრამ აქაც უპირატესობა უნდა მივცეთ ასეთ სახელწოდებას, როგორც ს ა ბ ა ლ ა ნ ს ო ც ხ რ ი ლ ი. ამით, მაშასადამე, ჩვენ ვინარჩუნებთ თერმინ ბალანსის მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო გაგებას.

აქტივისა პასივის უმთავრესი ელემენტები

განვიხილოთ ეხლა ბალანსის აქტივისა და პასივის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მეურნეობის ყველა-საშუალებები შესაძლებელია დავყოთ ორ კატეგორიად: ა) წარმოების პროცესში მონაწილეობის მისაღებათ მიჩენილი საშუალებები, ან წარმოების საშუალებები და ბ) მიმოქცევის პროცესში მონაწილეობის მისაღებათ დანიშნული საშუალებები ან მიმოქცევის საშუალებები, როგორ შეიძლება დანაწილდეს თავის მხრივ ყოველი კატეგორია.

1. წარმოების საშუალებები.

წარმოების საშუალებათათვის გახსნილი ანგარიშები თავის მხრი შესაძლებელია გავყოთ შემდეგ ორ ჯგუფად: ა) შრომის იარაღები და ბ) შრომის მასალების

ა. წარმოების ძირითადი საშუალებანი. წარმოების ძირითად საშუალებებში ვიგულისხმოთ შრომის იარაღები ე. ი ნივთი ან ნივთთა კომპლექსი, რომელსაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს. შრომის ამ იარაღების საშუალებით მუშა ზედმოქმედებას ახდენს შრომის საგანზე. ამ აზრით შრომის იარაღები, ასე ვთქვათ, შრომის საგანზე ადამიანის ზედმოქმედების გადამტანი არიან.

წარმოების ძირითად საშუალებებს, უწინარეს ყოვლისა, მანქანები, ხელსაწყო (ინსტრუმენტები) და საზოგადოთ შრომის ყველა მექანიკური იარაღები ეკუთვნის. შრომის ამ იარაღების ერთობლივობას, მარქსის სახოვანიგ ამოთქმით, შეიძლება „წარმოების ძვლებისა და კუნთების სისტემა“ ვუწოდოთ. საშუალებათა ამ ჯგუფისათვის შემდეგი ანგარიშები იხსნება: 1) მოწყობილობისა და მანქანების ანგარიში — ამ ანგარიშში აღირიცხება მთელი ტეხნიკური მოწყობილობა, მანქანები და საწარმოო დანიშნულების ხელსაწყო; 2) ინსტრუმენტების ანგარიში — წარმოებაში აუცილებელი ინსტურმენტების აღსარიცხავად, როგორც მაგალითად, სარემონტო ინსტრუმენტი, საზომი ინსტრუმენტები და სხვა.

მაგრამ წარმოების ძირითადი საშუალებები მარტო იმ საგნებით არ ამოიწურება, რომელიც შეიძლება შრომის იარაღებს მივაკუთვნოთ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. წარმოების ძირითად საშუალებებს შეიძლება შრომისპროცესის ის საშუალებებიც, ფართე მნიშვნელობით, მივაკუთვნოთ, რომელნიც წარმოების სისწორისა და მიზანშეწონილების საგნობრივს პირობებს უზრუნველყოფენ. ეს წარმოების ის საშუალებებია, რომელნიც მუშაობის საგნის მოსათავსებლად იხმარება და რომელნიც, ერთად აღებული, მარქსის გამოთქმით შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც „წარმოების ჟურჟლეულობის სისტემა“. ამ პირობების გარეშე წარმოების პროცესი ან სრულიად შეუძლებელია, ან მხოლოდ მეტად ნაკლულოვნად შეიძლება წარმოებდეს. წარმოების ასეთ საშუალებებს, რომელნიც შრომის პროცესის განსახორციელებლად აუცილებელ მატერიალურ პირობებს ქმნიან, ეკუთვნის: კასრები, მილები, ქვაბები, ქილები და სხვა. ძირითარ საშუალებათა ამავე კატეგორიას ეკუთვნის საწარმოო დანიშნულების შენობები და ნაგებობანი, როგორც, მაგალითად, საქარხნო-საფაბრიკო შენობები, მანქანების მოსათავსებელი ადგილები, სადაც საწარმოო პროცესი მიმდინარეობს და სხვ.

ბ. წარმოების საბრუნავი საშუალებანი. წარმოების საბრუნავ საშუალებათა ქვეშ ვიგულისხმოთ შრომის მასალები ე. ი. შრომის ისეთი ობიექტები, რომელსაც მუშა გადაამუშავებს შრომის იარაღების საშუალებით.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია შევნიშნოთ, რომ შრომის ყველა საგანი არ შეიძლება მასალების ჯგუფს მივაკუთნოთ. მასალებს შრომის მხოლოდ ის საგნები ეკუთვნის, რომელნიც ადამიანის შრომას უკვე შეიცავენ. ამის გამო ისინი წარსული შრომის პროდუქტს წარმოადგენენ, შრომის, რომელიც გაკრისტალებულია ამ მასალებში.

ავიღოთ მაგალითისათვის ამომღები მეურნეობა. ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ ამ მეურნეობის მოქმედება არის იმ საგნების ამოღება და იმ სახით, როგორც ეს თვით ბუნების მიერ არის მოცემული. ადამიანის შრომის ზედმოქმედების პროცესში ეს საგნები სცილდებიან თავის სასიცოცხლო სტიქიას. ასე მეთევზეობაში თევზი სცილდება თავის სასიცოცხლო სტიქიას, წყალს. ანალოგიურ პროცესს წარმოადგენს ხის მიღება პირველყოფილ ტყეში, მადნის მიღება უშუალოდ ძარღვიდან და სხვა. ყველა ამ ამოღებულ საგნებს აქამდი ადამიანის შრომა არ შეუწოვია.

პირიქით, როცა მასალებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ყოველთვის იქედან გამოვდივართ რომ ისინი შრომის ისეთ პროდუქტებს წარმოადგენენ, რომელიც: ა) უკვე მოცილებული არიან თავის სასიცოცხლო სტიქიას, ბ) ნაშოვნი არიან ადამიანის მიერ, გ) უკვე შეიცავენ ადამიანის დახარჯულ შრომას და შემდგომი შრომის ობიექტს, ადამიანის მიერ შემდგომი გადამუშავების საგანს წარმოადგენენ.

შრომის საგნები, როგორც ასეთი, უპირატესად, ამოღებითი ტიპის მეურნეობებში გვხვდება. რაც შეეხება შრომის მასალებს ისინი მეტ წილად გადამუშავებითი ტიპის მეურნეობებში გვხვდებიან. აი რას ამბობს ამის შესახებ მარქსი: „ექსტრაქტულ [ნედლი მასალის მომპოვებელ] მრეწველობას გარდა.... მრეწველობის ყველა დარგს საქმე აქვს ისეთ საგანთან, რომელიც ნედლი მასალაა, ე. ი. უკვე შრომით არის დაწმენდილი და თვით შრომის პროდუქტს წარმოადგენს" („კაპიტალი" I ტ. ქართული გამოცემა გვ. 142).

იბადება ასეთი საკითხი — შრომის სახელდობრ როგორი საგნები უნდა შევიტანოთ ბალანსში? ცხადია ბალანსში შეიტანება მხოლოდ მასალები, ე. ი. ისეთი საგნები, რომელთაც ადამიანის შრომა შეიწოვეს და წარმოების პროცესში კიდევ უნდა მიიღონ მონაწილეობა. რაც შეეხება შრომის იმ საგნებს, რომელიც არ არის მასალა და, რომელიც, მაშასადამე, ადამიანის წინანდელი შრომით არ დაწმენდილა ისინი ბალანსში არ შეიძლება შეტანილ იქმნენ და ფუ-

ლად არა ფასდებიან. აი რატომ არის რომ მიწა, ეს, მარქსის გამოთქმით, „ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი“ საბჭოთა ბალანსებში არა გვხვდება და მას ფულადი შეფასებაც არა აქვს. ასეთსავე საგნებს ეკუთვნის წიაღი, ტყე, წყლები, და სხვა. საბჭოთა პრაქტიკაში მიღებული წესის ძალით, ყველა ეს საგნები, ჩვეულებრივ, ამონაწერის სახით ბალანსს გარეშე უნდა იქნეს ნაჩვენები და ისიც არა ფულად შეფასებაში, არამედ მის მიერ დაკავებული სივრცის სიდიდის მიხედვით.

შრომის მასალა, თავის მხრივ, გულისხმობს რამდენსამე ჯგუფს, როგორც მაგალითად ნედლი მასალა და ძირითადი მასალა, დამხმარე მასალა, სათბობი და სხვა. ახლა განვიხილოთ, თუ რით არის გამოწვეული წარმოების საშუალებათა ძირითადად და საბრუნავად დაყოფა. წარმოების ძირითადი საშუალებები, ჩვეულებრივ, წარმოების პროცესში ხანგრძლივათ მონაწილეობენ. ეს საშუალებები წარმოების პროცესში მთლიანად არ ინთქებიან. ისინი მონაწილეობენ საწარმოო პროცესში რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და ინარჩუნებენ თავის წინანდელ ფორმას. მაგრამ საწარმოო პროცესში მონაწილეობის დროს ისინი, როგორც იტყვიან, ცკეთებიან, ე. ი. მათ თავის ღირებულების ნაწილი შრომის საგანზე (ობიექტზე) გადააქვთ. ეს - შრომის იარაღების ღირებულების პროდუქტზე გადატანა ჩვეულებრივ ეგრედწოდებული ამორტიზაციის ან წარმოების ძირითად საშუალებათა დაფარვის სახით ხდება.

წარმოების საბრუნავი საშუალებები, პირიქით წარმოების პროცესში მთლიანად ინთქებიან. საწარმოო პროცესში გავლის დროს ისინი თავის სახეს იცვლიან. თავისი ღირებულებაც პროდუქტზე მთლიანად გადააქვთ. მახთან მათი ბრუნვის რაოდენობა თვითონ წარმოების პერიოდების რაოდენობას უდრის. წარმოების ყოველი ახალი ბრუნვა მასალების ახალ მარაგს მოითხოვს. ამ განსხვავების გამო, სწორედ, შემოღებულ იქმნა პრაქტიკაში, წარმოების საშუალებათა პირველი ჯგუფისათვის ძირითადის სახელწოდება, მეორე ჯგუფისათვის კი — საბრუნავის.

განუხილველი დაგვრჩა საწარმოო პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, ეს ადამიანის შრომა. ცნობილია, რომ შრომის პროცესი, მარქსის მოძღვრების თანახმად, სამს ელემენტს გულისხმობს. პირველი, ეს არის, მიზანშეწონილი მოქმედება ანუ თვით შრომა, მეორე ეს არის საგანი, რომელზედაც შრომა მოქმედებს მესამე, ეს არის იარაღები, რომლის საშუალებითაც შრომა მოქმედებს და მართლაც, შრომის საშუალებათა (იარაღებისა) და მასალის გარდა-რომელნიც წარმოების ნივთიერ ფაქტორს შეადგენენ, უნდა განვასხვავოთ კიდევ ადამიანის შრომა ანუ წარმოების პირადი ფაქტორი.

ტის წყალობით იწყებენ ნივთიერი ფაქტორები სიცოცხლეს და საწარმოო პროცესში მონაწილეობას. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ცოცხალი შრომა თითქო სიცოცხლის ალში ხვევს წარმოების ნივთიერ ფაქტორებს. ან, როგორც მარქსი ამბობს: „შრომა საწარმოო საშუალებებს, მკვდრეთით აღადგენს, თავისი უბრალო შეხებით შთაბერავს შრომის პროცესის ფაქტორის სულს და მათთან დაკავშირებით პროდუქტსა ქმნის“ („კაპიტალი“ 1ტ. ქართ. გამოც. გვ. 159-160).

იმის შესახებ თუ როგორ ხდება კონკრეტულად სამუშაო ძალის აღრიცხვა ჩვენ შემდეგ გვექნება ღიაპარაკი, როდესაც საწარმოო ხარჯების საკითხს განვიხილავთ.

2. მიმოქცევის საშუალებანი.

მიმოქცევის საშუალებათა აღრიცხვის მიზნით გახსნილი ანგარიშები, შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ა) სასაქონლო საშუალებათა ანგარიშები, ბ) ფულად საშუალებათა ანგარიშები, გ) ანგარიშწორების ანგარიშები (აქტიურის).

ა. სასაქონლო საშუალებები. სასაქონლო საშუალებებს ჩვეულებრივ, წარმოების ისეთ პროდუქტების ერთობლივობას გულისხმობს, რომელნიც გასასაღებლად არიან დამზადებული. როგორც კს დამზადებული ნაკეთობანი ან ნახევარ ნაკეთობანი წარმოების სფეროი გასცდებიან და გასაღების მიზნით მიმოქცევაში შედიან, ისინი ამით უკვე საქონლად იქცევიან. ცხადია ეს საქონელი შეიძლება საკუთარი წარმოების პროდუქტი იყვეს, მაგრამ შეიძლება, მზამზარეულადაც იყვეს შემოსული სხვა მეურნეობიდან. უკანასკნელ შემთხვევაში, აშკარა ჩვენ გვაქვს მეურნეობა, რომელიც უპირატესად საქონლის გასაღებას ან სხვანაირად რომა ვსთქვათ, ვაჭრობას ეწევა. სამაგიეროდ მასალა რომელიც საწარმოო საშუალებებს ეკუთვნის, ჩვეულებრივ მომარაგების ორგანოების მიერ მზადდება. საბჭოთა მეურნეობების ბალანსებში საქონელი ფასდება უკვე გეგმიანი შეფასების მიხედვით, ე. ი. შეფასების წინასწარ დაწესებული ნორმის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფოს ორგანოები. ამყარებენ გეგმიანად ერთობლივ მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესების შესაბამისად. ამ ჯგუფის დასახელების შესახებ ჩვენ უკვე წარსულ თემაში გვქონდა საუბარი.

ბ. ფულადი საშუალებები ფულად საშუალებათა ჯგუფის შემადგენლობაში მოქცეულია ნაღდი ფულის მთელი ჯამი, რომელიც ერომელიმე მეურნეობის სალაროში ინახება. ამ ნაღდ საშუალებათა აღრიცხვის მიზნით ბალანსში, ჩვეულებრივ, იხსნება საგანგებო ანგარიში სალაროს ანგარიშის სახელწოდებით. ამ ანგარიშს წარსულში მეურნეობის ბალანსში დიდი ხვედრი წონა ჰქონდა. მაგრამ ამ ანგა-ბხოლოდ ადამიანის ცოცხალი შრომის შეხების და მასთან კონტაქტ

რიშის მნიშვნელობაზე საკრედიტო რეფორმამ დიდი გავლენა იქონია. ამ ჟანად საბჭოთა მეურნეობის ბალანსებში სალაროს ანგარიშზე ითვლება მხოლოდ იმ უმნიშვნელო ნაღდ საშუალებათა ჯამი, რომელიც მეურნეობას დატოვებული აქვს მიმდინარე ხარჯების გასასტუმრებლად, დიდ მეურნეობებთან, როგორც წესი, სახელმწიფო ბანკის მიწერილი მეარტელეები მუშაობენ, ეს, სახელმწიფო ბანკის თავისებური სპეციალური ანგარიშსწორების სალაროები. საჭირო შემთხვევაში სახელმწიფო ბანკი, თავისი მიწერილი მეარტელეების საშუალებით, რომელნიც ამ მეურნეობაზე არიან მიმაგრებულნი, თავის თავზე იღებს ამ მეურნეობის საკასო მომსახურებას. ამგვარად სალაროს ანგარიშს ბალანსში თავისი წინანდელი მნიშვნელობა ეკარგება და მიდრეკილება ჯქვს სრულიად გაქრეს ბალანსიდან. თანხები, რომელნიც წინად სალაროს ანგარიშით გადიოდენ, სახ. ბანკის ანგარიშზე რჩებიან.

გ. ანგარიშსწორება. საბჭოთა მეურნეობის ყველა ანგარიშები სხვა მეურნეობებთან, ს. ს. რ. კავშირის ფარგლებში შემდეგ ორ კატეგორიად იყოფა:

1. ანგარიშსწორება განსაზოგადოებულ სექტორს ოპერაციების
2. ანგარიშსწორება განუსაზოგადოებული სექტორის ოპერაციების

საკრედიტო რეფორმის შემდეგ, ს. ს. რ. კ. განსაზოგადოებულ. სექტორის მეურნეობათაშორის. ყველა ურთიერთ ანგარიშები სახელმწიფო ბანკის ერთიან კონტოკორენტულ ანგარიშზე ტარდება. ყველა ეს ურთიერთ-ანგარიშების გასწორება ნაღდი ფულის დაუხმარებლად ხდება, ეს ნაღდი ფულის გარეშე ანგარიშსწორებაა. ტვირთის გამგზავნი ანგარიშ-ფაქტურას უგზავნის სახელმწიფო ბანკს, სახ. ბანკი კი შესაფერ თანხას გადარიცხავს, ტვირთის მიმღების ანგარიშიდან ტვირთის გამგზავნის ანგარიშზე.

ამგვარად ყველა ოპერაციები ნაღდი ფულის გარეშე ანგარიშსწორებისა სახელმწიფო ბანკის მეშვეობით სრულდება. ეს გარემოება სახ. ბანკს საშუალებას აძლევს მოახდინოს მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის მიმდინარე ანგარიშების გადანაწილება საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ქვეყნის ინტეოესების შესაბამისად.

საკრედიტო რეფორმისა და მრეწველობის მმ ართველობის რეორგანიზაციის ძირითადი დასახულობანია: ა. საკრედიტო სისტემის საგეგმო მუშაობის მეთოდების გაუმჯობესება და მისი, როგორც სახალხო მეურნეობაში გეგმიანობის ჩამნერგავი ფაქტორის, როლის გაძლიერება, ბ. წარმოებაში სამეურნეო ანგარიშის ყოველმხრივი გაფართოვება და გაღრმავება, გ. სახალხო მეურნეობისთვის მოკლევადიანი კრედიტის მიცემის რაციონალიზაცია, დ. სახელმწიფო ბან-

ჯის მთელი სახალხო მეურნეობის ანგარიშგასწორების ცენტრად გარდაქმნა, ე. სახ. ბანკის, როგორც წარმოებაში გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დავალებათაგან გადახვევის სიგნალიზატორის გამოყენება.

კრედიტის თავისუფლად გაცემის წინანდელი წესის ნაცვლად ჩნდება დაფინანსების გეგმიანი სოციალისტური მიმართულება. ბანკი აფინანსებს ამა თუ იმ მეურნეობას გეგმით გათვალისწინებული ოპერაციების შესასრულებლათ. ამით დაფინანსება მ ი ზ ნ ო ბ რ ი ვ მნიშვნელობასა და გეგმიან ხასიათს იძენს. ყველა ძველი, წმინდა ფიქტიური სათამასუქო ოპერაციები ბანკში კრედიტის მისაღებათ, ბუნებრივია ისპობა. მუშათა სახელმწიფო ბანკის საშუალებით ეუფლება დაფინანსების, და სახალხო მეურნეობის ცალ-ცალკე დარგთა შორის საშუალებების გადანაწილებისა და გადაჯგუფების ინსტრუმენტს და ერთდროულად ცალკე მეურნეობების საქმიანობაზე კონტროლს ანხორციელებს დამტკიცებული გეგმის შესრულების ფარგლებში. საბანკო აპარატის ეს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის პირობებში თავის დროზე ხაზგასმულ იქმნა ვ. ი. ლენინის მიერ, როცა ის სწერდა:

„დიდი ბანკების გარეშე სოციალიზმი განუხორციელებელია. დიდი ბანკები ის „სახელმწიფო აპარატია“, რომელიც ჩვენ სოციალიზმის განსახორციელებლად გვინდა და რომელსაც ჩვენ მზად ვართმეცა კაპიტალიზმს; აქ ჩვენი ამოცანა მხოლოდ ის არის რომ ჩამოვკვეთოთ ის, რაც ამ მშვენიერ აპარატს კაპიტალისტურად ამახინჯებს და გადავაქციოთ იგი უფრო დიდ, უფრო დემოკრატიულ და უფრო ყოვლის შემცველ აპრატად. რაოდენობა თვისებაში (ხარისხში) გადავა. ერთიანი, უდიდესი უდიდესთაგან სახელმწიფო ბანკი, განყოფილებებით ყოველ ვოლოსტში, ყოველ ქარხანასთან, ეს — სოციალისტური აპარატის უკვე ცხრა შეათედია. (ტ. XXI რუს. გამოც. გვ. 260).

საკრედიტო რეფორმას, რომელიც ჩვენში გატარდა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკრედიტო საქმის ორგანიზაციისა და ფულადი რესურსებით მანევრობის საქმეში. კრედიტისა და ფულის მიმოქცევის პრობლემის გადაჭრა თანამედროვე ეტაპის პირობებში ძირითადად ორი ხაზით მიდის: „მოკლევადიანი კრედიტის მთლიანად სახ. ბანკში თავმოყრის ხაზით და განსაზოგადოებულ სექტორში ნაღდი ფულის გარეშე ანგარიშსწორების ორგანიზაციის ხაზით. ამით, ჯერ ერთი, სახელმწიფო ბანკი პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვის საერთო სახელმწიფო აპარატად იქცევა, და, მეორე, მიმოქცევიდან თავისუფლდება ფულის მთელი მასები“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“ რუს. გამ. გვ. 673).

ყოველივე თქმულის მხედველობაში მიღება იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ განსაზოგადოებული სექტორის ფარგლებში ურთიერთგასასწორებელი ანგარიშების აღრიცხვისათვის საბჭოთა მეურნეობის ბალანსებში დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშები აღარ შეიძლება ხმარებაში დარჩეს. ამ ანგარიშების დატოვება განსაზოგადოებული სექტორის ფარგლებში ანგარიშსწორების აღრიცხვისათვის ანაქრონიზმია და აღრიცხის იმ ტეხნიკის ტრაფარეტული განმეორება, რომელიც ძველ პირობებს შეეფერებოდა, მაგრამ ახლანდელი მომენტისათვის უკვე სრულიად გამოუსადეგარია. განსაზოგადოებული სექტორის წამოწყებათა შორის, სწორედ ისეთივე იურიდიული ურთიერთობანი არ შეიძლება აღმოცენდეს, როგორიც ცალკე კაპიტალისტ მესაკუთრეთა კერძო მეურნეობებს შორის ჩნდებოდა. ახლა ეს უფრო შინაგანი ურთიერთანგარიშსწორებაა განსაზოგადოებული სექტორის ფარგლებში, ეს განსაზოგადოებული სექტორის ცალკე მეურნეობათა შორის საშუალებების გადაჯგუფებაა, რაც თავის გამოსახულებას სახელმწიფო ბანკის საბალანსო ანგარიშზე პოულობს. მაშასადამე, განსაზოგადოებული სექტორის ოპერაციების მიმართ ბალანსი დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშებისაგან იწმინდება და მეურნეობა ამ დარგში თავისუფლდება რთულ საკრედიტო ურთიერთანგარიშებიდან, რაც მას საშუალებას აძლევს მთელი ყურადღება გეგმიან-ოპერატიულ მუშაობას მიაპყროს.

ბალანსის თვალსაზრისით, სახ. ბანკის ანგარიში შესაძლებელია მოხვდეს როგორც აქტივში, ისევე პასივში. თუ მეურნეობის ბალანსში სახ. ბანკის ანგარიში პასივშია მოქცეული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ მომენტში მეურნეობა სახელმწიფო ბანკიდან დაფინანსებით სარგებლობს, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, განსაზოგადოებული სექტორის სხვა მეურნეობათა თავისუფალი ფულადი რეზერვები სახელმწიფო ბანკის საშუალებით ამ მეურნეობაში გადმოდიან საერთო გეგმის განხორციელების მიზნით. პირიქით, თუ ამ მეურნეობის ბალანსში სახ. ბანკის ანგარიში აქტივშია მოთავსებული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ მეურნეობამ ბალანსის შედგენის მომენტისათვის სახ. ბანკში შეიტანა მიმდინარე სამეურნეო ბრუნვიდან განთავისუფლებული ფულადი საშუალებები. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში ბანკს შეუძლია ამ საშუალებით მანევრობა განსაზოგადოებული სექტორის ფარგლებში, მას შეუძლია ეს ფული სწორედ იმ არხებით გადასცეს, რომელნიც საბჭოთა მეურნეობისა და სოციალისტური მშენებლობის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით ამას უფრო საჭიროებენ.

ბანკი, ჩვეულებრივ აწესებს ლიმიტს, ე. ი. ზღვარს: ა) ან იმის მაქსიმუმს, რაც საბანკო კრედიტის სახით შეიძლება მიეცეს წა-

მოწყებას მის საშუალებათა შესავსებად, ბ) ან იმის მინიმუმს, რაც უნდა წამოწყებიდან წაიღოს ბანკმა.

ამგვარად, სახ. ბანკის ანგარიში ბალანსში არსებითად თავისებური ანგარიშია. ეს—განსაკუთრებული სახის აქტიურ-პასიური ანგარიშია, განსაზოგადოებული სექტორის ცალკე მეურნეობათა ურთიერთ ანგარიშების შემაკავშირებელი რგოლია. ეს ანგარიშია, რომელიც ამ ცალკე მეურნეობათა ურთიერთ დამოკიდებულებას აწესრიგებს. სხვა სიტყვებით რომა ვთქვათ, სახ. ბანკის ანგარიშზე აღრიცხულ გამოსახვას ღებულობენ განსაზოგადოებული სექტორის ცალკე მეურნეობათა შორის ის ურთიერთ-ანგარიშები, რომელნიც მოცემული მეურნეობის გეგმის შესრულებასთან არიან დაკავშირებული და შეესაბამებიან საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმას.

ახლა გადავიდეთ განუსაზოგადოებელ სექტორთან აქტიური და პასიური ა ნ გ ა რ ი შ ს წ ო რ ე ბ ი ს განხილვაზე. განუსაზოგადობულ სექტორთან ოპერაციების ურთიერთ-ანგარიშები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს ა) ანგარიშსწორება განუსაზოგადოებელ სექტორთან ქვეყნის შიგნით ბ) ანგარიშსწორება კაპიტალისტურ ბაზართან ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით.

ქვეყნის შიგნით განუსაზოგადოებელ სექტორთან ოპერაციების ანგარიშსწორებისათვის სარგებლობენ ორი ანგარიშით: აქტივში აღვნიშნავთ ჩვენს უფლებებს განუსაზოგადოებელი სექტორის სხვადასხვა მეურნეობათა მიმართ, პასივში-კი ჩვენს ვალდებულებებს განუსაზოგადოებელი სექტორის სხვადასხვა მეურნეობათა წინაშე. აქედან გამომდინარეობს, რომ განუსაზოგადოებელ სექტორთან ანგარიშსწორების აღრიცხვისათვის აუცილებელია უკანასკნელი ორი ანგარიში მაინც 1) აქტივში განუსაზოგადოებელი სექტორის დებიტორთა ანგარიში, 2) პასივში განუსაზოგადოებული სექტორის კრედიტორთა ანგარიში.

მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზართან ოპერაციების ანგარიშსწორებისათვისაც ბალანსში ვსარგებლობთ ორი ანგარიშით; აქტივში ავღნიშნავთ ჩვენს უფლებებს საზღვარ-გარეთელ კორესპონდენტების მიმართ, პასივში კი — ჩვენს ვალდებულებებს საზღვარგარეთელ აპიტალისტების წინაშე; მაშასადამე, მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზართან ოპერაციების ანგარიშსწორების აღრიცხვისათვის, გარეთელ ბალანსში უნდა იყოს ორი ანგარიში მაინც: 1) აქტივში —საზღვარგარეთელ დებიტორების ანგარიში, 2) პასივში—საზღვარგარეთელ კრედიტორების ანგარიში.

ყოველივე თქმული რომ გავითვალისწინოთ, შემდეგ დასკვნამდე მივდივართ. ჩვენი მეურნეობის ყველა საშუალებები შესდგება: ერთი-წარმოების საშუალებათაგან, მეორე, მიმოქცევის საშუალებათაგან წარმოების საშუალებები იყოფა: 1) წარმოების ძირითად საშუალებებად,

2) წარმოების საბრუნავ საშუალებებად. მათი ძირითადი ნიშნეულობა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ სამეურნეო რესურსებს საწარმოო მნიშვნელობა აქვთ და წარმოების სფეროში მონაწილეობის მიღება მართებთ. მიმოქცევის საშუალებები იყოფა: 1) სასაქონლო საშუალებებად ე. ი. წარმოებაში გასასაღებლად დამზადებულ პროდუქტებად 2) ფულად საშუალებებად ანუ მეურნეობის ნაღდ საშუალებებად, 3) სხვა მეურნეობებთან აქტიურ ურთიერთ ანგარიშებად. ამ შემთხვევაში სახელმძღვანელო ნიშნეულობა ის არის, რომ ყველა ეს საშუალებები არა წარმოების, არამედ მიმოქცევის სტადიაში იმყოფებიან. მომავალში, შესაძლებელია, მდგომარეობა შეიცვალოს. საქონელი გაიყიდება, დებიტორები თავის დავალიანებას დაფარავენ და სხვა. შესაძლებელია, რომ მაშინ ეს საშუალებები ისევ წარმოებაში იქნენ გადასროლილი და მაშასადამე, საწარმო საშუალებათა ძირითადი ან საბრუნავი ფორმა მიიღონ. მაგრამ ბალანსის შედგენის მომენტში ეს რესურსები იმყოფებიან არა წარმოების, არამედ მიმოქცევის სფეროში.

ჩვენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ანგარიშების განხილვით დავკმაყოფილდით, რომელნიც ბალანსის მხოლოდ საერთო მოხაზულობას სახავენ. შემდგომ ბალანსის სქემა შეივსება სხვა ანგარიშებით, რომელნიც მეურნეობის სხვა განკვეთას და მისი მუშაობის სხვა ხაზებს დაახასიათებენ.

ყველა სამეურნეო საშუალებები, წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებები, კონკრეტულად ხორცს ისხამენ ბალანსის აქტიური ნაწილის ამა თუ იმ გარკვეულ მასებში. რაც შეეხება პასივს, ის ხოლოდ ააშკარავებს აქტივში ჩამოთვლილ წარმოებისა და მიმოქცევის ყველა ამ საშუალებათა წარმოშობის აღრიცხულ წყაროს. პასივი ამ აზრით იმის მაჩვენებელია, თუ სამეურნეო რესურსების რა ნაწილია გამოსაღები და რა — გამოუღებელ. პასივი ნიშნავს იმას, თუ სახელდობრ რა წყაროები ასაზრდოებენ აქტივს. ამის გამო შეიძლება ვსთქვათ, რომ პასივი აქტივის თავისებური ნორმაა. პასივი საშუალებებით განკარგულების ნორმას აწესებს ამ საშუალებათა წარმოშობისა და გეგმიანი დანიშნულების შესაბამისად. პასივი ის ნორმაა, რომელიც მეურნეობის ამა თუ იმ მიმართულებით მუშაობის საზღვრებს მოხაზავს ამა თუ იმ ფარგლებში მისი მანევრობის თავისუფლებას არკვევს და აქტივით სარგებლობას განუწყვეტლივ სამეურნეო გეგმას უთანხმებს. ამ რიგად, პასივი ერთგვარად, აქტივის გეგმასა და ნორმას წარმოადგენს.

აქვე აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ბალანსის აქტივსა და პასივს განვიხილავთ არსებული ეკონომიური პირობების საფუძველზე. უეჭველია, რომ ამ ეკონომიური ვითარების შეცვლას-

თან ერთად შეიცვლება ბალანსის სტრუქტურაც, აქტივისა და პასივის აგებულებაც. ასე, მაგალითად, იმ მეურნეობის ბალანსში, რომელიც გაშლილი სოციალისტური საზოგადოების პირობებში მოქმედობს, დებიტორებისა და კრედიტორების ურთიერთანგარიშები, ცხადია ალარ იარსებენ. ეს ანგარიშები ბალანსიდან გაქრებიან. მაგრამ საკითხავია, თანამედროვე ელემენტთაგან რომელი შერჩება ბალანსს ასეთ შემთხვევაში? აქტივში ჩვენ გვექნება ყველა ის ნივთიერი საგნები, წარმოებისა და განაწილების პროდუქტები, რომელიც საზოგადოებრივ მეურნეობასთან არიან დაკავშირებული. ეს იქნება სხვადასხვა მოწყობილობა, მანქანები და საწარმოო დანიშნულების სხვა საშუალებები. შემდეგ აქ იქნება შრომის პროდუქტები, საზოგადოებრივი მოხმარებისათვის დამზადებული, მაგრამ ეს პროდუქტები ბაზრის საშუალებით არ იქნებიან განაწილებული. ასეთია აქტივის შესაძლებელი აგებულება, აქტივის, რომლის შემადგენლობა შრომის პროდუქტები იქნება. ამ პროდუქტების ნაწილი განზოგადოებული იქნება წარმოების შემდგომ პროცესების გასაგრძელებლად, ნაწილი კიდევ განაწილდება სოციალისტური საზოგადოების ცალკე წევრთა შორის. მაგრამ მაშინ რა უნდა გამოსახოს პასივმა და იარსებებს თუ არა ასეთ შემთხვევაში პასივი საზოგადოთ?

რადგანაც პასივის ქვეშ ყველა სამეურნეო რესურსების წარმოშობის წყარო იგულისხმება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ აზრით, ბალანსის პასივი იარსებებს. პასივი, როგორც აქტივში ჩამოთვლილ და შრომის გასანაწილებელ პროდუქტების წარმოშობის ყველა წყაროთა ერთობლივობა, ასეთ შემთხვევაში, გახდება ყველა აუცილებელ პროდუქტების წარმოებაზე დახარჯულ ცოცხალი და დაგროვილი შრომის აღრიცხული ერთობლივობა. დაგროვილი შრომა ბალანსის პასივში საზოგადოებრივი ფონდების ამა თუ იმანგარიშებში შეიძლება გამოისახოს ე. ი. წარსული შრომის საფუძველზე, სოციალისტური დაგროვების ფონდები ანგარიშებში; ცოცხალი შრომა კი შეიძლება ბალანსში წარმოდგენილი იქმნას, როგორც იმ სამუშაო დროის აღრიცხული ფონდი, რომელიც აუცილებელი იყო მიმდინარე წარმოებისათვის. ფულადი საზომი, აშკარაა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სხვა რაიმე საზომით, მაგალითად, შრომითი საზომით, ე. ი. სამუშაო დროის ერთეულებში გამოანგარიშებით.

მაგრამ უკვე ჩვენს პირობებშივე დასახული შეზრდა საბალანსო, სტატისტიკური და ოპერატიული აღრიცხვისა ერთ გეგმიან, სოციალისტურ აღრიცხვად დასაშვებს ხდის იმ აზრს, რომ აქტივისა და პასივის ძველი კატეგორიები მოისპობიან და ბალანსი აგებული იქნება სხვა საძირკველზე და სხვა ფორმით.

შეთითებები თემის გარშემო.

ამ თემის შინაარსი ნაწილობრივ განხილულია წინა თავში. ყველაზე წინ აქ მოცემულია პასივის ძველი განმარტების კრიტიკა. ამ მონენტს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც ბევრი ავტორი ახლაც იზიარებს პასივის ამ ძველ განმარტებას. შემდეგ სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული საკითხს საწესდებო სახ. ფონდის ანგარიშის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ ბალანსში. ამასთან აუცილებელია ნათლად გავერკვეთ,— სიტყვა კაპიტალი რატომ არ შეიძლება მისაღებ თერმინად მივიჩნიოთ საბჭოთა მეურნეობის ბალანსისათვის. ამ სიტყვის თერმინოლოგიური გაურკვევლობის გარდა ბალანსის პასივის მომართ, უნდა ეკონომიური ხასიათის მოსაზრებებიდანაც გამოვიდეთ. შემდეგ მოცემულია თერმინ ბალანსის ზუსტი განსაზღვრა. ეს თერმინი უპირატესად მეცნიერული აზრით უნდა ვიხმაროთ. რაც შეეხება სიტყვა - სიტყვითს მნიშვნელობას, აქ უმჯობესია სიბალანსის თერმინით ვისარგებლოთ. ბალანსის ფორმალურ გრაფიული გამოსახვის დროს უფრო მიზანშეწონილია საბალანსო ცხრილის სახელწოდება ვიხმაროთ, ამის შემდეგ აუცილებელია ერთხელ კიდევ შევჩერდეთ ბალანსის ანგარიშების კლასიფიკაციის ძირითად სქემაზე და გამოვარკვიოთ აქტივისა და პასივის ყოველი ანგარიშის მნიშვნელობა იმ ტეხნიკურ - ეკონომიური მნიშვნელობის თვალსაზრისით, რომელიც მას საბჭოთა სამეურნეო სისტემის პირობებში აქვს.

აქ ყველაზე უფრო საგულისხმოა სახ. ბანკის ანგარიში, რომლის ანალიზს ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ბალანსის ყველა ანგარიშების ტრაფარეტული დაყოფა ძირითად და საბრუნავ საშუალებათა ანგარიშებად ბოლომდე არ არის მიყვანილი. ძირითადი და საბრუნავი საშუალებები მხოლოდ ისეთი საშუალებებია, რომელნიც წარმოების სფეროში მონაწილეობენ. რაც შეეხება სხვა სამეურნეო საშუალებებს, ისინი სამეურნეო ბრუნვაში თუმცა მონაწილეობენ, მაგრამ მიმოქცევის საშუალებებს ეკუთვნიან.

საკონტროლო კითხვები

1. რაშია პასივის ძველი გაგების უმართებულობა?
2. რატომ არ უნდა ექნეს ადგილი კაპიტალის ანგარიშს საბჭოთა მეურნეობის ბალანსში?
3. როგორია ბალანსის ცხრილში გამოსახვის ვარიანტები?
4. რა სამი მნიშვნელობა აქვს სიტყვა ბალანსს?
5. რა ორ ჯგუფად იყოფა წარმოების საშუალებათა ანგარიშები?.
6. რა ჯგუფებად იყოფა მიმოქცევის საშუალებათა ანგარიშები?
7. რა ძირითადი დანიშნულება აქვს სახ. ბანკის ერთიან ანგარიშს საკრედიტო რეფორმასთან დაკავშირებით?
8. როგორ აღინიშნება ბალანსში ს. ს. რ. კ. განუსაზოგადოებელ სექტორთან და უცხოეთის კაპიტალისტურ ბაზართან ოპერაციების ურთიერთ ანგარიშები?

ამოცანები და ვარჯიშობანი

ა მ ო ც ა ნ ა 1. შეადგინეთ მეურნეობის ბალანსის ცხრილი, თუ გვაქვს: ა) საწარმოო საშუალებები 18.000, ბ) სასაქონლო საშუალებები 5.000, გ) ფულადი საშუალებები 2.000; ყველა ეს საშუალებები გადაცემული აქვს მეურნეობას სახელმწიფოსაგან.

ამ ო ც ა ნ ა 2. შეადგინეთ მეურნეობის ბალანსის ცხრილი შემდეგ მონაცემთა საფუძველზე; ა) საწარმოო საშუალებები 20.000, ბ) სასაქონლ საშუალებები 6.000. გ) ფულადი საშუალებები 1.000.

ვიცით, რომ სახელმწიფომ მისცა ამ მეურნეობას წესდებით 20.000, საშუალებათა დანარჩენი თანხა მიღებული. სახ. ბანკიდან დაფინანსების წესით.

ამ ო ც ა ნ ა 3. შეადგინეთ ბალანსის ცხრილი შემდეგი მეურნეობის: ა) საწარმოო საშუალებანი 35.000, ბ.) სასაქონლო საშუალებები 7.000, გ.) ფულადი საშუალებები 1000, დ) განუსაზოგადოებელ სექტორთან ოპერაციების დებიტორები 2000.

ვიცით, რომ მეურნეობა სარგებლობს საბანკო დაფინანსებით 9.000, განუზოგადოებელი სექტორის კრედიტით 3000, რესურსების დანარჩენი თანხა სამეურნეო ფონდია.

ამ ო ც ა ნ ა 4. შეადგინეთ მეურნეობის ბალანსის ცხრილი შემდეგ ცნობების საფუძველზე ა) მოწყობილობა და მანქანები 28.000, ბ) ინსტრუმენტები 4.000, გ) მასალები 6.000, დ) საქონელი 8.000, ვ) სახ. ბანკი 3000.

ვიცით, რომ მეურნეობა სარგებლობს განუსაზოგადოებელი სექტორის კრედიტებით 7.000, ხოლო საშუალებების დანარჩენი თანხა — სამეურნეო ფონდია.

65
3 184